№227
(12 297)

26 სექტემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოვიგებთ, მა რას ვიზამთ!

26 სექტემბერი. 20:00. D
საქართველო-ნამიბია
ლანსი, ფელიქს ბოლაერი

საქ: 15. მალხაზ ურჯუკაშვილი 14. ირაკლი მაჩხანელი 13. დავით კაჭარავა 12. ირაკლი გიორგაძე 11. გიორგი შკინინი 10. მერაბ კვირიკაშვილი 9. ირაკლი აბუსერიძე (კაპ); 1. გოდერძი შველიძე 2. აქსენტი გიორგაძე 3. დავით ზირაქაშვილი 4. ლევან დათუნაშვილი 5. მამუკა გორგოძე 6. გია ლაბაძე 7. რატი ურუშაძე 8. გიორგი ჩხაიძე / 16. დავით ხინჩაგიშვილი 17. ავთანდილ კოპალიანი 18. ვიქტორ დიდებულიძე 19. ბესიკ უდესიანი 20. ბიძინა სამხარაძე 21. რევაზ გიგაური 22. ბესიკ ხამაშურიძე

ნამ: 15. ჰაინი ბოკი 14. რაიან ვიტბუი 13. პიტ ფანზილი 12. კორნე პაუელი 11. ბრედლი ლანხენჰოვენი 10. ტერტიუს ლოსპერი 9. იუჯინ იანჩისი; 1. კეეს ლენსინხი (კაპ) 2. ჰუგო ჰორნი 3. მარიუს ფისერი 4. ვაკა კაზომბიაზე 5. ჰაინო სენეკალი 6. ჟაკ ნიუვენჰოისი 7. ჟაკ ბურხერი 8. თინუს დიუპლესი / 16. იოჰანეს მაიერი 17. იონი რედელინგჰოისი18. იან დიუტუა 19. ნიკო ესტერჰოიზე; 20. იური ფანტონდერი 21. მელრიკ აფრიკა 22. მორნე შრიოდერი

მსაჯი: სტივ ვოლში (ზელ)

D ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	ბ	პ	ქ
არგენტინა	3	3	0	0	113-18	2	14
საფრანგეთი	3	2	0	1	124-30	2	10
ირლანდია	3	2	0	1	49-52	1	9
საქართველო	2	0	0	2	13-47	1	1
ნამიბია	3	0	0	3	30-182	-	0

30 სექ, 17:00 საფრანგ.-საქართველო
30 სექ, 19:00 ირლანდია-არგენტინა

მსოფლიო თასზე სადღეისოდ ყველაზე ნაკლები ლელო (1) და ყველაზე ნაკლები ქულა (13) საქართველოს ნაკრებს აქვს გატანილი. შეიძლებოდა, ერთი შემამსუბუქებელი გარემოება მოგვეყვანა - რომ ჩვენ და ამერიკას ჯერჯერობით ყველაზე ცოტა, 2 მატჩი გვაქვს გამართული, მაგრამ საჭირო არაა. არცერთი ეს მაჩვენებელი არაფრად არ ღირს იმასთან შედარებით, რასაც ჩვენმა გუნდმა უკვე მიაღწია საფრანგეთში. და ამ ტურნირის საუკეთესო თამაშადაც ჯერჯერობით ისევ ირლანდია-საქართველო რჩება. უფრო ზუსტად, საქართველო-ირლანდია.

ფოტოები გუშინდელი ვარჯიშიდან. დავით ხინჩაგიშვილი

და დღეს დგება ჭეშმარიტების მომენტი. უნდა მოვიგოთ ის თამაში, რომლის მოსაგებადაც ჩავედით მსოფლიო თასზე. ნამიბიასაც ზუსტად იგივე მიზანი აქვს, მაგრამ აშკარა ფავორიტი საქართველოა. ბუკმეიკერებს ჩვენს მოგებაზე კოეფიციენტი 1.15-1.20 ფარგალში აქვთ.

გამოითქმის ეჭვები, რომ არგენტინასა და ირლანდიასთან დასაკარგი არაფერი გვქონდა და ლაღადაც ვითამაშეთ, ახლა კი ფავორიტობა არ დაგვაწვეს ტვირთად. ზუსტად ისე, როგორც ოთხი წლის წინათ, ურუგვაისთან მატჩში მოხდა.

კარგია, რომ გუნდში საქმიანი განწყობაა. ორი წინა თამაში დავიწყებულია და მეტოქეს ყველა ფრთხილად და პატივისცემით ეკიდება. ყველას ესმის, რომ ადვილი თამაში არ იქნება.

მე კი მინდა გავიხსენო ამ ცოტა ხნის წინათ გამართული მატჩი. სხვა სახეობაში. ისლანდიის წინააღმდეგ. ჩვენი ის ნაკრებიც ასე ფრთხილად იყო თამაშის წინ: თქვენ ისლანდიას ნუ ეხუმრებითო, ისლანდია ავსტრიაზე რთული მეტოქე იქნება და შინ, კუნძულზე ეგეინ ნებისმიერს გაუმართავენ ბრძოლასო. და საქმე იქამდე მივიდა, მგონი მართლა დაიჯერეს, რომ ისლანდიასთან წაგება შესაძლებელი იყო. და წააგეს კიდეც. რაღაც ჯგუფური თვითგვემა მოაწყვეს თამაშამდე და თამაშის დროს. და თამაშის შემდეგ.

დღეს ასე არ იქნება. აქ წინასწარ თავს კი არავინ იზღვევს - რამე რომ იყოს, შეიძლება წავაგოთ კიდეც ამ ნამიბიასთან და ძალიანაც ნუ შეიცხადებთო. ყველა დარწმუნებულია, რომ მოვიგებთ. უბრალოდ, ძნელი თამაში იქნება, თავიდან - განსაკუთრებით, მაგრამ ერთხელ მოგვიგია ნამიბიისთვის და მეორედაც, ახლა ხომ მით უმეტეს მოვუგებთ. არგენტინასთან და ირლანდიასთან მოპოვებულ ავტორიტეტს ქარს არავინ გაატანს. არავინ არ დაიჩემებს, რომ მაინცდამაინც ოთხი ლელო უნდა გავიტანოთ და პრემია ავიღოთ - ნაბიჯ-ნაბიჯ შეავიწროებენ და ნელ-ნელა მოუგებენ. შეიძლება ორი ლელოთი, შეიძლება - ექვსით. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. გამოჩნდება, რამდენით, მაგრამ მოვიგებთ.

და ბოლო თამაშის წინ დაგვრჩება მეოთხედფინალში გასვლის თეორიული შანსი! ვინმე წარმოიდგენდა ამას ჩემპიონატის დაწყების წინ?

ნიკოლოზ აბაშიძე



მალხაზ ჭეიშვილი

ძმები გიორგაძეები, დათუნაშვილი, კვირიკაშვილი, შკინინი

დიმიტრი რამიშვილი, ნოდარ ახალკაცი და დევიდ ბორგერი ფოტო www.gff.ge

2 მილიონი დოლარი ტელეპროექტისთვის

მედიაკომპანია "კოლხიდამ", პროფესიული ფეხბურთის ლიგამ და ფეხბურთის ფედერაციამ გუშინ კონტრაქტი გააფორმეს. სამმხრივი ხელშეკრულება ქართული ფეხბურთისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა - საქმე ეროვნული ფეხბურთის ტელევიზიამდე მიტანას ითვალისწინებს.

ყველა დროს თავისი მოთხოვნა აქვს. 21-ე საუკუნე ტელევიზიისაა და იქ ჯობი რომ გააპიარო, მეორე დღეს ისიც პოპულარული გახდება. ეს არის მთავარი გათვლა - ტელევიზიაში ლამაზად შეფუთული ქართული ფეხბურთით მასის დაინტერესება. სისტემა უნდა ამუშავდეს, რომელიც ყველა დალაგებულ ქვეყანაში შემოსავლიანია.

"კოლხიდას" ურთულესი ამოცანა დაუსახავს - ხალხს არათუ აღარ უყვარს ფეხბურთი, არამედ ნაკრებისა და კლუბების უსუსური გამოსვლებით, მის მიმართ აგრესიაც გაუჩნდა. სურათის შეცვლას დრო და ტიტანური შრომა სჭირდება.

2

LIVE
სპორტული საინფორმაციო ცენტრი
272-272
ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ
LIVE

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

დიმიტრი რამიშვილი, ნოდარ ახალკაცი და დევიდ ბორგერი ფოტო www.gff.ge

პრესკონფერენცია

კოლხეთის ციხესკარი

ანუ 2 მილიონი ტელეპროექტისთვის

პირველი გვერდიდან

თუმცა რომ არ არსებობდეს იმედი და პერსპექტივა, კონტრაქტი არ გაფორმდებოდა. პროექტის ინიციატორებმა ჯერ უმაღლესი ლიგის გუნდებთან გააფორმეს მემორანდუმი, ახლა კი თავად ინიციატორებმა მოაწერეს ხელი.

პრესკონფერენცია ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** გახსნა:

- პროექტს დიდი ხნის განმავლობაში ლიგასთან და "კოლხიდასთან" ერთად ვამუშავებდით და საბოლოო ვარიანტზე შევთანხმდით.

ჯერ იმას ვიტყვი, რომ ფედერაციასა და ლიგას შორის ახალი ხელშეკრულება გაფორმდა, რაც ჩემპიონატისა და თასის ორგანიზებას უკავშირდება. ძველთან შედარებით გაუმჯობესებულია იურიდიული მხარე და გაცილებით საფუძვლიანი დოკუმენტია.

წინა ხელშეკრულების ლოგიკური გაგრძელება "კოლხიდასთან" კონტრაქტია, რაც ჩვენი ფეხბურთის პოპულარიზაციას მოემსახურება. ისეთი პროდუქტი უნდა შევქმნათ, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებს. დარწმუნებული ვარ, ტელეპროექტი ქართული ფეხბურთის განვითარებას დიდ ბიძგს მისცემს.

დიმიტრი რამიშვილი, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტი:

- პროექტი მნიშვნელოვანი და პერსპექტიულია. უცხოელმა და ქართველმა ბიზნესმენებმა მასში თანხის დაბანდება გადაწყვიტეს. დრო გავა და ამ შეთანხმებას განსაკუთრებულად აღვნიშნავთ - დღეს უდიდესი პროექტის განხორციელება დაიწყო.

დევიდ ბორგერი, "კოლხიდის" წარმომადგენელი:

- კომპანია უკვე მზადაა, ამ პროექტში 2 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩადოს. ამით აქარი ჩემპიონატი ძალიან მოიგებს და ქართული ფეხბურთის ევროპულთან დაახლოებას ხელს შეუწყობს. იმედია, ერთი წლის შემდეგ რომ შევიკრიბებით, უკვე რეალურ შედეგებზე ვისუბრებთ.

- პროექტში თანხას რომელი უცხოური კომპანიები აბანდებენ?

დევიდ ბორგერი: - ჩვენი შტაბი ჰოლანდიაშია, პარტნიორები გვყავს გერმანიაში, შვეიცარიაში, ბრიტანეთში. ამ ქვეყნიდან ექსპერტებსაც მოვიწვევთ, რომელთა დახმარებითაც ჩვენი პროდუქტი მაყურებლისთვის ყოველწლიურად უფრო და უფრო მიმზიდველი გახდება.

დაგეგმილია ტურის ცენტრალური შეხვედრების პირდაპირი ტრანსლაცია და დანარჩენი მატჩების მიმოხილვის გაკეთება. საამისოდ მედიაკომპანიაში შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სამუშაო ჯგუფები ყალიბდება.

- პროექტი ეთერში როდის გავა?

დიმიტრი რამიშვილი: - პირველ წრეში მხოლოდ ტურის ცენტრალური თამაშების ტრანსლაცია იგეგმება, 1 იანვრიდან კი პროექტი სრულყოფილად ამოქმედდება.

- პროექტის განხორციელებას რომელი არხით აპირებთ?

დიმიტრი რამიშვილი: - მოლაპარაკება თითქმის ყველა ტელეკომპანიასთან მიმდინარეობს. განსაკუთრებულ ინტერესს "საზოგადოებრივი მაუწყებელი" და "რუსთავი 2" იჩენენ. ხარისხიანი პროდუქცია ყველას სჭირდება.

- ეს კონტრაქტი სხვა მედიასაშუალებებს ხომ არ შეზღუდავს?

ნოდარ ახალკაცი: - ნაკრების თამაშებზე ექსკლუზიური უფლებაც გაყიდულია, მაგრამ არა მგონია, ეს ვინმეს აბრკოლებდეს. მედიას თანამედროვე პირობებს შევუქმნით.

- "კოლხიდა" ჩვენი ჩემპიონატის ფრაგმენტების ცნობილ ევროპულ სპორტულ არხებზე გატანას თუ აპირებს? საერთოდაც, ეს რეალურად მიგაჩნიათ?

ნოდარ ახალკაცი: - რეალურია, რადგან წლის დასაწყისში უკრაინული "სპორტ 1" და "ნტვ-ფუტბოლი" დაინტერესდნენ. მთავარი მოთხოვნა ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება იყო, რაც მაშინ ტექნიკურად შეუძლებელი იყო. ახლა ეს დაბრკოლება მოიხსნება.

დარწმუნებული ვარ, ჩვენი ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი და თასის ფინალი ინტერესს აღძრავს და ამ მატჩების ჩვენებით არავინ წააგებს.

დევიდ ბორგერი: - ცნობილი არხების დაინტერესებას შევეცდებით. შესაძლოა, ქართული ფეხბურთი თავდანვე "სკაისპორტზე" არ აჩვენონ, მაგრამ ფრაგმენტების მიწოდება სხვა არხებზე რეალური მგონია.

- ქართული ფეხბურთით "კოლხიდის" დაინტერესება რამ განაპირობა და მსგავსი ინტერესი სხვა ქვეყნებში თუ გაგაჩნიათ?

- შვეიცარიაში გამოცდილება მივიღეთ, სადაც ფეხბურთი არაა პოპულარული. საქართველოში გაცილებით მეტი გულშემატკივარია და ეს გვაიმედებს, რომ ინვესტიცია შედეგებს მოიტანს.

მერაბ მამულაშვილი

სადისციპლინო კომიტეტი

დამნაშავეები გუშინ დასაჯეს

გუშინ ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომა შედგა, რომელზეც მე-6 ტურის მატჩებში მომხდარ დარღვევებსა და ინციდენტებზე იმსჯელეს.

მთავარი განსახილველი თემა, რა თქმა უნდა, ზუგდიდში მომხდარი იყო. **ჯორჯ აკირემის** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს და ხელფასიდან 200 ლარის გადახდაც მოუწევს.

საფეხბურთო კლუბი ზუგდიდის "მგლები", რომელმაც ვერ უზრუნველყო თბილისის "დინამოსთან" 22 სექტემბრის მატჩის ვიდეოფირზე გადაღება 100 ლარით დაჯარიმდა. აკირემისთან მოჩხუბარი **ვლადიმერ ჯოჯუა** კი მეტოქის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 4 მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 500 ლარის გაღება მოუწევს პროფლიგის სასარგებლოდ. ასევე დაისაჯა ამავე კლუბის ფეხბურთელი **გელა ხუბუა.** არასპორტული საქციელის გამო ის 200 ლარიან ჯარიმასთან ერთად 1 მატჩსაც გამოტოვებს.

22 სექტემბრის "ბათუმი"-"სპარტაკის" მატჩის შემდეგ "ბათუმის" მწვრთნელმა **ალექსანდრე კანტიძემ** მატჩის არბიტრ **ჭაჭუას** სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით "ბათუმის" მწვრთნელი 10 მატჩითაა დისკვალიფიცირებული და 2 500 ლარის გადახდაც მოუწევს.

"მერანის" ფეხბურთელი **ლაშა ჯანგიძე,** რომელიც 23 სექტემბრის "ამერთან" მატჩის დროს გააძევეს, დისკვალიფიცირებულია 1 თამაშით და 50 ლარით დაჯარიმდა.

ასევე ერთი მატჩითაა დისკვალიფიცირებული რუსთავის "ოლიმპის" ფეხბურთელი **გიორგი კახელიშვილი.** მასაც ჯანგიძის მსგავსად 50 ლარის გადახდა მოუწევს. კახელიშვილის გარდა მომავალ მატჩში "ოლიმპი" დისკვალიფიცირებულ **მიხეილ მახვილაძეს** მოისაკლისებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** პრესის ფურცლებზე არაკორექტულ გამონათქვამებისათვის კი ამ ეტაპზე მხოლოდ გააფრთხილეს. მისი მხრიდან ანალოგიურის გამეორების შემთხვევაში ჩემპიონატის რეგლამენტით მიხედვით დაისჯება.

დავით ცაბაძე

ზუგდიდის არეულობის ინიციატორები გუშინ დასაჯეს

U 17. ევროპის ჩემპიონატი. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

დღეს გადამწყვეტი დღეა

უნგრეთის ნაკრების მწვრთნელები გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან

ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ალბენაში, 17-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე დღეს მეორე ტურის მატჩები გაიმართება. პირველ მატჩში ხორვატიასთან 0:4 წაგებით **ჰერბერტ ცანკერის** გუნდმა ჯგუფიდან გასვლის შანსები მნიშვნელოვნად შეიმცირა. თუმცა საბოლოოდ არ მოუსპია. უნგრელებმა პირველ ტურში მასპინძელი ბულგარეთი დაამარცხეს და თუ დღეს, ცანკერის გუნდმა უნგრელთა ძლევა მოახერხა, მაშინ ჯგუფიდან გამსვლელი მეორე საგზურისთვის ბრძოლას გააგრძელებს.

"შესარჩევი ციკლი ჩინებულად დავიწყეთ. თუმცა მასპინძელთა დიდი ანგარიშით ძლევამ არ უნდა მოგვადუნოს. მთავარი მატჩი ხვალ ქართველებთან გვაქვს. ამ თამაშის მოგებით ჯგუფიდან გასვლას გავინაღდებთ. ასე რომ, ოთხშაბათი ჩვენთვის გადამწყვეტი დღეა. მართალია საქართველო ხორვატიასთან დიდი ანგარიშით დამარცხდა, მაგრამ ეს გუნდი სუსტი ნამდვილად არაა და მობილიზება გვმართებს", - პრესასთან საუბარში აღნიშნა უნგრეთის 17-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **დიულა ჟივოტსკიმ.**

რაც შეეხება ჩვენს გუნდში არსებულ ვითარებას, ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და ტრავმები არავის ანუხებს. ბულგარეთ-უნგრეთის მატჩს **რალფ მინგე** და **პეტარ სეგრტი** დაესწრნენ. ჰერბერ ცანკერმა მატჩის ვიდეოფირიც ნახა და გუშინ გუნდთან ერთად გაარჩია კიდეც.

საქართველო-უნგრეთის მატჩი ჩვენი დროით 17 საათზე დაიწყება. მატჩის არბიტრი ყაზახი **სერგეი გოროხოვოდაცკია,** თანამსაჯები ყაზახი **ევგენი ბელშკი** და ბულგარელი **ვესელინ მიშელ დობრიანოვი,** ხოლო მეოთხე მსაჯი ბულგარელი **ცვეტან გეორგიევი.** უეფადან მსაჯთა დამკვირვებელი კი რუსი **ნიკოლაი ლევნიკოვი** გახლავთ. საქართველო-უნგრეთის მატჩის შემდეგ, ბულგარეთი და ხორვატია დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

დავით ცაბაძე

გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ინტერვიუ თემურ მახარაძესთან

ჩვენი მიზანი ევროთასეზე ასპარეზობაა

„ზესტაფონმა“ მიმდინარე ჩემპიონატი კარგად დაიწყო და ექვსი ტურის შემდეგ მხოლოდ თბილისის „დინამოს“ ჩამორჩება. იმერლებმა სეზონის დასაწყისშივე განაცხადეს, რომ ისინი ჩემპიონობისა და თასისთვის იბრძოლებდნენ. ბოლო პერიოდში გუნდს რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შეემატა, რომელთა მეშვეობითაც ისედაც ძლიერი შემადგენლობა კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი გახდა. იმერლებს საკმაოდ გრძელი და ძლიერი სათადარიგოთა სკამი აქვთ, რაც სეზონის განმავლობაში სტაბილურად გამოსვლის ერთ-ერთი წინაპირობაა. „ოლიმპთან“ გამარჯვების შემდეგ “ლელო” ზესტაფონელთა მთავარ მწვრთნელ თემურ მახარაძეს გუნდში მიმდინარე მოვლენებზე გაესაუბრა.

- თავდაპირველად „ოლიმპთან“ გამართულ მატჩზე ვისაუბროთ, რუსთაველებთან სამი ქულის აღება ძალიან გაგიჭირდათ...

- საქართველოს მოქმედ ჩემპიონს ვხვდებოდით და თავიდანვე ვიცოდი, რომ რთული თამაში იქნებოდა. „ოლიმპი“ კარგი გუნდია, გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავს და მასთან მართლაც გაგვიჭირდა. ჩვენთვის განსაკუთრებით რთული პირველი ტაიმი გამოდგა. ფეხბურთელებმა დაკისრებულ დავალებებს თავი ვერ გაართვეს, თუმცა მეორე ნახევარში ტაქტიკურ გადაადგილებებს მივმართე და ამან შედეგი გამოიღო. სტუმრებს ბოლო წუთებზე გატანილი გოლით მოვუგეთ. რაც მთავარია, მეტად მნიშვნელოვანი, საჭირო სამი ქულა ავილეთ და წინ კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით.

- თამაშში გარდატეხა შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა შეიტანეს. იონანიძე და ფიფია ბრწყინვალედ ჩაერთვნენ თამაშში. ამ უკანასკნელმა დუბლიც შეასრულა. ხომ არ აჯობებდა, ისინი თავიდანვე ძირითადი ყოფილიყვნენ?

- იონანიძე ძალიან ეფექტურია შეცვლაზე თამაშის დროს. იგი ფიზიკურად ძლიერი ფორვარდია და მეტოქეს მცირეოდენ შეცდომასაც არ პატიობს. იმავეს თქმა შემიძლია ფიფიაზეც. ჩვენი ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო, რომ საჭიროების შემთხვევაში, თავდასხმის მობილიზება მოგვეხდინა და საბოლოოდ ამან გაამართლა კიდეც. სხვათა შორის, ეტიენ ბიტოოც კარგად შემოვიდა და თამაში გაამწვავა. ჯერ კიდევ ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში ვართ და თავის გამოჩენის შანსი ყველას მიეცემა.

- გაბონელმა ეტიენ ბიტოომ უკვე სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რისი თქმა შეგიძლიათ ამ ფეხბურთელზე?

- გამოცდილი ფორვარდია. გაბონის ნაკრების შემადგენლობაში, თუ არ ვცდები 70-მდე მატჩი აქვს ჩატარებული. თავისი გუნდის ბომბარდირიც იყო. მოკლედ, კარგი ფებურთელია, ახლა ადაპტაციის პერიოდი აქვს, თუმცა კოჭებში ეტყობა, რომ გუნდისთვის სარგებლის მოტანა შეუძლია.

- რამდენად კმაყოფილი ხართ არსებული კონტინგენტით. არის თუ არა „ზესტაფონი“ ოპტიმალურად დაკომპლექტებული?

- ჩვენ დაგვემატა 5-6 ახალი ფეხბურთელი, რომლებსაც მოსამზადებელი პერიოდი ჩვენთან ერთად არ გაუვლიათ. გუნდი შეთამაშების პროცესშია. პირველ წრეში ცოტათი გაგვიჭირდება, მეორეში კი „ზესტაფონი“ საკმაოდ სერიოზული ძალა იქნება. ასეთი კონკურენცია გუნდში აქამდე არასდროს ყოფილა. ახლა ყველა პოზიციაზე ორი თითქმის თანაბარი დონის ფეხბურთელი გვყავს, რაც გრძელი, დამქანცველი სეზონის განმავლობაში ძალიან დიდ როლს ითამაშებს. შეიძლება ითქვას, რომ გუნდი კარგად არის დაბალანსებული.

- ბრაზილიელი სანტოსისგან თუ ისმის რამე?

- მის შესახებ არაფერი ვიცი. მოგეხსენებათ მის მეუღლეს ცუდი ამბავი შეემთხვა და მას შემდეგ ბაზილიაშია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ იგი საქართველოში დაბრუნდეს.

- გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეს „ზესტაფონთან“ იანვრამდე აქვს კონტრაქტი. იგი გუნდისთვის მეტად საჭირო ფეხბურთელად იქცა და თუ არის მასთან კონტრაქის გახანგრძლივებაზე საუბარი?

- ჯერ ვერ გეტყვით, ეს უკვე ურთიერთმოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. ჭელიძე „ზესტაფონისთვის“ მართლაც მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს და დიდი სურვილი მაქვს, რომ იგი იანვრის შემდეგაც ჩვენს გუნდში ვიხილო.

- გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე როდის დაუბრუნდება მინდორს?

- გიორგიმ საკმაოდ მძიმე ტრამვა გადაიტანა. კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი, თუმცა ახლა კარგად არის და ვარჯიშობს კიდეც. დაახლოებით 10 დღეში შემოგვიერთდება. მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ.

- რა ჩაითვლება „ზესტაფონისთვის“ სეზონის ბოლოს კარგ შედეგად?

- ევროთასებზე მოხვედრა. რომელიმე ევროტურნირზე აუცილებლად უნდა ვითამაშოთ.

- ალბათ, ამჯერად ინტერტოტოს თასით არ დაკმაყოფილდებით...

- რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგაზე ან უეფას თასზე გამოსვლა სჯობს და ჩვენ ამ მიზნისთვის ვიბრძოლებთ. წლეულს ინტერტოტოს თასზე ასპარეზობით გამოცდილება შევიძინეთ, რაც სამომავლოდ დაგვეხმარება.

თემურ მახარაძე

დავით კორძაია
ზესტაფონიდან

რატი წინამძღვრიშვილი

ამერი

წინამძღვრიშვილისთვის სეზონი დასრულებულია

რატი წინამძღვრიშვილი, რომელმაც საზაფხულო შეკრებაზე მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო, რამდენიმე დღეში ჩეხეთში გაემგზავრება და დაზიანებულ ადგილზე მეორე გეგმურ ოპერაციას გაიკეთებს. შეგახსენებთ, “ამერის” ახალგაზრდა ფორვარდი სწორედ ჩეხურ შეკრებაზე დაშავდა და მაშინ სასწრაფო ოპერაცია იქვე ჩაუტარდა.

დაზიანება საკმაოდ სერიოზულია, მაგრამ მედიკოსები იმედოვნებენ, რომ წინამძღვრიშვილის გამოჯანმრთელების პროცესი გეგმის მიხედვით წარმართება. ცუდი ისაა, რომ რატის დიდი პერიოდი გაუცდება, მიმდინარე სეზონი მისთვის დასრულებულია. არადა, იყო იმის ალბათობაც, რომ მას ვარჯიში მომავალი წლის დასაწყისიდან განეახლებინა.

რაც შეეხება “ამერის” კიდევ ერთ ახალგაზრდა თავდამსხმელ **ბესიკ ჩიმაკაძეს**, იგი მოედანს გაცილებით ადრე, მეორე წრიდან დაუბრუნდება. როგორც გახსოვთ, მან ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერი

მოდებაძე მეტალურგი აღარაა

ზაპოროჟიეს “მეტალურგში” აქამდე ორი ქართველი ირიცხებოდა. გუნდის კაპიტან **დავით კვირკველიას** გარდა კლუბის წევრი **ირაკლი მოდებაძეც** იყო. იყოო, იმიტომ ვთქვით, რომ გუშინ გავრცელებულ ცნობათა თანახმად, ზაპოროჟიეს “მეტალურგმა” ქართველ ფორვარდს კონტრაქტი გაუწყვიტა.

“ქართველ ფორვარდ ირაკლი მოდებაძეს ზაპოროჟიეს “მეტალურგმა” კონტრაქტი გაუწყვიტა. შეგახსენებთ, რომ ზაპოროჟიელთა გუნდში მოდებაძის ოფიციალური დებიუტი 2002 წლის 16 მარტს შედგა. გუნდის ქომაგებს ირაკლიმ უეფას თასის გათამაშების, 2002-03 წლების სეზონში , “ლიდსთან” გატანილი გოლით დაამახსოვრა თავი. თავდამსხმელმა ზაპოროჟიელთა გუნდში 81 მატჩი ჩაატარა და 16 ბურთი გაიტანა”, - ეს ინფორმაცია გუშინ უკრაინულმა წყაროებმა გაავრცელეს.

“მეტალურგთან” კონტრაქტის გაწყვეტა თავად ფეხბურთელის ინტერესებშიც იყო. მას სხვა გუნდში სურდა კარიერის გაგრძელება, სადაც მეტი სათამაშო დრო ექნებოდა, მაგრამ ზაპოროჟიელებისგან უარი მიიღო. როგორც ჩანს, მხარეები გვიან, მაგრამ მაინც შეთანხმდნენ.

დავით ცაბაძე

ფეხბურთელთა სტაჟირება ედუარდო დელგადოსთან

არგენტინაში

ვასილ აფციაური (დაბადებული 1990 წელს) და ხვიჩა მურღულია (1988) ემზადებიან არგენტინაში ედუარდო დელგადოსთან. ედუარდო დელგადოს მტკიცებით, მურღულიასა და აფციაურს შეეძლებათ, ითამაშონ საქართველოს 19 და 21-წლამდელთა ნაკრებ გუნდებში და მონაწილეობა მიიღონ საქართველო-ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში, რომელიც 2008 წლის მარტ-აპრილში თბილისში უნდა გაიმართოს. ედუარდო დელგადო მურღულიასა და აფციაურის თამაშის ამსახველ ვიდეომასალას მალე წარუდგენს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს განსახილველად.

დელგადო აგრძელებს საქართველოდან 16, 17, 18, 19 და 20 წლის ფეხბურთელთა მიწვევას და მაღალ დონეზე მომზადებას. მომზადების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. შესაბამისი მომზადების შემდეგ ფეხბურთელები წარდგენილნი იქნებიან არგენტინის საფეხბურთო კლუბებში და მონაწილეობას მიიღებენ ოფიციალურ მატჩებში. მომზადების პერიოდი (ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური) ფასიანია და არგენტინის მხარე მას არ უზრუნველყოფს. ასევე, სავიზო, ავიამოსახურებისა და მათი ადგილზე მომსახურების ხარჯები გაღებული უნდა იქნას მსურველთა მიერ. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან მიმდინარე წლის ოქტომბერში.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად და საბუთების გასაფორმებლად დაუკავშირდით არგენტინის წარმომადგენელს, მისამართზე:


სურათზე მარცხნიდან: ვასილ აფციაური, ედუარდო დელგადო, ნიკო პატარქალიშვილი (წარმომადგენელი), ხვიჩა მურღულია

თბილისი, ლეონიძის ქუჩა №4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარი ჩაწერით, ტელეფონზე 899 23 55 20. ტელეფონის საშუალებით დაწვრილებითი ცნობები არ მიიღება.

www.kazbegi.com

გახსენი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მამუკა კვარაცხელია

ინტერვიუ მამუკა კვარაცხელიასთან

ყოველი თეთრი წყალში ჩაიყრება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წლევანდელ სკანდალურ ყრილობაზე პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი მამუკა კვარაცხელია გახლდათ. ის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცის ყველაზე მწვავე და ცხარე ოპონენტი იყო და ახლაც იმავე პოზიციაზეა. კვარაცხელიას მიაჩნია, რომ ქართულ ფეხბურთს ფედერაციის ახლანდელი შემადგენლობით პერსპექტივა არ აქვს და ამას თავისი არგუმენტებით აყალიბებს.

- ფაქტია, რომ ფედერაციის წლევანდელი ყრილობის შემდეგ ხელისუფლება უფრო დაინტერესდა ქართული ფეხბურთის სვე-ბედით. ხომ არ ფიქრობთ, რომ ნოდარ ახალკაცის კიდევ ერთი გამარჯვება არჩევნებში პოზიტიური გამოდგა, რამეთუ ხელისუფლება ფედერაციის აქტიური პარტნიორი ხდება და ათეულობით მილიონ დოლარს დახარჯავს საქართველოში სტადიონების ასაშენებლად?

- ახალკაცის გამარჯვება ყველაზე ცუდი ვარიანტი იყო. როცა ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი გზით იმარჯვებენ არჩევნებში, ეს უკვე ერის ტრაგედიაა. საქართველომ ვერ გაითავისა, თუ რა მოხდა. სამწუხაროა, რომ ყოველივე ამაზე თითქმის არავინ არ ამოიღო ხმა.

- გასაგებია, მაგრამ იმას ხომ ვერ უარყოფთ, რომ ფეხბურთის განვითარებისთვის სერიოზული ინვესტიციები ჩაიდება და ეს უთუოდ წაადგება საქმეს...

- მე რომ გავმხდარიყავი ფედერაციის პრეზიდენტი, სახელმწიფოს თეთრსაც არ მოვთხოვდი, მხოლოდ ფედერაციის სახსრებით გავწვდებოდი საქმეს. რაც სახელმწიფომ ფედერაციას მისცა, იქიდან ყოველი თეთრი წყალშია გადაყრილი.

- მიგაჩნიათ, რომ პარტნიორობის ასეთი ფორმა არასწორია?

- ეს პარტნიორობა მხოლოდ სახელმწიფოსგან ფედერაციისთვის ფულის მიცემით იფარგლება. სტადიონები რომ აშენდება, ძალიან კარგია, მაგრამ ეს პანაცეა არ არის. ფეხბურთის პროდუქტი ფეხბურთელია და არა სტადიონი და თუ პროდუქტი ხარისხიანი არ იქნება, მომხმარებელი არ ეყოლება. ერთ მაგალითს მოვიყვანთ. ხომ გახსოვთ "თბილისი", რომელსაც თითქმის ყველაფერი ჰქონდა? საფეხბურთო სკოლა, კარგი მინდორი, გუნდიც კარგი ჩამოყალიბდა, მაგრამ მერე და მერე კლუბის მეპატრონე მიხვდა, რომ კლუბის ყოლა მხოლოდ ხარჯი იყო და ამ საქმეს შეეშვა. ფეხბურთის ფედერაციაში არ იციან, როგორ წარმართონ საქმიანობა ფეხბურთის გასავითარებლად.

- სტადიონები, FMMI, "კოლხიდა"... ყოველივე არაეფექტურად მიგაჩნიათ და რა გეზია თქვენთვის მისაღები?

- ბავშვთა ფეხბურთის, ეროვნული ჩემპიონატის და ნაკრებების განვითარების პროგრამა ფეხბურთის ფედერაციას არ აქვს შემუშავებული. ვფიქრობ, FMMI-ის მონაწილეობა ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ქმედითი იქნება, მაგრამ ეს თვითონ ფედერაციას უნდა გაეკეთებინა და ამას გარკვეული ცოდნა სჭირდება. ერთხელაც დავძენ, რომ ფედერაცია არასწორად ხარჯავს ფულს.

- კონკრეტულად რას გულისხმობთ?

- თუნდაც იმას, რომ ფედერაციის ძველმა შემადგენლობამ ახლანდელს ერთ მილიონ დოლარამდე დაუტოვა ნაკრებების ბაზაზე ორი მოედნის, სამათასიანი ტრიბუნის ასაშენებლად და კიდევ სხვა სახის კეთილმოწყობითი სამუშაოების შესასრულებლად, მაგრამ შეგიძლიათ მიხვიდეთ ბაზაზე და ნახოთ, რომ ყოველივე ეს იქ არ გაკეთებულა. ბაზა თავისთავად საჭიროა, მაგრამ ჩვენნაირი ქვეყნისთვის არ არის აუცილებელი.

- ანუ საქართველოს ნაკრებებს ბაზა არ უნდა ჰქონდეთ?

- თქვენ ადგილას რომ ვიყო, მეც დავსვამდი ასეთ კითხვას, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფედერაციას ნაკრებებისთვის ერთი ბაზა უკვე აქვს, მეორეც... უფრო ეფექტური იქნება, თუ ბაზის ასაშენებლად საჭირო თანხა დაიხარჯება დედაქალაქის ახლომახლო რამდენიმე მუნიციპალური მოედნის და პატარა სასტუმროების ასაშენებლად. ასეთ მოდელს ირჩევენ პატარა ქვეყნები, მაგალითად, დანია, რამეთუ ეს ხელს უწყობს მთლიანად ქვეყანაში საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარებას. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრებების ხელმოცარული მწვრთნელებისთვის სახელმწიფოსგან დაახლოებით ხუთი მილიონი დაიხარჯა. ამ თანხით კი რამდენიმე სტანდარტული მოედანი აიგებოდა.

- როგორია თქვენი პროგნოზი - უახლოეს ორ წელიწადში განვითარების რა სტადიაზე იქნება ქართული ფეხბურთი?

- სიტუაცია კიდევ უფრო დამძიმდება, ქართული ფეხბურთის აბსოლუტური კრახი გველის. წყალში ჩაიყრება მილიონები, გულშემატკივარი კი ნიჰილისტურად იქნება განწყობილი. თანაც ფედერაციას ქართველი მწვრთნელების აღზრდაზე ფაქტობრივად ხელი აქვს ჩაქნეული. უცხოეთში გამართულ სემინარებზე მხოლოდ ჩვენი ნაკრებების გერმანელი მწვრთნელები და გაიოზ დარსაძე დადიან. იმედი მაქვს, უახლოეს ორ წელიწადში ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნები გაიმართება.

დავით თავართქილაძე

თვალსაზრისი

გუნდს ქომაგი სჭირდება

ვიდრე „კოკოითი ფანდარასტს" საქმე ჭარბად აქვს და ცხინვალს სეპარატისტული რეჟიმი მართავს, ამ ქალაქის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკს" მშობლიურ არენაზე თამაში ვერ მოუხერხდება. შესაბამისად, გუნდის საშინაო შეხვედრებს ჯერჯერობით საშინაო არ ეთქმის. „სპარტაკისთვის" შინ და სტუმრად თამაშის ცნება პირობითი მნიშვნელობისაა. გორში ჩატარებულ მატჩებს ადგილობრივ მაყურებელთა ის რაოდენობა არ ესწრება, გულშემატკივრობამ ფეხბურთელებში დამატებითი ემოცია გამოიწვიოს და მობურთალთა გარჯაზე დადებითად იმოქმედოს.

საფეხბურთო კლუბი „ცხინვალი" დაარსებიდან მოყოლებული (1993 წ.) გორში იყო დაბანაკებული, ვინაიდან სწორედ შიდა ქართლის მთავარ ქალაქსაა შეფარებული დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი. ამჟამინდელი „სპარტაკი" თბილისში „ცხოვრობს" და გორს მხოლოდ „საშინაო" მატჩების გასამართად სტუმრობს. უწინდელივით არც გორელი ფეხბურთელები თამაშობენ ცხინვალის გუნდში და ალბათ, ამიტომაა, რომ „სპარტაკის" მატჩებს ფეხბურთის აქაური ქომაგი მცირე რაოდენობით ესწრება და ვინც ესწრება, ისიც უემოციოდ უყურებს მას.

გორის „დილის" თამაშებზე თუ ანშლაგი არაა, იმ რაოდენობის მაყურებელი მაინც დადის, მოთამაშეებს სტიმულს რომ მისცემს და იმ შემთხვევაში თუ სტუმართა გუნდსაც თავისი გულშემატკივარი ჰყავს ჩამოყვანილი საქომაგოდ, ტრიბუნებზეც ენერგიული ბრძოლაა ხოლმე გაჩაღებული.

ბოლო მაგალითი გავიხსენოთ: მეხუთე ტურში გორის სტადიონზე, ზედიზედ ორი დღე იმართებოდა მატჩი - „დილამ" „ზესტაფონს" უმასპინძლა, "სპარტაკმა" კი თბილისის „დინამოს". ორივე შეხვედრაში მოედანზე დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ პირველი მატჩი უკეთესი გამოდგა მეორეზე, რაშიც არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა გულშემატკივრის ფაქტორმა. „დილისა" და „ზესტაფონის" ქომაგების სტადიონის საპირისპირო ტრიბუნებიდან ხმაშეწყობილმა და ომახიანმა შეძახილებმა გვარიანი ხიბლი შემატა ბრძოლას. მეორე დღეს კი, სამწუხაროდ, ტრიბუნებზე მხოლოდ ერთი გუნდის ქომაგები ჩანდნენ და დინამოელები უფრო გრძნობდნენ თავს მასპინძლად, ვიდრე ცხინვალელები.

დროებითი ადმინისტრაციის მეთაურის **დიმიტრი სანაკოევის** „სპარტაკის" თითქმის ყველა თამაშზე დასწრება მისასალმებელი ფაქტია. მართალია ის კლუბის პრეზიდენტია და გუნდის მიმართ ასეთი ყურადღება ბევრმა ჩვეულებრივ მომენტად ჩათვალოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, იმ რეგიონის ხელმძღვანელს, სადაც სეპარატისტებისგან რეგულარულად ელიან პროვოკაციებს, საფეხბურთო მატჩზე დასასწრებად მეტ-ნაკლებად სერიოზული საქმის გადადება ყოველთვის მოუწევს.

„სპარტაკისთვის" ერთიორად სასიკეთო იქნება, თუ მატჩებს პრეზიდენტთან ერთად ლიახვის ხეობიდან რამდენიმე ათეული მცხოვრები მაინც დაესწრება. რაც უნდა დიდი ინტერესი ჰქონდეთ იქაურებს ფეხბურთისა, გორში „სპარტაკის" საქომაგოდ კონფლიქტის ზონიდან სიარული სულაც არაა იოლი.

„სპარტაკი" მართალია განსაკუთრებით ჭარბი ბიუჯეტით არ გამოირჩევა, მაგრამ ვფიქრობთ, ძნელი არ უნდა იყოს გუნდის მესვეურთათვის ლიახვის ხეობიდან გორში გულშემატკივართა მცირე რაოდენობის ჩამოყვანა მაინც. სწორედ კლუბის მესვეურთაგან არაერთხელ მოგვისმენია, ცხინვალის გუნდის არსებობა მარტო სპორტი არააო. სწორედ რომ მხოლოდ სპორტი არაა და ამ კლუბის არსებობაც მხოლოდ არსებობას არ უნდა ჰგავდეს, სხვა ყველაფერთან ერთად, გუნდს გულშემატკივარი სჭირდება.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ლეგიონერი

დრო სანდროსთვის

საქართველოს გასული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და საუკეთესო ბომბარდირი **სანდრო იაშვილი** გასულ ზაფხულს შვეიცარიულ "თუნში" გადავიდა. თუმცა ახალ გუნდში სანდრომ ჯერ ფეხი ვერ მოიკიდა, ჩემპიონატში ძირითად შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშია. ის მხოლოდ ორ შეხვედრაში იყო სასტარტოში, ამხანაგურ მატჩში "სტრასბურთან" და სათასო თამაშში ქვედალიგოსან "პორენტრუასთან".

სანდრო იაშვილი

კითხვები სანდრო იაშვილის ძირითადში არყოფნაზე, ქართველი ქომაგების გარდა, შვეიცარიელ ჟურნალისტებსაც გაუჩნდათ. ამის დასტურად "თუნის" მთავარ მწვრთნელ **რენე ვან ეკთან** ვებგვერდ espace-ზე გამოქვეყნებული ინტერვიუც გამოდგება. ინტერვიუს მეორე ნახევარი მთლიანად ქართველ ფორვარდს ეხება და ჩვენი მკითხველისთვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული:

"სანდრო იაშვილი დიდი შესაძლებლობების მქონე ფორვარდია. თავდაპირველად ის სათანადო ფიზიკურ კონდიციაში არ იყო და სპეციალური პროგრამით ვარჯიშობდა...

მართალია, მას სუპერლიგაში სასტარტო შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ სანაკრებო პაუზისას "სტრასბურთან" ამხანაგურ შეხვედრაში გავამწესეთ სასტარტოში და იმედები გაამართლა, დუბლი შეასრულა. იმ მატჩში სანდრო ჩინებულად წარმოჩნდა. მომდევნო შეხვედრაშიც, თასზე, "პორენტრუასთან" ძირითად შემადგენლობაში დავაყენე, გამოაცა. ის შეხვედრა ცუდად ჩაატარა. თითქოსდა სათანადოდ მოტივირებული არ იყო.

კარგად მესმის, რომ სანდრო იაშვილს დრო სჭირდება თავისი შესაძლებლობები სრულად წარმოჩენისთვის. ის ძალიან კარგი გულის, თბილი ადამიანია, მაგრამ მხოლოდ ამის გამო არ მიმიცია დრო თავის წარმოჩენისთვის. სანდროსთან მიმართებაში მომთხოვნი ვარ და ვფიქრობ, ასეცაა საჭირო. მას გარკვეული დრო მივეცი და მჯერა, ამ პერიოდს მაქსიმალურად და ნაყოფიერად გამოიყენებს".

დავით ცაბაძე

ფეხბურთი ყველასთვის

წლეულს ნიგვზარა...

საჩხერის რაიონის სოფელი კორბოული ტერიტორიით ერთ-ერთი ყველაზე დიდია საქართველოში. 1990 წლიდან მოყოლებული სოფელში ტარდება პირველობა ფეხბურთში უბნებს შორის, რომელშიც 2 ათასამდე მუდმივი და 500-მდე სეზონური ოჯახის წევრები მონაწილეობენ.

1996 წლიდან პირველობა ცალკე იმართება ბავშვებისთვისაც. ტრადიციული ტურნირის ორგანიზატორია დამსახურებული მწვრთნელი ძიუდოში **ჯემალ ბასილაძე**. გოგოლაძეების უბნელები ამაყობენ, რომ ცხრაჯერ გახდნენ სოფლის ჩემპიონები, სივსივაძეების უბანმა სამჯერ იპირველა, ნიგვზარელებმა - უკვე ორჯერ.

წლევანდელი ასპარეზობა ნიგვზარელებმა ოთხი წლის ლოდინის შემდეგ მოიგეს. ფინალში მათ სივსივაძეებს აჯობეს - 3:1

მერაბ ხარაიშვილი

გამარჯვებული გუნდი

ლეგიონერი



გივი კვარაცხელია

კვარაცხელიას დუბლი

დანიის ჩემპიონატის მეათე ტურის ბოლო მატჩში **გიორგი ფოფხაძის** "ვიბორგი" "ოდენსეს" ესტუმრა და 0:4 შერცხვა. სასტარტოში, დაცვის მარცხენა ფლანგზე ქართველმა მცველმა ითამაშა, თუმცა შესვენების შემდეგ (0:3) ის **მარტინ ოსლუნდით** შეცვალეს. "ვიბორგი" 10 ქულით 12-გუნდიან ჩემპიონატში მეცხრე ადგილზეა.

ლატვიურ ვირსლიგაში 22-ე ტურის მატჩები ჩემპიონ "ვენტსპილსის" და ლიდერ "რიგის" მატჩით გაიხსნა. მატჩს ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო, რაც ლატვიური საზომით კარგი მაჩვენებელია. შეხვედრა "ვენტსპილსმა" მოიგო (2:1) და მეტოქეს ლიდერობა დაუკარგვინა. ამ შეხვედრაში შეუცვლელად ითამაშა **ზურაბ მენთეშაშვილმა. დავით იმედაშვილი** "ვენტსპილსის" ძირითად შემადგენლობაშიც ვერ ხვდება, მან დუბლების მატჩში ითამაშა "რიგის" დუბლებთან (1:2) და მატჩის დასრულებამდე 13 წუთით ადრე გაათანაბრა კიდეც ანგარიში, თუმცა ამან მის გუნდს ვერ უშველა. ქართველმა ვისვალდის იგნატანსისგან მიიღო პასი, ორი მცველი მოატყუა და ისე გაიტანა.

რიგის "სკონტომ" სტუმრად 3:0 გაანადგურა "ოლიმპსი". **დავით გამეზარდაშვილი** 75-ე წუთამდე მოედანზე იყო, მას შემდეგ, რაც "სკონტომ" მესამე გოლი გაიტანა, მწვრთნელმა ქართველი მცველი გამოცვალა. **ზაალ ელიავას** კი, მოგეხსენებათ, ტრავმა აქვს.

ლიტვაში დუბლით გამოირჩა **გივი კვარაცხელია**, მისმა "კაუნასმა" სტუმრად 3:1 დაამარცხა "შიაულაი" - 3:1. გივი და **ნუკრი მანჩხავა** სასტარტო შემადგენლობაში იყვნენ, **აკაკი ხუბუტიას** არ უთამაშია. ქართველმა 57-ე წუთზე 2:1 დააწინაურა "კაუნასი", ხოლო 86-ე წუთზე ანგარიშს წერტილი დაუსვა. "კაუნასი" 65 ქულით პირველია და უახლოეს მდევარს ათი ქულით უსწრებს. **ვახტანგ კვარაცხელიას** "ვეტრა" სტუმრად "ატლანტასს" ეწვია და 2:1 მოუგო. ვახტანგი მოედანზე 53-ე წუთზე შევიდა, მატჩის მიწურულს მან ყვითელი ბარათი მიიღო. "ვეტრა" 44 ქულით მეხუთე ადგილზეა.

ბელარუსის ჩემპიონატის მორიგ ტურში ბრესტის "დინამო" ვიტებსკში "ლოკომოტივთან" დამარცხდა - 1:3. **რომან გოგინაშვილს** არ უთამაშია, **გია თოდუა** მატჩის 56-ე წუთზე ჩაერთო თამაშში. **ალექსანდრე შუბლაძის** "დნეპრი" შინ 2:3 დამარცხდა სოლიგორსკის "შახტიორთან".

მოლდოვაში კიშინოვის "დაჩია" მეორედ დამარცხდა (1:2 "რაპიდთან") და ერთბაშად მეხუთე ადგილამდე დაქვეითდა. "დაჩიას" რიგებში სასტარტოში იყვნენ **ვიტალი დარასელია** და **ჯაბა დვალი**. დარასელია 79-ე წუთზე შეცვალეს, მანამდე კი გააფრთხილეს. "შერიფმა" "ნისტრუს" 1:0 მოუგო, კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა. კიშინიოვის "ზიმბრუმ" შინ 1:0 დაამარცხა "სტალი", მასპინძელთა შემადგენლობაში სრულად ითამაშა ქართველმა მცველმა **მამუკა ლომიძემ**. გათამაშებას 27 ქულით "შერიფი" ლიდერობს, "ზიმბრუ" ჩემპიონს ერთი ქულით ჩამორჩება, "დაჩიას" 23 ქულა აქვს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ზურაბ მენთეშაშვილი (10)

ფიფა აბრამიძეს გამოესარჩლა



ვალერი აბრამიძე

ლენქორანის "ხაზარის" ხელმძღვანელობა საქვეყნოდ შერცხვა. გუნდი ფეარ-ფლეის პრინციპებს რომ არღვევს, ეს ფიფამაც დაადგინა.

ფეარ-ფლეი არის სანიმუშო ქცევა, ურთიერთობა, დამოკიდებულება, მიღებული, დაწერილი და დაუწერელი კანონების აღსრულება.

ამ პრინციპებს აზერბაიჯანის ჩემპიონმა ქართველ მცველ, **ვალერი აბრამიძესთან** ურთიერთობაში უღალატა. აბრამიძემ შარშან "ხაზართან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და რადგან მისი ვადა ამოიწურა, ზაფხულში მახაჩყალის "ანჟისთან" კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა.

შემდეგ რაც მოხდა, ცნობილია - ლენქორანის კლუბმა მოულოდნელად აზერბაიჯანულ ენაზე შედგენილი ორწლიანი კონტრაქტი წარმოადგინა და "ანჟის" სატრანსფერო თანხა მოსთხოვა.

აბრამიძე მიხვდა, რომ ხელმოწერისას მოატყუეს, მეორე პირი შეცდომით შეაპარეს და არც აცია, არც აცხელა და "ხაზარს" ფიფაში უჩივლა.

"ფიფას მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტმა ქართველ მცველს, ვალერი აბრამიძეს მახაჩყალის "ანჟიში" თამაშის დროებითი უფლება დართო" - გუშინ ეს ინფორმაცია "აზერისპორტმა" გაავრცელა.

მეორე აზერბაიჯანული სააგენტო "აპა სპორტმა" კი ლენქორანელთა ვიცე-პრეზიდენტის, **ტუიგუნ ნადიროვის** კომენტარი გამოაქვეყნა:

"ფიფამ აბრამიძეს გამოსვლის უფლება დროებით იმის გათვალისწინებით მისცა, რომ დიდი ხანია ვერ თამაშობს. მალე საკითხს მოთამაშეთა სტატუსის კომიტეტი ისევ განიხილავს. ფიფამ საქმის გამოძიების დაწყების და დასრულების დრო არ მიუთითა. თუკი საბოლოო გადაწყვეტილებას ჩვენს სასარგებლოდ გამოიტანენ, აბრამიძეს თამაშს აუკრძალავენ. ვფიქრობ, ასეც მოხდება, რადგან კანონი ჩვენს მხარესაა. გვაქვს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ კონტრაქტი ორწლიანია, ასლები კი კლუბში და ფედერაციაში ინახება. ბუნებრივია, აბრამიძეს საკონტრაქტო თანხა გადავუხადეთ და თანხის დაბრუნებას მოვითხოვთ. თავისუფალი აგენტის სტატუსს მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებს ".

აბრამიძე "ანჟიში" ოთხი თვეა ვარჯიშობს, მაგრამ ვერ თამაშობს. სატრანსფერო ფანჯრის დახურვის მიუხედავად, ფიფას გადაწყვეტილება დაღესტნურ კლუბს ქართველი ლეგიონერის განაცხადში შეყვანის უფლებას აძლევს. ნადიროვის განცხადების მიუხედავად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ფიფა ქართველის სიმართლეშია დარწმუნებული. სხვაგვარად, თამაშის ნებას დროებითაც არ დართავდა.

მერაბ მამულაშვილი

რევაზ ძოძუაშვილი

ძოძუაშვილი ყაზახ მსაჯებსაც მისწვდა

22 სექტემბერს ყარაღანდის "შახტიორმა" გასვლითი მატჩი "ჟეტისუსთან" 0:1 წააგო და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გაირთულა. თუმცა ყარაღანდელთა მთავარი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი** თვლის, რომ თამაში მის გუნდს არ წაუგია, მეტოქემ სამი ქულა ალმაატელი არბიტრის უსამართლო გადაწყვეტილებებით მოიპოვა.

ბატონი რეზო სკანდალურ განცხადებებს საქართველოშიც არ ერიდებოდა, ახლა კი ყაზახეთში აბობოქრდა.

"ყაზახეთს აქვს ყველა პირობა, მსოფლიო საფეხბურთო გრანდებში რომ გაერიოს. ახლა ჩვენს ჩემპიონატს რესპუბლიკის გარეთაც უყურებენ. ამ დროს გასაოცარია, როდესაც ლიდერების შეხვედრაზე გამოუცდელ მსაჯს ნიშნავენ. ჩვენც და "ჟეტისუც" სერიოზული ბრძოლისთვის ვემზადებოდით. თუმცა პატიოსანი თამაში არ გამოვიდა. გამოჩნდა, რომ მსაჯის არაკვალიფიციურობას შეხვედრის ბედის გადაწყვეტა შეუძლია" - განაცხადა ყაზახურ ინტერნეტგაზეთ "სპორტთან" საუბარში "შახტიორის" მწვრთნელმა.

ძოძუაშვილი იმითაც უკმაყოფილო გახლდათ, რომ **ლევან მელქაძე** 35-ე წუთზე "ჟეტისუს" მცველმა უხეშად მოცელა და გაძევებას ვინ ჩივის, მსაჯმა ყვითელი ბარათითაც კი არ დასაჯა. ტრავმა იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ ლევანმა მოედანი დატოვა და შესაძლოა, ჩემპიონატის ბოლომდე დაისვენოს. 27 წლის ქართველ თავდამსხმელს გუნდში ვერ იყენებდნენ, მას ხან საყრდენ ნახევარმცველად ათამაშებდნენ, ხან მარცხენა ფლანგზე და ხანაც ფლეიმეიქერად. ძოძუაშვილის ხელში მელქაძე ისევ გაიხსნა და გუნდისთვის დიდ ძალად გადაიქცა. მისი ტრავმა "შახტიორისთის" სერიოზული დანაკლისი იქნება.

მერაბ მამულაშვილი



იურგენ კლინსმანი

მწვრთნელი

კლინსმანი: ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები

იურგენ კლინსმანი, რომლის ბედსაც ჩვენი ინგლისელი კოლეგები ლონდონის "ჩელსის" უკავშირებენ, ღიად აცხადებს, რომ მუშაობის განახლების უდიდესი სურვილი აქვს. გაზეთ "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში კლინსიმ განაცხადა, მუშაობის დაწყება იმდენად მინდა, რომ პირველსავე სერიოზულ წინადადებას დავთანხმდებიო. "თუკი იქნება ისეთი შემოთავაზება, რომელიც ყოველმხრივ დამაკმაყოფილებს, მაშინვე დავთანხმდები. მაგრამ მუშაობას მხოლოდ სერიოზულ გუნდში და სერიოზული ხალხის გარემოცვაში დავიწყებ. მოუთმენლად ველი იმ დღეს, როცა მწვრთნელად წარმადგენენ. გერმანიის ნაკრებში მუშაობამ უდიდესი გამოცდილება შემძინა. წელიწადი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ კარგად დამესვენა. საქმის კეთება მომენატრა," - აცხადებს 43 წლის კლინსმანი ხსენებულ ინტერვიუში.

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა ამ განცხადებას სულ სხვა ინტერპრეტაცია მისცეს. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ კლინსმანი ამ სიტყვებით "ჩელსიში" დანიშვნას ესწრაფვის. როგორც იცით, მას **ჯოზე მოურინიოს** სავარაუდო შემცვლელთა სიაში ასახელებენ. ნიშანდობლივია, რომ კლინსიმ ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, როცა გაზეთმა "დეილი მეილმა" "არისტოკრატების" გულშემატკივრებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, სადაც კლინსიმ ხმათა უმრავლესობით (30 პროცენტი) ისეთ დიდ სპეციალისტებს აჯობა, როგორებიც **გუუს ჰიდინკი, მარჩელო ლიპი** და **ფაბიო კაპელო** არიან. ფაქტია ისიც, რომ იურგენი ინგლისში ძალიან უყვართ.

ბოლო დროს კლინსმანის ბედს ჟურნალისტები ლოს ანჯელეს "გალაქსის", "ტოტენჰემს" და ავსტრიის ნაკრებს უკავშირებდნენ. თვითონ იურგენს კი არაერთხელ უთქვამს, რომ გადაწყვეტილებას მხოლოდ ოჯახის წევრებთან კონსულტაციების შემდეგ მიიღებს. მაგრამ ფაქტია, რომ ლონდონს კლინსმანის მეუღლის დასაწუნი არაფერი სჭირს.

იუვენტუსი. ტრანსფერები

ვინ შეცვლის ანდრადეს?

დი ბიაჯო ძალბატონსაც მოუნდა...

ჟორჟე ანდრადე

"იუვენტუსი" **ჟორჟე ანდრადეს** შემცვლელს ეძებს. ეს ინფორმაცია "ბებერი ბალბატონის" პრეზიდენტმა, ჯოვანი კობოლი ჯილიმ დაადასტურა. "რომასთან" მატჩისას (2:2) პორტუგალიელმა მცველმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო. მან ხანგრძლივი შვებულება გამოიწერა. იტალიური სააგენტოების ცნობით, "იუვეს" ფავორიტი მოსკოვის "ლოკომოტივის" სერბი მცველი **ბრანისლავ ივანოვიჩია**. ტურინელები ფენერბაჰჩელი **დიეგო ლუგანოსა** და უდინეზელი **კრისტიან საპატას** კანდიდატურებსაც განიხილავენ. "იუვე" მცველს იანვრის ტრანსფერებისას შეიძენს. იქამდე **კლაუდიო რანიერის** მის ხელთ არსებული კადრებით მოუწევს ფონს გასვლა.

"ქალბატონს" ნახევარდაცვის გაძლიერებაც სურს. პორტუგალიელი **ტიაგო მენდესი** ცუდ ფორმაშია. ინტენსიურად განიხილება ვეტერანი **ლუიჯი დი ბიაჯოს** საკითხი. ის თავისუფალი აგენტია. ივნისში დი ბიაჯოს ბრეშასთან კონტრაქტი ამოეწურა. თანამშრომლობის გაგრძელება კი არ შესთავაზეს. ცოტა ხნის წინათ ლუიჯის "ლაციოში" გადასვლაც უწინასწარმეტყველეს. ასე რომ, მას იანვრის ტრანსფერებისას, შეიძლება, ორი ერთმანეთზე უკეთესი კონტრაქტი შესთავაზონ.

ინციდენტი

ლაციოს 66 ჰიფოზი ციხეში მიაბრძანეს

იტალიის პოლიციამ "ლაციოს" 66 ქომაგი დააპატიმრა. ყველა მათგანი ხულიგნობაშია ეჭვმიტანილი. დაპატიმრებულთა უმეტესობას დანები, მაჩეტები და სხვა სახის ცივი იარაღი ჩამოართვეს. სამართალდამცველთა განცხადებით, ბორტმოქმედთა ჯგუფი ბერგამოში, "ატალანტა"-"ლაციოს" მატჩზე დასასწრებად მიემგზავრებოდა. პოლიციის შეფმა **ლამბერტო ჯანინიმ** თქვა, რომ სპეცოპერაციის შედეგად უპრეცედენტო მასშტაბის ინციდენტი და შესაძლოა, ტრაგედიაც აიცილეს თავიდან. მისივე მტკიცებით, დაპატიმრებები გაგრძელდება. იტალიური ფეხბურთი ძალადობისგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიწმინდოს. თებერვალში, "კატანია"-"პალერმოს" კალენდარული მატჩის შემდეგ ერთი პოლიციელი გარდაიცვალა. გასულ უქმეებზე "ჯენოასა" და "სამპდორიის" დერბის წინ მეტოქე გუნდების ქომაგებმა ხელჩართული ჩხუბი გააჩაღეს. პოლიციას წესრიგის აღსადგენად დიდი ძალისხმევა დასჭირდა.

იტალია. სერია A. V ტურის წინ

ძალიან, ძალიან საინტერესო...

ფიორენტინა-რომა ტოტის გარეშე

დღეს

კაგლიარი-ევპოლი
ფიორენტინა-რომა
ჯენოა-უდინეზე
ინტერი-სამპდორია
იუვენტუსი-რეჯინა
ლაციო-კალიარი
ნაპოლი-ლივორნო
პალერმო-მილანი
პარმა-ტორინო
სიენა-ატალანტა

მეხუთე იტალიური ტური მეტისმეტად საინტერესოა. მართალია, დღეს გრანდების უშუალო დაპირისპირებას ვერ ვნახავთ, მაგრამ რამდენიმე ისეთი წყვილია, ერთი დიდი ჯახიც შეიძლება გადაწონოს, მაგალითად, ცენტრალური თამაში "ფიორენტინა"-"რომა". ორივე გუნდი კარგ ფორმაშია. ალბათ, "ჯალოროსიზე" ნაკლებად იმოქმედებს "იუვენტუსთან" მატჩში ბოლო წუთზე გაშვებული გოლი, რის გამოც 3 ქულა ხელიდან გაუფრინდა. **ლუჩანო სპალეტის** გუნდი საკმარისად ძლიერია და საყურადღებოა, რომ ამ სეზონში ორივე გასვლითი თამაში მოგებული აქვს. "ფიორენტინამ" კი ჯერ მხოლოდ 2 ქულა დაკარგა შინ, როცა 10 დღის წინათ "ატალანტას" დაუზავდა (2:2). შესაძლოა, დღევანდელ თამაშში მასპინძელთა შანსი ცოტა მეტი იყოს იქიდან გამომდინარე, რომ "რომას" **ფრანჩესკო ტოტი** დაუშავდა. დიახ, "პუპონემ" გუშინ ვერ ივარჯიშა და როგორც კლუბის სამედიცინო შტაბი იუწყება, მას არამარტო ფლორენციული მატჩი, შესაძლოა, "ინტერთან" მომავალი შეხვედრა და ზედაც "მანჩესტერ იუნაიტედთან" სალიგო გასვლა გაუცდეს. ტოტის დღეს ის **მირკო ვუჩინიჩი** შეცვლის, რომელიც სპალეტიმ ორი ტურის შემდეგ ძირითადიდან ამოაგდო.

დაშავებულია **სიმონე პეროტაც**. თუმცა ტრავმა არ არის იმ სირთულის, რომ ნახევარმცველს დღევანდელ დაპირისპირებაში მონაწილეობის იმედი გადაეწუროს. თუ პეროტამ მაინც ვერ ითამაშა, მის ადგილს **დავიდ პისარო** დაიკავებს, შესაძლოა, **მატეო ბრიგიც**. "იუვესთან" მატჩში დაშავდა ასევე **მარკო კასეტი** და "იებთან" შესახვედრად ვერც ის გაემგზავრა. აქედან გამომდინარე, სპალეტი დღეს პირველად დააყენებს სასტარტოში ბრაზილიელ **სისინიოს**. რაც შეეხება "ფიორენტინას", აქ ტრავმირებული რჩება მხოლოდ **მარტინ იორგენსენი**, ვისაც წარმატებით ცვლის "პალერმოდან" მოსული **მარიო სანტანა**. შესაძლოა, **ჩეზარე პრანდელიმ** აქცენტი ექსკიევოელ **ფრანკო სემიოლიზეც** გააკეთოს.

"პალერმო", რომელმაც პირველ ტურში წაგების შემდეგ ორი შეხვედრა მოიგო და ერთი ფრედ დაასრულა, "მილანის" მასპინძელი იქნება. ექსპერტმომხილველთა მოსაზრებას თუ დავესესხებით, სიცილიური კლუბი კარგად ათამაშდა, შესაბამისად, სეზონის წინ დასახული მიზანი, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას გულისხმობს, უცვლელი რჩება. უეჭველია, რომ "მილანიც" ნელ-ნელა აინევს ზემოთ, მაგრამ ზედიზედ 3 ფრე და აქედან ორი საკუთარ მოედანზე, **კარლო ანჩელოტის** აიძულებს, მიმდინარე პრობლემებზე უფრო მეტი იფიქროს. "როსონერის" თავდასხმაში უჭირს. **ალბერტო ჯილარდინოსა** და **ფილიპო ინძაგის** ჩემპიონატში ჯერ გოლები არ გაუტანიათ, **რონალდო** კი ტრავმირებულია. 6-დან მარტო 3 გოლი **კაკაზე** მოდის. უშუალოდ დღევანდელი მატჩის წინ შექმნილ სიტუაციას რაც შეეხება, "პალერმოს" პრობლემები არ აქვს, თუ ჩავთვლით **ჩირო კაპუანოს** ტრავმას. "მილანიც" მეტ-ნაკლებად საბრძოლო შემადგენლობით ითამაშებს. "გაძეტა დელო სპორტის" ვერსიით, **კახა კალაძე** კვლავ რეზერვში მოიაზრება.

"არანაირი პანიკა და არც მანჩინის ემუქრება რაიმე საფრთხე, მაგრამ ფაქტია, რომ საქმე ვერ მიდის კარგად და სიტუაცია დროულად გამოსწორებას მოითხოვს", - აცხადებს "ინტერის" მფლობელი და პრეზიდენტი **მასიმო მორატი**. ეთა რეკორდზე მიდის და ამ განხრით, არც პარმელებს აქვთ "ურიგო შედეგი". მასპინძლებს შეტევაში ორი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლებათ, **დომენიკო მორფეოსა** და **იგორ ბუდანის** სახით. წინა ხაზში დანაკლისი აქვთ "ბრონეულებსაც": ტრავმის გამო **ნიკოლა ლაზეტიჩი** ვერ ითამაშებს.

პირველ მოგებაზე იქნება დაგეშილი "ჯენოაც". ამასთან, გენუელებს გოლებიც უჭირთ და ეცდებიან, ამ პრობლემასაც უშველონ. თუმცა "უდინეზეს" ჰყავს **ანტონიო დი ნატალე**, რომელსაც უკანასკნელ სამ მატჩში (ნაკრების ჩათვლით) 5 გოლი აქვს გატანილი. "ნაპოლი" ბოლოხანს მოღონიერებულ "ლივორნოს" მიიღებს. მასპინძელთა პრობლემად რჩება ძირითადი მეკარის **ჯენარო იეცოს** ტრავმა. დაშავებულია არგენტინელი ფორვარდი **ეზეკილ ლავეციც**. ტოსკანელებს საბრძოლო შემადგენლობა ჰყავთ. "კატანია" კი "ემპოლის" წამყვანი ნახევარმცველის **დავიდე ბაიოკოს** (დისკვალიფიკაცია) გარეშე უმასპინძლებს.

სასჯელს მოიხდის "სიენის" რუმინელი ნახევარმცველი **პაულ კოდრეაც**. კარგად მოთამაშე "ატალანტას" კი, რომელსაც სიენაში მძიმე თამაში ელის, უფრო მოჭარბებული ტრავმების პრობლემა აწუხებს, თუმც **ლუიჯი დელ ნერის** არჩევანი მაინც სოლიდური აქვს.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. რომა	4	3	1	0	9-2	10
2. ინტერი	4	2	2	0	7-3	8
3. ატალანტა	4	2	2	0	7-4	8
4. ფიორენტინა	4	2	2	0	7-4	8
5. ნაპოლი	4	2	1	1	7-2	7
6. იუვენტუსი	4	2	1	1	10-6	7
7. პალერმო	4	2	1	1	6-5	7
8. უდინეზე	4	2	1	1	4-6	7
9. მილანი	4	1	3	0	6-3	6
10. სამპდორია	4	1	2	1	2-3	5
11. ტორინო	4	0	4	0	6-6	4
12. კალიარი	4	1	1	2	5-5	4
13. ლაციო	4	0	3	1	3-4	3
14. პარმა	4	0	3	1	4-6	3
15. ჯენოა	4	0	3	1	1-4	3
16. კატანია	4	0	2	2	2-5	2
17. რეჯინა	4	0	2	2	3-7	2
18. სიენა	4	0	2	2	3-7	2
19. ევპოლი	4	0	2	2	1-5	2
20. ლივორნო	4	0	2	2	6-12	2

რას იზამს რომა ფრანჩესკო ტოტის გარეშე?

ბარსელონა

რონალდინიოს ულტიმატუმი წაუყენეს

გაუჩოს ორი გამოსავალი აქვს: ან ძველებურად უნდა ათამაშდეს, ან გუნდი დატოვოს

რონალდინიოსთან დაკავშირებული სკანდალი პიკს აღწევს. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში მოგახსენეთ, რომ ბრაზილიელ ვარსკვლავს "ჩელსიში" გადაბარგების შანსი გაუჩნდა. როგორც ჩანს, გაუჩოს კატალონიური ხანა მართლაც დასასრულს უახლოვდება.

გუშინ, "დიარიო მარკაში" ძალიან საინტერესო სტატია დაიბეჭდა. მადრიდულ გამოცემაში ვკითხულობთ, რომ "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ **რონალდინიოს** ულტიმატუმი წაუყენა. ის ან მეტს ივარჯიშებს და უწინდებურად ათამაშდება, ან ტრანსფერზე დააყენებენ. დაგვეთანხმებით, მსოფლიო დონის ვარსკვლავისთვის ასეთი წინადადებით მიმართვა ერთობ შეურაცხმყოფელია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ რონალდინიო თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს და აცხადებს, რომ ბოლომდე იხარჯება. მიუხედავად ამისა, **ჟოან ლაპორტას** აბსოლუტურად განსხვავებული მოსაზრება აქვს. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ასპარეზზე ფეხბურთელის ძმა **რობერტო დე ასისი** გამოვიდა. როგორც იცით, ის გაუჩოს მენეჯერიცაა. ამ ღრმად პატივცემულმა პიროვნებამ ესპანურ მედიაში "ბარსას" მეათე ნომრის წინააღმდეგ დაწყებულ მიზანმიმართულ, მავნებლურ კამპანიაზე ისაუბრა. რობერტო დე ასისმა გუშინ მასობრივი ინფორმაციის წყაროები კიდევ ერთხელ გამოიყენა და განაცხადა: *"ყოველწამიერად ვრწმუნდები, რომ ჩემი ძმის წინააღმდეგ გარკვეული კლანი მოქმედებს. ის მზად არის, კონსტრუქციული კრიტიკა მიიღოს და დასკვნები გამოიტანოს, მაგრამ რაც დღეს ხდება, კონსტრუქციულობისგან ძალიან შორს არის. შთაბეჭდილება მრჩება, რომ მხოლოდ ერთადერთ გზას გვიტოვებენ. რონალდინიო "ბარსელონიდან" უნდა წავიდეს. იმედია, ამპარტავნებაში არ ჩამოგვართმევთ, მაგრამ ამაყად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩემს ძმას რომელიმე გრანდში მოწყობა არ გაუჭირდება. პლანეტის უმდიდრესი კლუბები მზად არიან დიდძალი ფული დღესვე გადაიხადონ და წინასწარი კონტრაქტი გააფორმონ."*

რობერტო დე ასისის განცხადება მრავალ კითხვას სცემს პასუხს. რონალდინიოთი დაინტერესებული კლუბები კარგად ხვდებიან, რომ ეს ის მომენტია, როცა აქტიურ მოქმედებაზე უნდა გადავიდნენ. ამ ეტაპზე ყველაზე ენერგიულად "ჩელსი" იღვწის. "დიარიო მარკას" კორესპონდენტმა **პაბლო სანტიმ** დაადგინა, რომ **რომან აბრამოვიჩი** მზადაა კატალონიურ გრანდს ზღაპრული თანხა გადაუხადოს. საუბარი 125 მილიონ ევროზეა. ლაპორტამ ეს თანხა თავად დაასახელა. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ რონალდინიოსთან კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ, "ბარსელონა" სწორედ ამ თანხით უნდა დაკმაყოფილდეს. ვის, ვის და აბრამოვიჩს ეს ასტრონომიული ციფრი არ შეაშინებს. უფრო მეტიც, რუსი მულტიმილიარდერი მზადაა, გაცილებით მეტი თანხა გაიღოს. იმ შემთხვევაში, თუ რონალდინიო "ჩელსიზე" შეაჩერებს არჩევანს, ორი წლის განმავლობაში, არც მეტი, არც ნაკლები, 84 მილიონ ევროს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ეს არ იქნება მისი ხელფასი. ჯამაგირს ის ცალკე მიიღებს. გამოგიტყდებით, ასეთი შეთავაზების შემდეგ, სასწაული უნდა მოხდეს, ბრაზილიელი კვლავ "კამპ ნოუზე" რომ დარჩეს...

გუშინ, რონალდინიოს ლეგენდარულმა იოჰან კრუიფმაც გაჰკრა კბილი. აი, რა განაცხადა "ბარსას" ყოფილმა დამრიგებელმა: "გუნდი ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდი. მწვრთნელი უფლებამოსილია, შემადგენლობის დაკომპლექტებისას გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად მიიღოს. გარდა ამისა, ის ასევე თავისუფალია იმ სამი ცვლილების განხორციელებისას, რომლის უფლებასაც საფეხბურთო წესები აძლევს. ნებისმიერი კლუბის დამრიგებელი ცდილობს, მოედანზე საუკეთესოდ მომზადებული შეგირდები გაუშვას. ვფიქრობ, ეს სრულიად ბუნებრივია. და თუ რონალდინიო, ან ნებისმიერი სხვა, ნაკრებში თამაშის ან შორეული მგზავრობის გამო ფორმაში არ არის, უნდა შეეგუოს აზრს, რომ ადგილი სხვას უნდა დაუთმოს. ამ სიტუაციაში ცხვირის ანევა და სკანდალის მოწყობა, უბრალოდ, სამარცხვინოა.

ამასობაში, ჟოან ლაპორტამ საფეხბურთო საზღვრები კიდევ ერთხელ დაარღვია და პოლიტიკურ სივრცეში შეიჭრა. "ბარსას" პრეზიდენტი უკვე დაუფარავად აცხადებს, რომ კატალონია ესპანეთისგან იჩაგრება: *"ამ თემაზე უკვე ვისაუბრე, მაგრამ მიმდინარე მოვლენები იძულებულს მხდის, ძალიან აქტუალური თემა კიდევ ერთხელ წამოვატივტივო. "ბარსელონა" კატალონიის სიამაყეა. აქედან გამომდინარე, თავს უფლებამოსილად მივიჩნევ, ჩვენი საფეხბურთო სამყაროს სახელით ვისაუბრო. კატალონიელთა სულ მცირე 90 პროცენტი, საკუთარ ნაკრებზე ოცნებობს. მათ სურთ, რომ ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა მუნდიალზე იასპარეზოს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუკი შოტლანდიას აქვს იმის საშუალება, რომ ნაკრები იყოლიოს, კატალონიამ რა დააშავა. სამწუხაროდ, ესპანეთის მთავრობისა და ფეხბურთის სამეფო ფედერაციის ოფიციალურ პირებს ეს არ ესმით. პირადი არხებით შევძელით რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა დაგვეგეგმა. ამერიკის შეერთებული შტატებიდან თანხმობა მივიღეთ, მაგრამ როგორც იცით, ესპანელებმა სკანდალი მოაწყვეს. არ მესმის, როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ჩაგვრა. ხოსე ლუის როდრიგეს სპატერო (ესპანეთის პრემიერმინისტრი) პროგრესულ პოლიტიკოსად მიმაჩნდა. სხვათა შორის, ის "ბარსას" ფანია, მაგრამ გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ ამ კაცმა იმედები მთლიანად გამიცრუა. საპატეროს თითი თითზე არ დაუკარებია იმისთვის, რომ კატალონიის ინტერესები დაეცვა."*

ლაპორტას გამოსვლის სითამამით გაოცებულმა ჟურნალისტებმა ერთობ საინტერესო კითხვა დასვეს. მათ აინტერესებდათ, სენიორ ჟოანი პოლიტიკაში მოსვლაზე თუ ფიქრობს. კატალონიური გრანდის პრეზიდენტმა ასეთი პასუხი გასცა: *"თუ დავრწმუნდები, რომ ხალხს დავჭირდები, არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ნამდვილად არ ვიტყვი. ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კატალონიის ინტერესებზე მაღლა არაფერს დავაყენებ."*

დასასრულს, ლაპორტამ "კამპ ნოუს" რეკონსტრუქციაზეც ისაუბრა და საზოგადოებას ერთი გეგმა გაუმხილა: *"დიდი იმედი მაქვს, რომ რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ ჩვენ სტადიონს პლანეტის საუკეთესო საფეხბურთო არენის სტატუსს მიანიჭებენ. ამისთვის დიდი ფული დაიხარჯება. მჯერა, ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ჩვენ გვსურს. არ გამოვრიცხავ, სამუშაოების დასრულების შემდეგ "კამპ ნოუს" სახელი შევუცვალოთ. ეს პრაქტიკა "არსენალმა" და მიუნხენის "ბაიერნმა" წარმატებით დანერგეს. მოკლედ, ვნახოთ. შესაძლოა, პლებისციტი მოვანყოთ და გადაწყვეტილება საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მივიღოთ."*

რონალდინიო დიდი ტრანსფერისთვის ემზადება

ძნელი სათქმელია, რამდენად შეძლებს ლაპორტა პოლიტიკაში მისვლასა და დამკვიდრებას. ერთი რამ კი ფაქტია, "ბარსელონის" პრეზიდენტმა ესპანეთის პოლიტიკური ელიტა მეტისმეტად დაიპირისპირა. ქვეყნის კონგრესში მას არასერიოზულ ადამიანად იხსენიებენ...

ილია ნიკოლაიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

კასილიასმა სადაზღვევო გარანტია მიიღო

იკერ კასილიასმა ხელების დაზღვევა გადაწყვიტა. "რეალის" გოლკიპერი თუ ტრავმას მიიღებს, კლუბის ხელმძღვანელობა, რა თქმა უნდა, პრემიალურ თანხას არ გადაუხდის. ეს კი სოლიდურ ფინანსურ დანაკარგებთან იქნება დაკავშირებული. ერთ-ერთ ესპანურ სადაზღვევო სააგენტოსთან 25 სექტემბრის 13 საათსა და 30 წუთზე მოწერილი ხელშეკრულების ძალით, კასილიასი ფულის დაკარგვისგან დაზღვეული იქნება. კონტრაქტის თანახმად, წელიწადში მან სულ რაღაც 6 ათასი ევრო უნდა გადაიხადოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მეკარე დაშავდება, სადაზღვევო კომპანია კომპენსაციის სახით მას 1.2 მილიონ ევროს გადაუხდის.

აღსანიშნავია, რომ ერთი წლის წინ **დევიდ ბექჰემმა** ინგლისური სადაზღვევო კომპანიისგან, სარეკორდო თანხა, 120 მილიონი ევრო მიიღო. არადა, ხალხს ეგონა, ტრავმირებული ბექსი უთამაშებლობით იტანჯებოდა. ამ დროს კი ის თურმე ისედაც უმდიდრეს საბანკო ანგარიშს კიდევ უფრო ავსებდა.

იკერ კასილიასი



მიგელ ბრიტო

ვალენსია

მიგელი ნამდვილი ღამურა ყოფილა

კიკე ფლორესის შეგირდმა საზოგადოებას გული გადაუშალა

"ვალენსიის" პორტუგალიელმა მცველმა **მიგელ ბრიტომ,** სინდისის ქენჯნის გარეშე, სრულიად მოულოდნელი განცხადება გააკეთა: *"შესაძლოა, ბევრი გავაღიზიანო და დავიპირისპირო, მაგრამ მსურს, საზოგადოებას ჩემი ცხოვრებისა და მისწრაფებების შესახებ მოვუყვე. რუტინული არსებობა არ შემიძლია. ვერ შევეგუები ისეთ ცხოვრებას, რომელიც მხოლოდ სახლსა და სამსახურში სიარულს მოიცავს. გართობა და ემოციები მჭირდება. როცა "ბენფიკაში" ვთამაშობდი, კვირაში ორჯერ ან სამჯერ ბარებში დავდიოდი, ცოტა ოთას ვწრუპავდი და გათენებამდე გოგოებს ვეცეკვებოდი. "ვალენსიაში" გადასვლის შემდეგ უფრო თავშეკავებული გავხდი. ახლა მხოლოდ პარასკევობით ვერთობი. კიდევ იმას ვიტყვი, რომ 13 წლის ასაკიდან სიგარეტს ვეწევი. რა თქმა უნდა, სპორტსმენისთვის ასეთი რამ ძალიან უჩვეულოა, მაგრამ ყველაფერი ინდივიდუალურ ჭრილში უნდა განვიხილოთ. ჩემებური გართობა და თამბაქო პრობლემას არ მიქმნის იმაში, რომ ფეხბურთი კარგად ვითამაშო. უბრალოდ, ასეთი ადამიანი ვარ. სხვანაირად ცხოვრება არ შემიძლია."*

მიგელის განცხადებას **კიკე სანჩეს ფლორესი** გამოეხმაურა. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, "ვალენსიის" მთავარმა მწვრთნელმა შეგირდის აღიარებაში კატასტროფული ვერაფერი დაინახა: *"არაფერი მიკვირს. ყველას ვთხოვ, აჟიოტაჟს ნუ ატეხს. არ მაინტერესებს, მიგელი სიგარეტს ეწევა თუ არა. მთავარია, მან დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულოს. ჯერჯერობით, საყვედურო არაფერი მაქვს. ის ვარჯიშებზე ბოლომდე იხარჯება და თავგანწირვით მუშაობს. სხვათა შორის, ასეთი ფიზიკური გამძლეობის მქონე მოთამაშე იშვიათად შემხვედრია."*

კიკე ფლორესმა "ვალენსიის" გულშემატკივართა დაძაბული ურთიერთობის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი გუნდი გამარჯვებების გზით მიდის, რაც ნათელი დადასტურებაა, რომ "ღამურები" სწორად მუშაობენ. ბოლოს ახალგაზრდა სპეციალისტმა დასძინა, თუ "მესტალია" ხელს არ შეგვიშლის და გინების კორიანტელს თავს არ დაგვატეხს, კიდევ უფრო კარგად ვითამაშებთო. აღსანიშნავია, რომ გულშემატკივრებს უსახური ფეხბურთი აღიზიანებთ. ფაქტი ჯიუტია, "ვალენსიამ" პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ ოთხი მატჩი მოიგო, მაგრამ ქომაგები ხმამაღლა გაჰკივიან, ჩვენთვის სანახაობა შედეგზე არანაკლებ მნიშვნელოვანიაო.

მილანი ადასტურებს: ღი ნატალე!

"მილანი" ოფიციალურად ადასტურებს **ანტონიო დი ნატალეთი** დაინტერესებას. "უდინეზეს" თავდამსხმელი "როსონერის" უმთავრესი საიანვრო სამიზნეა. იტალიის ნაკრების 29 წლის ფორვარდმა სერია A-ს ოთხ შეხვედრაში სამი გოლი შეაგდო. მილანელები მასში 12 მილიონ ევროს გადაიხდიან. "უდინეზე" ფეხბურთელის გაყიდვას არ ჩქარობს. ანტონიოს ფრინულელებთან კონტრაქტი 2012 წელს ეწურება.

ინტერს რაკიტიჩი მოუნდა

"ინტერი" "შალკეს" შემტევი ნახევარმცველით **ივან რაკიტიჩით** დაინტერესდა. იტალიური სააგენტოების ცნობით, ხორვატმა ფეხბურთელმა "ნერაძურის" ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიიპყრო, როცა შვეიცარიულ "ბაზელში" ასპარეზობდა. რაკიტიჩი 19 წლისაა და უკვე ეროვნული ნაკრების სრულფასოვანი წევრია. მან ბუნდესლიგის გათამაშება შთამბეჭდავად დაიწყო. განსაკუთრებით "ბაიერნსა" და "შტუტგარტთან" თამაშებში გამოიჩინა თავი. გასაკვირი არ არის, რომ მილანელებმა ძველი ფავორიტი გაიხსენეს.

იერო ფედერაციაში დაასაქმეს

ესპანური ფეხბურთის ლეგენდა **ფერნანდო იერო** ფეხბურთის ფედერაციაში დაასაქმეს. "რეალისა" და ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი ფედერაციის სპორტულ დირექტორად დაინიშნა. 2003 წელს იერო სამეფო კლუბს სკანდალურად გამოეთხოვა. მან ორი წელიწადი კიდევ ითამაშა, შემდეგ კი პროფესიულ სარბიელს ოფიციალურად გამოეთხოვა. ამიერიდან იერო ესპანური ფედერაციის მარკეტინგულ პოლიტიკას გააკონტროლებს.

ინტერვიუ პაოლო მალდინისთან

ასეთი სან სირო ჩვენი სახლი ვერ იქნება

ლეგენდა უკანასკნელ მატჩს მოსკოვში, ლიგის ფინალში გეგმავს...

"მილანის" ლეგენდარულმა კაპიტანმა პაოლო მალდინიმ "გაძეტა დელო სპორტს" გულწრფელი ინტერვიუ მისცა, სადაც ის აღშფოთებას გამოთქვამს "მილანის" ტიფოზების ბოლოდროინდელი გამოხტომების გამო, ასევე არჩევანს აკეთებს პირლოსა და კაკას შორის და გამოთქვამს იმედს, რომ კარიერას მოსკოვში, ჩემპიონთა ლიგის ფინალში დაასრულებს.

- მოედანზე როდის გიხილავთ?

- ერთი თვის თავზე, ოქტომბრის მეორე ნახევარში უკვე ანჩელოტის განკარგულებაში ვიქნები. ჩემი მკურნალი ექიმი, პროფესორი მარტენი "მილანელოზე" მნახავს და საბოლოო გადაწყვეტილებას გამაცნობს. ჯერჯერობით, აღდგენითი პროცესი ნორმალურად მიდის. თითქმის ოცი დღეა, რაც ინტენსიურ ვარჯიშებზე გადავედი.

- გულწრფელად გვიპასუხეთ, დღეში რამდენჯერ გაიფიქრებთ ხოლმე, რომ ეს თქვენი უკანასკნელი სეზონია?

- საკმაოდ ხშირად. ახლა არ ვთამაშობ და საფიქრავად დრო ძალიან ბევრი მაქვს. ცოტა უცნაურია, რომ, ერთი მხრივ, ვიცი, იმისთვის, რომ ფორმა აღვიდგინო, აუცილებელია, რომ მოვლენები არ ავაჩქარო. ხოლო, მეორე მხრივ, დრო სულ უფრო სწრაფად მეცლება ხელიდან და უკვე ვგრძნობ, რომ ის აღარ მყოფნის.

- ანჩელოტი აცხადებს, რომ ვეტერანებისგან ის მოედანზე მხოლოდ თამაშის მაღალ ხარისხს ითხოვს და არა კიდევ ერთ, მორიგ მატჩს "მილანის" შემადგენლობაში.

- თამაში ყველა ფეხბურთელს მუდმივად სურს, ეს სურვილი განსაკუთრებით პრინციპული მატჩებისას ძლიერდება ხოლმე, თუმცა არჩევანი ყოველთვის მწვრთნელის ნებაზეა. მე და კარლოს მშვენიერი ურთიერთდამოკიდებულება გვაქვს და ძალიან ინტენსიურადაც ვურთიერთობთ.

- როგორ ფიქრობთ, ანჩელოტისთვის თქვენი სკამზე დატოვება რამდენად ძნელი გადასაწყვეტია ხოლმე?

- ეს უკვე ორჯერ მოხდა შარშანდელ სეზონში, "ინტერისა" და "პალერმოს" წინააღმდეგ მატჩებში. ვფიქრობ, მისთვის ეს არაა იოლი გადასაწყვეტი, თუმცა ეს მისი სამსახურია.

- როგორ მოგწონთ დღევანდელი "მილანი"?

- ნამდვილად უკეთესი გუნდია იმასთან შედარებით, რაც შარშან გვყავდა. ჩვენ აუცილებლად მოვუმატებთ მას მერე, რაც რონალდო, პატო და სერჟინიო შემოგვიერთდებიან.

- არ ფიქრობთ, რომ დღევანდელი გუნდის კონსტრუქცია "მშრალ", უგოლო მატჩებზეა გათვლილი?

- შესაძლებელია. უფრო სწორად, ეს მოტივაციის საკითხია: გადამწყვეტ მატჩებში ჩვენ ყოველთვის მაქსიმალური მობილიზებით ვთამაშობთ და პრაქტიკულად, დაუმარცხებლები ვართ. ამასთან, ჩვენი კონკურენტების ღია სათამაშო სტილი გარკვეულ უპირატესობას გვაძლევს.

- რა გამოდის, რომ "მილანის" ფეხბურთელები მაქსიმალურად მხოლოდ იშვიათად იხარჯებიან?

- არა, ვერ გამიგეთ. ჩვენნაირი ნამდვილი ჩემპიონები სათამაშოდ მოტივაციას ყოველთვის ნახულობენ. სწორედ ამით განვსხვავდებით სხვებისგან. მოტივაციის პრობლემა ჩვენთან არ არსებობს. ასე რომ ყოფილიყო, შვიდ სკუდეტოს ვერ მოვიგებდი. სულაც არ მხიბლავს პერსპექტივა, რომ უკვე იანვარში მორიგ ჩემპიონობაზე ხელი ჩავიქნიო. აი, ნახავთ, "ინტერთან" და "რომასთან" ერთად ბოლომდე ვიბრძოლებთ.

- თუკი ტოკიოში მოახერხებთ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის მოგებას, ეს ხომ არ გამოიწვევს სურვილს, რომ კარიერა ცოტათი ადრე დაასრულოთ?

- არავითარ შემთხვევაში. ჩემთვის ბევრად უფრო მიმზიდველია ჩემპიონთა ლიგაში თამაში, ვიდრე საკონტინენტთაშორისო თასზე.

- ოდესმე თქვენ გაიხსენებთ, რომ თამაშობდით მარადონას, პლატინის, ზიდანის წინააღმდეგ და შევჩენკოს, კაკასა და ვან ბასტენის გვერდით. და აქვს თუ არა შანსი პატოს, რომ ამ სიპატიო სიაში მოხვდეს?

- ვფიქრობ, ამაზე ლაპარაკი ძალიან ნაადრევია, მიუხედავად იმისა, რომ ის მართლაც ფლობს არაორდინალურ ტექნიკას და ფიზიკური მონაცემებითაც უხვადაა დაჯილდოებული. როგორც არ უნდა იყოს, ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ძალიან ძვირი ინვესტიციაა. მჯერა, რომ დროთა განმავლობაში პატო მასში გადახდილ სოლიდურ თანხას აუცილებლად გაამართლებს.

- "ბენფიკასთან" თამაშზე, ეს უკვე მერამდენედ, ტიფოზებს თავი არ შეუწუხებიათ გუნდის სათანადო მხარდაჭერისთვის. ნუთუ, თქვენ ეს გულს არ გტკენთ?

- გულს მტკენს? ეს ის სიტყვა არ არის! როცა ამას ვუყურებ, წყობილებიდან გამოვდივარ, ისევე როგორც ჩემი თანაგუნდელები. მას მერე, რაც ჩვენ მათთვის გავგვიკეთებია, მოგვიგია, გავგვიხარებია, აბსოლუტურად სხვა დამოკიდებულებას ვიმსახურებთ. ეს კოშმარი შარშანდელი მილანური დერბისას დაიწყო. მაშინ მათ რომ სათანადოდ მხარი დაეჭირათ, იმ თამაშს არ წავაგებდით (შენიშვნა: მატჩი 1:2 დასრულდა "ინტერის" სასარგებლოდ). არამხოლოდ "ულტრასები", სხვა ტრიბუნებიც დადუმდნენ. აღარავინ მღერის მილანი ჩვენს გულებშიაო, თითქოს მუდმივად გასვლით თამაშებს ვატარებდეთ ანაც ნეიტრალურზე ვთამაშობდეთ. ეს უბრალოდ ალოგიკურია. ერთგული ტიფოზების გარეშე გუნდი ვერ იარსებებს!

- თუ ამას დავუმატებთ მკვეთრად გამოხატულ ნეგატიურ დამოკიდებულებას დიდასა და ჯილარდინოს მიმართ...

- ამას კი ნამდვილად ვერ ვიგებ. ადრეც ყოფილა, როდესაც კონკრეტული მოთამაშისთვის უსტვენიათ, მაგრამ ეს რაღაც სხვა რამაა. ტრიბუნებზე ირონიული, ხმამაღალი ტაში ისმის მაშინ, როდესაც დიდა იოლ ბურთს იღებს ხოლმე. გაიხსენონ, რომ ეს მეკარე მანჩესტერული ფინალის გმირია და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული, ისევე როგორც ჯილარდინო. "სან სირო" ყოველთვის ჯადოსნური სტადიონი იყო. სამწუხაროა, მაგრამ ამ ძალას ნელ-ნელა ვკარგავთ.

- ოქროს ბურთი... კაკა თუ პირლო?

- კაკამ შარშან არაჩვეულებრივად ითამაშა, ანდრეა კი ყოველთვის ასეთ დონეზე თამაშობს, ეს მისთვის ჩვეულებრივი რამაა. ამ რბოლაში, რა თქმა უნდა, ფავორიტი კაკაა, იმიტომ, რომ მთელი მსოფლიო ბრაზილიელის გოლებს აკვირდება და არა პირლოს რეჟისურას.

- ისევე, როგორც ყურადღების მიღმა რჩება მცველების თავგანწირვა. პაოლო, ასეა არა?

- ჰო, ასეა, მაგრამ ჩემთვის ეს უკვე წარსულია. ამაზე აღარ ვფიქრობ.

- და მაინც, გუნდისთვის კაკა უფრო მნიშვნელოვანია, თუ პირლო?

- ვერ გიპასუხებთ. ორივე მათგანი თავისებურად ხედავს თამაშს და წყვეტს მატჩის ბედს.

- იტალიაში უკვე აღარ იზრდებიან დიდი მცველები. ეს თაობის პრობლემაა თუ ზოგადად, იტალიური საფეხბურთო სკოლის?

- ეს სკოლის ბრალია. მაგრამ ასე ხდება ყველგან და არამხოლოდ იტალიაში. ალბათ, აღარავის ასწავლიან, თუ როგორ უნდა ამოკეტო მეტოქის თავდამსხმელი, როგორ უნდა იმოძრაო სწორად...

- კოსტაკურტა ახლა ალბათ სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტით დაკავდება, არა?

- დიახ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან მეორე საფეხბურთო ცხოვრება სწორედ ჩვეულ გარემოში დაიწყო - "მილანელოზე". უბრალოდ, ახლა მან სხვა როლი იკისრა.

- შეიძლება, რომ ეროვნულ გუნდში გამოსვლა ფეხბურთელებისთვის პრობლემად იქცეს?

- მათთვის, ვისაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, დიახ. ახლა გუნდები ძალიან ბევრს თამაშობენ.

- ამის მიუხედავად, 34 წლამდე თქვენ რეგულარულად გამოდიოდით როგორც "მილანის", ისე ნაკრების შემადგენლობაში.

- ჰო, მაგრამ სწორედ ამ ასაკამდე ეს პრობლემა არ მაწუხებდა. პირველივე მძიმე ტრავმის შემდეგ მე რომ ნაკრებში თამაში გამეგრძელებინა, დიდი ეჭვი მაქვს, რომ 39 წლის ასაკამდე მოედანზე ვეღარ დავრჩებოდი.

- პაოლო, თქვენს უკანასკნელ თამაშზე თუ გიფიქრიათ?

- დიახ. ეს თამაში მოსკოვში იქნება, ჩემპიონთა ლიგის ფინალში.

- ამის დაგეგმვა შეუძლებელია.

- ჰო, მაგრამ ეს იყო პირველივე, რაც მომაფიქრდა თქვენს კითხვაზე.

- "მილანი" თქვენს 3-ნომრიან მაისურს სამუდამოდ უკვდავყოფს?

- გალიანიმ ამის პირობა მომცა. ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნოა ჟესტია.

- ერთი წლის შემდეგ რას გააკეთებთ?

- არ ვიცი, არ მომიფიქრებია. სადღაც თებერვალ-მარტში ამას გადავწყვეტ კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად.

- ესე იგი, "მილანში" რჩებით?

- ამ ეტაპზე ეს მხოლოდ ფიქრებია.

პაოლო მალდინი

კარუ ეძვსი კვირა დაისვენებს

"ასტონ ვილა" თავდამსხმელი **ჯონ კარუ** ეძვსი კვირა დაისვენებს. "ევერტონთან" ბოლო ტურის მატჩისას (2:0) დაშავდა. ნორვეგიელმა ლეგიონერმა ერთი გოლი შეაგდო, მაგრამ მეორე ტაიმის დასაწყისში მუხლის მყესები დაიზიანა და დაუყოვნებლივ შეცვალეს. სამედიცინო შემოწმების შემდეგ ექიმებმა მას შვებულება გამოუწერეს. კარუ ბირმინგემელთა გარდა, ნორვეგიის ნაკრებსაც ძალიან დააკლდება. ოქტომბერში ნორვეგიელებს ბოსნიასთან (სტუმრად) და თურქეთთან (შინ) მატჩები ელით. შესარჩევ ჯგუფს საბერძნეთი ლიდერობს. ნორვეგიელები და თურქები მას ორი ქულით ჩამორჩებიან. რაც შეეხება "ვილას", კარუს არყოფნაში ძირითადში უფრო ხშირად ვიხილავთ ახალწვეულ **მარლონ ჰერვუდს. მარტინ ონილს**, შეუძლია, **გაბრიელ აგბონლაორისა** და **ეშლი იანგის** იმედიც იქონიოს.

მიდლსბროს საკადრო პრობლემები აქვს

"მიდლსბროს" არგენტინელი ნახევარმცველი **ხულიო არკა** გამოაკლდა. "სანდერლენდთან" ბოლო ტურის მატჩისას (2:2) მან მუხლის მყესები გაიწყვიტა. ეს კი მინიმუმ ორთვიან იძულებით დასვენებას მოასწავებს. არკა "სანდერლენდის" ყოფილი ფეხბურთელია. გასულ უქმეებზე მან მეტოქეს პირველი გოლი გაუტანა. "მიდლსბროს" კიდევ ორი წამყვანი ფეხბურთელი, **თუნჯაი სანლი** და **მიდო** ჰყავს დაშავებული, თუმცა მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. კიდევ ერთი თვე ვერ ითამაშებს ფრანგი ფორვარდი **ჟერემი ალიადიერი**. "ვესტ ჰემთან" ათი დღის წინანდელ შეხვედრაში დაშავდა.

ბირმინგემს ოუბინია გამოაკლდა

"ბირმინგემის" ნახევარმცველი **ბორხა ოუბინია** ეძვსი თვე ვერ ითამაშებს. გასულ უქმეებზე "ლივერპულთან" მატჩისას (0:0) მან მუხლის მყესები გაიწყვიტა. ოუბინია ვიგოს "სელტის" საკუთრებაა. მას ინგლისურ კლუბთან ერთწლიანი საიჯარო ხელშეკრულება აკავშირებს. ოუბინია ინგლისში დიდი იმედებით გადავიდა. მას უფრო სახელოვან კლუბში მოხვედრა სურდა, მაგრამ ხანგრძლივი პაუზა მის იმედებს, ფაქტობრივად, მინასთან გაასწორებს. ცნობისთვის, ბორხამ ანალოგიური ტრავმა რამდენიმე წლის წინაც მიიღო. ამჯერად ძველმა პრობლემამ შეახსენა თავი.

ოუენი: ათი დღე თუ რამდენიმე თვე?

"ნიუკასლს" იმედი აქვს, რომ **მაიკლ ოუენი** ტრავმას მაქსიმუმ ათ დღეში მოირჩენს. 27 წლის თავდამსხმელს საზარდული აწუხებს. მან ბოლო ორი კალენდარული მატჩი ვერ ჩაამთავრა. მიმომხილველთა მტკიცებით, ოპერაცია გარდაუვალია. ქირურგიული ჩარევა რამდენიმეთვიან დასვენებას მოასწავებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოუენს არა მხოლოდ "ნიუკასლის", არამედ ინგლისის ნაკრების დარჩენილი შესარჩევი მატჩებიც გაუცდება. ესტონეთსა და რუსეთთან თამაშებამდე სამი კვირაა დარჩენილი. მაიკლი ნამდვილად გამოტოვებს "არსენალთან" ლიგის თასის შეხვედრას, აგრეთვე გასვლით კალენდარულ მატჩს "მანჩესტერ სიტისთან". აქვე გეტყვით, რომ "ნიუკასლმა" "ვიგანის" თავდამსხმელ **ემილ ჰესკის** დაადგა თვალი. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია.

ადებაიორის მაისურა 50 ათასად

ემანუელ ადებაიორის მაისურა 50 ათას გირვანქად გაიყიდა. საუბარია სამოსზე, რომელიც მას შაბათს, "დერბისთან" მატჩისას ეცვა. "მეთოფეებმა" მეტოქე მინასთან გაასწორეს, 5:0. ტოგოელმა თავდამსხმელმა სამი გოლი მიითვალა. აუქციონი საქველმოქმედო ფონდის მხარდასაჭერად გაიმართა. მთელი შემოსავალი ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მკურნალობას მოხმარდება. ბევრად უფრო მოკრძალებული იყო სხვა ფეხბურთელთა მაისურების ფასი. მაგალითად, **შონ რაიტ-ფილიპსის** მაისურამ მხოლოდ 200 გირვანქა მოიტანა, **ჯერმეინ დეფოს** ფორმაში კი 1500 გირვანქაზე მეტი არავინ გადაიხადა.

არსენალი ემირიტსზე ტევადობას გაზრდის

"არსენალი" "ემირიტს სთედიუმის" გადაკეთებას აპირებს. კლუბს მისი ტევადობის გაზრდა სურს. "ემირიტსი" 60 ათას მაყურებელზეა გათვლილი. ის პრემიერლიგაში ყველაზე შემოსავლიანი არენაა. ერთ მატჩს "მეთოფეების" სალაროში 3.1 მილიონი გირვანქა (6 მილიონი დოლარი) მოაქვს. სტადიონის შემოსავლების წყალობით, "არსენალი" ინგლისის უმდიდრესი კლუბი გახდა. ევროპის მასშტაბით ის მხოლოდ მადრიდის "რეალს" ჩამორჩება. რა დაჯდება სტადიონის რეკონსტრუქცია? პროექტის ავტორები არ მალავენ, რომ კლუბს საკმაოდ დიდი თანხის დახარჯვა მოუწევს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

ტერის სასჯელი ემუქრება

"ჩელსის" კაპიტან **ჯონ ტერის**, შეიძლება, დისკვალიფიკაცია მიესაჯოს. "მანჩესტერ იუნაიტედთან" ბოლო ტურის მატჩისას არბიტრმა **მაიკ დინმა ჯონ ობი მიკელი** გააძევა. ტერიმ უკმაყოფილება იმით გამოხატა, რომ მსაჯს ხელიდან ბარათი გამოსტაცა. ეს მაიკ დინზე ფიზიკური ზემოქმედების ტოლფასი იყო. მისტერ დინის მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ ინციდენტში მარტო ტერი არ მონაწილეობდა. არბიტრს "ჩელსის" სხვა ფეხბურთელების მიმართაც გააჩნია პრეტენზია. არისტოკრატების მეორე მწვრთნელი **სტივ კლარკი** დინს გვირაბში დაუპირისპირდა. "დეილი მეილის" ცნობით, ხულიგნობაში ეჭვმიტანილ ყველა პირს სხვადასხვა სიმძიმის ჯარიმა ელის. აქვე გეტყვით, რომ "ჩელსიმ" ობი მიკელის გაძევება გაასაჩივრა. სააპელაციო კომისია ამ საკითხზე დღეს ან ხვალ იმსჯელებს.

მესამე ფეხბურთელი სპორტინგიდან იუნაიტედში

"მანჩესტერ იუნაიტედი" ადასტურებს, რომ ლისაბონის "სპორტინგის" ნახევარმცველის **მიგელ ველოსას** აკვირდება. ამ ორ კლუბს საუცხოო ურთიერთობა აკავშირებს. პარტნიორობას ოთხი წლის წინათ ჩაეყარა საფუძველი. 2003 წელს "სპორტინგმა" "მენიუს" **კრისტიანო რონალდო** მიჰყიდა. გასულ ზაფხულს "ეშმაკებმა" ლისაბონიდან კიდევ ერთი ფეხბურთელი წაიყვანეს - **ნანი**. ველოსა ვეტერანი **პოლ სქოულზის** შემცვლელად მიიჩნევა. ამ ბიჭმა "არსენალის", "ლივერპულის", "რეალისა" და "ატლეტიკოს" ყურადღებაც მიიპყრო, მაგრამ სატრანსფერო ომში "იუნაიტედი" უპირობო ფავორიტად ითვლება.

ბარსელონამ აფონსო ალვეში მოიკითხა

"ბარსელონამ" "პერენვენის" თავდამსხმელ **აფონსო ალვეშს** დაადგა თვალი. ესპანური სააგენტოების ცნობით, კატალონიელები იანვრის ფანჯრის გახსნას დაელოდებიან. ალვეში ბრაზილიის ნაკრების წევრია. მიმომხილველთა ერთი ნაწილი მას **რონალდინიოს** შემცვლელად მოიაზრებს. ფეხბურთელის შეძენა "ვილიარეალსაც" სურს, მაგრამ ცხადზე უცხადესია, რომ "ყვითელ სუბმარინებს" "ბარსასთან" კონკურენციისას შანსი არა აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

კარზე დაგეშილი გოლეადორები

ტონისა და კლოზეს დუეტი შეუდარებელია

მიროსლავ კლოზე და **ლუკა ტონი** - "ბაიერნის" გულშემატკივრებმა ეს ორი გვარი გააერთიანეს და ორ ფეხბურთელს ერთი მეტსახელი მოუგონეს, რომელიც ასე ჟღერს: "კლონი". მიროსა და ლუკას დუეტი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო რომ იქნებოდა, ამაში მიმომხილველებს ეჭვი არასდროს შეჰპარვიათ, მაგრამ რეალობა მოლოდინს აჭარბებს. ეს არის დუეტი, რომლის წინაშეც "ბაიერნის" მეტოქეები შიშით ძრწიან. ერთადერთი, რაც რეკორდმაისტერის ფანებს აშინებდათ, კლოზესა და ტონის თითქმის იდენტური სტილი იყო, მაგრამ პრაქტიკამ გამოაჩინა, რომ გერმანელი და იტალიელი ერთმანეთს შესაშურად ეწყობიან და ავსებენ.

ტონის შეძენა მიუნხენური გიგანტის ხელმძღვანელებს 11 მილიონი ევრო დაუჯდათ, კლოზეს სანაცვლოდ კი, "ვერდერს" 12 მილიონი უკვე ჩაუთვალეს, სეზონის დასრულების შემდეგ კი, 3 მილიონსაც გადაუხდიან. ანუ, სულ რაღაც 26 მილიონად, რეკორდმაისტერმა 2 სუპერგოლეადორი შეიძინა. კლოზეს მიუნხენში ადაპტაციის პერიოდი დიდხანს რომ არ გაუგრძელდებოდა, ეს იმთავითვე ცხადი იყო, რადგან მირო ბუნდესლიგაში ჩამოყალიბდა გოლეადორად. სამაგიეროდ, ტონიმ ყველა გააოცა იმით, რომ პირველივე ოფიციალური მატჩიდან ოდნავადაც არ დასტყობია, გუნდში ახალი მისული რომ იყო. მიუხედავად იმისა, რომ, ჯერჯერობით, არც ლუკა საუბრობს გერმანულად და მირომაც იტალიურად მხოლოდ 2-3 სიტყვა იცის, მოედანზე ისე მოქმედებენ, თითქოს ბავშვობიდან ერთად თამაშობენ.

"კარლსრუესთან" მოგებული მატჩის შემდეგ, "ბაიერნმა" ერთი დღით დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა. ჰერ ლიზარაზუ, თქვენც ფიქრობთ, რომ წლეულს რეკორდმაისტერის ჩემპიონობა გარდაუვალია?

- დიახ, ამაში მეც დარწმუნებული ვარ. პირველ რიგში იმის გამო, რომ "ბაიერნს" მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი ჰყავს - ჰიტცფელდზე უკეთეს სპეციალისტს პირადად მე არ ვიცნობ. *ფენომენალურია. მისი თამაშითა და შედეგიანობით აღფრთოვანებული ვარ, მომწონს, თუ რაოდენ პროფესიონალურად უდგება საქმეს. კლოზემ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ არაჩვეულებრივი საგოლე ალღო აქვს,"* - აღფრთოვანებულია **ოტმარ ჰიტცფელდი**.

"კლონი" სტატისტიკურად შეუდარებელი დუეტი რომ არის, ამას ეს ციფრებიც მოწმობს: კლოზემ ამ, სეზონში მეტოქის კარში მხოლოდ 9 ზუსტი დარტყმა განახორციელა და ამ მხრივ 5 გოლი მართლაც გენიალური შედეგია. გამოდის, რომ ყოველ 1.8 დარტყმაში მიროს ერთი გოლი გააქვს. ჯამში, კლოზეს გოლი ყოველ 80 წუთში გააქვს. გასულ სეზონში კი, მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, "ვერდერის" მაისურით თითო გოლი მხოლოდ 207 წუთში ერთხელ გაჰქონდა. როგორც ხედავთ, პროგრესი უდიდესია. ლუკას კი ყოველი გოლი 88 წუთში ერთხელ გააქვს და ერთი გოლის გასატანად, საშუალოდ 4.5 დარტყმა სჭირდება. და ამთავითვე ცხადია, რომ თუ ასე გააგრძელებენ, ლუკასა და მიროს ახალი რეკორდის დამყარების ჩინებული შანსი ექნებათ. "ბაიერნში" დღემდე დაუმხობელი რეკორდი **გერდ მიულერისა** და **ული ჰიონესის** დუეტს ეკუთვნის, რომლებმაც 1971/72 წლების სეზონში, ერთად (ყველა ტურნირზე) 101 გოლს მოუყარეს თავი. მიულერმა მაშინ ბუნდესლიგაში 40 გოლის გატანა შეძლო.

ჰიონესი, რომელიც დღეს "ბაიერნის" გენერალური მენეჯერია, ფიქრობს, რომ ტონისა და კლოზეს კიდევ შეუძლიათ მომატება. *"თუ ლუკა ორი კვირის განმავლობაში უპრობლემოდ ივარჯიშებს, დაინახავთ, რომ მას გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია. მისი პოტენციალი ამოუწურავია!"* - ამბობს ული. "კარლსრუეს" იტალიელმა უაღრესად ლამაზი გოლი გაუტანა: **მარკ ვან ბომელის** პასის შემდეგ, ბურთი იდეალურად მიიღო, მცველი გააცურა და ბადენელთა კარის დარაჯს ბურთი თავზე მოხდენილად, ძალიან რბილად გადაუგდო. *"ეს სენსაციური გოლი იყო. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ლუკა რეალურ საგოლე მომენტებს ძალიან იშვიათად ანიავებს. მეტიც, "კარლსრუესთან" გამოჩნდა, რომ გატანა არარეალური მომენტიდანაც შეუძლია. ამასთან, ლუკა ძალიან მარტივად უსწორდება ორ მოწინააღმდეგეს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მცველები ყურადღებას მასზე გადაიტანენ, კლოზე თავისუფლდება და პირიქით,"* - კმაყოფილია ჰიტცფელდი, რომელიც იქვე დასძენს, - *"არ მიკვირს, ლუკა და მირო ერთმანეთს ასე კარგად რომ შეეწყვნენ. ჯერ კიდევ მოსამზადებელ შეკრებაზე ჩანდა, რომ როგორც მოედანზე, ასევე მოედანს მიღმაც, ერთმანეთს შესანიშნავად გაუგებდნენ."*

დღეს "ბაიერნი" მაჩანჩალა "კოტბუსს" ხვდება. "ენერგის" კარში გოლების გატანა საკმაოდ იოლია. ასე რომ, ტონისა და კლოზეს საგოლე მარაგის გაზრდის ჩინებული შანსი აქვთ...

ლუკა ტონი და მიროსლავ კლოზე

ჰიონესი შვაინშტაიგერს ემუქრება

ბასტიან შვაინშტაიგერი გერმანიის ნაკრებში შეუცვლელი ფიგურაა და გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბუნდესგუნდის ერთ-ერთი ლიდერია. სამაგიეროდ, 23 წლის ნახევარმცველს "ბაიერნში" არც ისე კარგად მისდის საქმეები. "კარლსრუესთან" შვაინი სასტარტო შემადგენლობაში არ ყოფილა და ჰიტცფელდმა ის მინდორზე მხოლოდ 78-ე წუთზე შეუშვა. "გენერალმა" ბასტიანის სკამზე დატოვება ასე ახსნა: "ჰამბურგთან", "შალკესთან" და "ბელენსეშთან" ძალიან ცუდად ითამაშაო.

"როცა ფეხბურთელი ცუდად თამაშობს, სულაც არა, გასაკვირი, რომ სკამზე გადაინაცვლებს. ჩვენთან უდიდესი კონკურენციაა და იმისთვის, რომ რეგულარულად ძირითადში ითამაშო, ბევრი შრომაა საჭირო," - აცხადებს ჰიონესი. ულის ძალიან არ მოსწონს ის, რომ შვაინშტაიგერი ბოლო დროს ფეხბურთს იმდენად დიდ ყურადღებას აღარ უთმობს, როგორც ადრე. მენეჯერის თქმით, ბასტიანის პრიორიტეტული საზრუნავი ხან სამაჯურია, ხანაც თმის ვარცხნილობა. ბოლოს ფრჩხილები შავად შეიღება და ასე წარსდგა მაყურებლის წინაშე.

"სათადარიგოთა სკამზე მას საკმარისი დრო ექნება იმისთვის, რომ თავს მოუაროს, თმები დავივარცხნოს და ფრჩხილები შეიღებოს. თანაც, უნდა უყუროს, თუ როგორ იბრძვიან სხვები მოედანზე და იქნებ რამეს მიხვდეს," - ასეთია ჰიონესის საბოლოო სიტყვა. ჰიტცფელდი კი თავის შეგირდს შედარებით რბილად ახასიათებს და ამბობს, შვაინის ფორმის პიკამდე, დღესდღეობით, 20-30 პროცენტი აკლიაო...

გოტფრიდ ლენცი

ბიქსენ ლიზარაზუ

ინტერვიუ ბიქსენტ ლიზარაზუსთან

რიბერის ბაიერნი მე ვურჩიე

ლიზა ჰიონესთან რეკომენდაციას სამირ ნასრისაც უწევს...

ცნობილმა ფრანგმა მცველმა, 1998 წლის მსოფლიოსა და 2000 წლის ევროპის ჩემპიონმა ბიქსენტ ლიზარაზუმ აქტიური სპორტული კარიერა 2006 წელს, მიუნხენის "ბაიერნში" 9-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ დაასრულა. 38 წლის ლიზარაზუ დღესდღეობით ერთ-ერთი ფრანგული ტელეარხის ექსპერტია და ჩემპიონთა ლიგას მიმოიხილავს. მაგრამ კარიერის დასრულებასთან ერთად, მიუნხენურ კლუბთან ლიზას ურთიერთობა არ დასრულებულა - ბავარიის მთავარ ქალაქსა და მისთვის კარგად ნაცნობ "ზებენერშტრასეს" ის ძალიან ხშირად სტუმრობს. გერმანული "შპორტ აინსისთვის" მიცემულ ინტერვიუში ლიზარაზუ აცხადებს, რომ ფრანკ რიბერის "ბაიერნში" გადასვლა სწორედ მან ურჩია. მანამდე კი, სულაც პირველი იყო, ვინც რეკორდმაისტერის მენეჯერ ული ჰიონესს ფრანგი დრიბლიორის გადაბირება ურჩია. შეგახსენებთ, რომ ლიზამ მიუნხენურ კლუბში სულ 182 მატჩი ჩაატარა და 6-ჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი.

- "კარლსრუესთან" მოგებული მატჩის შემდეგ, "ბაიერნმა" ერთი დღით დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა. ჰერ ლიზარაზუ, თქვენც ფიქრობთ, რომ წლეულს რეკორდმაისტერის ჩემპიონობა გარდაუვალია?

- დიახ, ამაში მეც დარწმუნებული ვარ. პირველ რიგში იმის გამო, რომ "ბაიერნს" მსოფლიოში საუკეთესო მწვრთნელი ჰყავს - ჰიტცფელდზე უკეთეს სპეციალისტს პირადად მე არ ვიცნობ. და ესეც არ იყოს, FCB-ს გენიალური შემადგენლობა ჰყავს, რომლის ჩემპიონობა მართლაც გარდაუვალია. და პირადად მე იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ "ბაიერნი" გაისად ჩემპიონთა ლიგაში რამახიანად დაბრუნება და ევროპის ელიტარულ საკლუბო ტურნირზე თავის სიტყვას იტყვის. ამას ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე ვფიქრობ.

- მიმდინარე სეზონში, 1996 წლის შემდეგ პირველად ხდება ისე, რომ "ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობს. ამაზე რას იტყვით?

- ეს ძალიან სამწუხაროა, მაგრამ არც უეფას თასია ხელწამოსაკრავი ტურნირი და იმისთვის, რომ გუნდმა გაისად ევროპის უძლიერესი კლუბის სახელისთვის იბრძოლოს, უეფას თასზე წარმატებით ასპარეზობა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი აზრით, რეკორდმაისტერმა ეს ტურნირი უპრობლემოდ უნდა მოიგოს.

- ექსპერტების უდიდესი ნაწილის აზრით, "ბაიერნის" წარმატების უმთავრესი საიდუმლო ფრანკ რიბერია...

- დიახ, რიბერი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია იმისა, რომ "ბაიერნი" წარმატებულია. ძალიან მიხარია, რომ მან გუნდში ფეხი მალე მოიკიდა. რიბერიმ "ბაიერნი" წარმოუდგენლად გააძლიერა.

- მის ტრანსფერში თქვენ რა როლი ითამაშეთ?

- სანამ ფრანკი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდა, აგენტთან ერთად შემხვდა და "ბაიერნზე" აზრი მკითხა. მიუნხენური კლუბი მას, რა თქმა უნდა, შესანიშნავად დავუხასიათე. ვუთხარი, თუკი მიუნხენში გადახვალ, ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილება იქნება-მეთქი. მანამდე კი ული ჰიონესს ვუთხარი, რიბერის სახით ფასდაუდებელ განძს ყიდულობ და თუ ტრანსფერი გაიჩარხა, მერე მადლობას მეტყვი-მეთქი.

- ჰიონესს სხვა რჩევებიც ხომ არ მიეცით?

- დიახ, რა თქმა უნდა. ჰიონესი ხშირად მიკავშირდება და აზრს მეკითხება ხოლმე. მაგალითად, ამას წინათ ვუთხარი, რომ ყურადღება მიაქციოს სამირ ნასრის, რომელიც უნიჭიერესი ფეხბურთელია. ნასრი რიბერის ყოფილი თანაგუნდელია, შესანიშნავი გამთამაშებელი, რომელიც დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

- "ბაიერნის" ფეხბურთელებთან ხშირი კონტაქტი გაქვთ?

- რა თქმა უნდა. კარიერის დასრულების შემდეგ მიუნხენში ოთხჯერ გახლდით, ვილი სანიოლს კი, რომელიც ჩემი მეგობარია, თითქმის ყოველდღე ვურეკავ. ის ვალდებულია, მიუნხენური სიახლეები მითხრას. ძალიან მიხარია, რომ ოლივერ კანის წასვლის შემდეგ, კაპიტნის სამკლაური სანიოლს რომ გადაეცემა.

- როგორ ფიქრობთ, "ბაიერნმა" გაისადაც ასეთივე სატრანსფერო პოლიტიკა უნდა გაატაროს იმისთვის, რომ ევროპაში თავისი სიტყვა ეთქმოდეს?

- წლეულს რეკორდმაისტერმა მართლაც ძალიან დიდი ფული დახარჯა, რასაც ადრე ვერავინ წარმოიდგენდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გუნდმა ყოველ ზაფხულს 70 მილიონი უნდა გაიღოს. ეს არაა აუცილებელი, წარმატებას ფულით ვერ იყიდი. უბრალოდ, თუ საჭიროება მოითხოვს, ხელმძღვანელებს კარგ ფეხბურთელში ფული არ უნდა დაენანოთ - ეს არის და ეს. გასულ ზაფხულს განხორციელებული ტრანსფერებით "ბაიერნმა" მყარი საძირკველი გაიკეთა.

- გასულ კვირაში თქვენ "რეალისა" და "ვერდერის" მატჩის კომენტატორი იყავით. ამ შეხვედრის შემდეგ, მადრიდული კლუბის შეფებმა დაადასტურეს, რომ დიეგოს შეძენის უდიდესი სურვილი აქვთ. როგორ ფიქრობთ, ბრაზილიელი ფეხბურთელის გადაბირებას "ბაიერნიც" უნდა ეცადოს?

- რა გითხრათ, ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის, მე "ბაიერნის" მენეჯერი არ ვარ. რაც შეეხება დიეგოს, ის გენიალური ფეხბურთელია.

- არის თუ არა "რეალი" ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტი?

- ჯერჯერობით, ამის თქმა შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, ბოლო მატჩებით თუ ვიმსჯელებთ, "რეალს" უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ჩემი აზრით, პროგნოზების გაკეთებას აზრი მხოლოდ ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ ექნება.

- თქვენი მიუნხენური კარიერის განმავლობაში, "ბაიერნს" საუკეთესო სეზონი 2001 წელს ჰქონდა. იმ გუნდიდან, კარიერა უკვე დაასრულა მეჰმეთ შოლმა, 2008 წლის ზაფხულში კი ბუცებს ლურსმანზე კანიც დაკიდებს...

- ასეა, დრო გადის. 2001 წლიდან უკვე 6 წელიწადი გავიდა. ის გუნდი მართლაც არაჩვეულებრივი იყო. კანსა და შოლს "ბაიერნისთვის" ძალიან ბევრი რამ აქვთ გაკეთებული და დარწმუნებული ვარ, რომ მათი გვარები გუნდის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება.

- დაბოლოს, ბავარიაში ოქტობერფესტი დაიწყო. მიუნხენში არ ჩამოხვალთ?

- სურვილი მქონდა, მაგრამ ავსტრალიაში გაფრენა გადავწყვიტე...

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ხავიერ სავიოლასთან

გოლის გატანისას მამაჩემი მახსენდება

არგენტინელი ფორვარდი ჟოან ლაპორტას უკმეხი განცხადებით გაკვირვებული დარჩა. ბარსელონის პრეზიდენტმა გაჭიას პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ დააყენა...

გასულ კვირას "ვალიადოლიდის" "ხოსე სორილიაზე" უაღრესად საინტერესო მატჩი გაიმართა. კასტილიისა და ლეონის საამაყო გუნდმა სამეფო კლუბს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. ესპანელი ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ "ვალიადოლიდმა" საოცარი მატჩი ჩაატარა. განსაკუთრებით ხაზგასასმელი მასპინძელთა შესაშური ფიზიკური მომზადებაა. მენდილიბარის ბიჭები თავდაუზოგავად დარბოდნენ და ორთაბრძოლებში უშიშრად შედიოდნენ. რომ არა ერთი არგენტინელის გოლი, "ვალიადოლიდი" საამაყო სამ ქულას მოიპოვებდა. თუმცა, საფინალო სასტვენამდე 4 წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა ხავიერ სავიოლამ რაულისა და ვან ნისტელროის მიერ წამოწყებული იერიში დააგვირგვინა და "რეალი" სირცხვილისგან იხსნა. "ბაჭიას" გმირობა საკმარისი საფუძველი გახდა იმისთვის, რომ "დიარიო ასს" მისთვის ინტერვიუ ეთხოვა.

- ჯერ მხოლოდ ოთხი ტური ჩატარდა, მაგრამ თავის გამოჩენა უკვე ორჯერ მოასწარით. ამაზე წარმატებულ დებიუტზე, ალბათ, ვერც იოცნებებდით.

- გეთანხმებით, სეზონი შესანიშნავად დავიწყე. ყველაზე სასიხარულო კი ის არის, რომ მთლიანად გუნდი ყოჩაღობს. ხშირად მსმენია ჟურნალისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ "რეალი" უსახურ ფეხბურთს თამაშობს ან თამაშობდა. მაგრამ ახლა უკვე ყველა ხედავს, რომ დედაქალაქურ კლუბში ძირეული ცვლილებები განხორციელდა. ერთი შეხედვით, "ალმერია" და "ვალიადოლიდი" სუსტი გუნდები არიან, თუმცა, მერწმუნეთ, ეს ასე არ არის. პირადი გამოცდილებიდან გეტყვით, რომ პრიმერა დივიზიონის დებიუტანტებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ვფიქრობ, ჩემპიონობისკენ მიმავალი გზა სწორედ ასეთ გუნდებთან მატჩებზე გადის.

- "ვალიადოლიდის" ფეხბურთელების ფიზიკურმა მომზადებამ ხომ არ გაგაოცათ?

- არ დაგიმალავთ და გულწრფელად გეტყვით, რომ გაოგნებული დავრჩი. შემდეგ თანაკლუბელებს ვესაუბრე და აღმოვაჩინე, რომ მათაც ძალიან გაუკვირდათ. ერთმანეთს ვეკითხებოდით, როგორ მოახერხა პრიმერა დივიზიონში წლეულს დაბრუნებულმა გუნდმა ასეთი ფიზიკური კონდიციების მიღწევა. როგორც ჩანს, კასტილიელებმა თავდაუზოგავად ივარჯიშეს. "ვალიადოლიდი" არ აღმოჩნდა ის გუნდი, რომელიც წინააღმდეგობას მხოლოდ 45 წუთის განმავლობაში გაგიწევს. მათ ბოლო წამამდე ვაჟკაცურად იბრძოლეს. შეუძლებელია, ასეთი მეტოქის არდაფასება. სიმართლე გითხრათ, მასპინძლების თამაშის ცქერა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებდა. ეს ჩემი პატარა ცოდვაა (იცინის).

- "ხოსე სორილიაზე" გატანილი გოლის შემდეგ ხომ არ ფიქრობთ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმსახურებთ?

- ვიქნები ობიექტური და მოგახსენებთ, რომ დღეს საამისო ამბიცია არ გამაჩნია. სხვათა შორის, "რეალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი არავის აქვს გარანტირებული. შუსტერმა სამომავლო გეგმები გაგვიმხილა და გვითხრა, რომ სეზონის მსვლელობისას თამაშის შესაძლებლობა ყველას მიეცემა. უკვე ორი ბურთის შეგდება მოვასწარი. ვფიქრობ, ეს არ არის ცოტა. მთავარია, საჭირო რიტმი შევინარჩუნო და გუნდს მაქსიმალურად დავეხმარო.

- მიმომხილველების ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის კართან მიახლოვებისას ძალიან ნერვიულობთ და არაორდინალურად იქცევით. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

- დიახ. ზოგჯერ ემოციების მოთოკვა მართლაც ძალიან მიჭირს. ვფიქრობ, ანალოგიური პრობლემა სხვა ფეხბურთელებსაც აწუხებთ. ალბათ, ძალიან ცოტაა ისეთი მოთამაშე, რომელიც საგოლე სიტუაციაში ცივი გონებით მოქმედებს. ეს განსაკუთრებული ნიჭია.

- როგორ ფიქრობთ, გოლის გატანა "რეალში" უფრო იოლია თუ "ბარსელონაში"?

- მე ვიტყოდი, რომ ორივე გუნდში ეს თანაბრად რთულია. საქმე ის არის, რომ "ბარსელონისა" და "რეალის" წინააღმდეგ ყველა გუნდი განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს. არავინ მალავს, რომ მსოფლიო ფეხბურთის გრანდების დამარცხება მათ განსაკუთრებით ეამაყებათ. როგორც წესი, მოწინააღმდეგეები დაცვაში იკეტებიან და მთელ ყურადღებას საკუთარი კარის უსაფრთხოებას ახმარენ. ამ პირობებში კი ფორვარდს გოლის გატანა ორჯერ უფრო უძნელდება.

- თქვენგან გულწრფელ პასუხს მოვითხოვ. მადრიდი უფრო საფეხბურთო ქალაქია თუ ბარსელონა?

- მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ორივე გუნდს ძალიან მომთხოვნი გულშემატკივარი ჰყავს. საკმარისია 10 ან 15 წუთი ჩააგდო, ტრიბუნებიდან სტვენისა და გინების ხმა მოდის. გამოგიტყდებით, ასეთი რეაქციის ატანა ძალიან რთულია, მაგრამ სხვა გზა, უბრალოდ, არ გაგვაჩნია. ხალხი ჩვენი თამაშის სანახავად მოდის და მათ პატივი უნდა ვცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფეხბურთს აზრი დაეკარგება. აბა, ცარიელ სტადიონზე ხომ არ ვითამაშებთ?! მეორე მხრივ, უპრიანი იქნება, თუ ინჩასები ჩვენს მდგომარეობაში შევლენ და გაითვალისწინებენ, რომ ყველა შეხვედრას ერთ დრონეზე ვერ ჩაატარებ. რაც არ უნდა დიდი ვარსკვლავი იყო, პირველ ყოვლისა, მაინც ადამიანად რჩები. ადამიანი კი შეცდომისგან არასდროსაა დაზღვეული.

- მომეჩვენა, რომ ვალიადოლიდში მიღწეული ფრე ისე აღნიშნეთ, როგორც გამარჯვება.

- ნუ დაგავიწყდებათ, გოლი საფინალო სასტვენამდე მცირე ხნით ადრე გავიტანე. ფაქტობრივად, წაგებას გადავურჩით. ამიტომ ერთი ქულის მოპოვებამ მართლაც დიდი სიხარული მოგვიტანა. გასახდელში შესულები ერთმანეთს ვეხუტებოდით და ვულოცავდით. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ "ვალიადოლიდი" ურთულესი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. მასპინძლებმა ფანტასტიკურად ითამაშეს. იყო ეპიზოდები, როცა ისინი თავქუდმოგლეჯით გვიტევდნენ და ჩვენს მცველებს მრავალ შეცდომას აშვებინებდნენ. მოკლედ, ძალიან რთული ორთაბრძოლა გადავიტანეთ.

- "ბარსელონიდან" წამოსვლის შემდეგ ჟოან ლაპორტამ თქვენს წინააღმდეგ ღიად გაიღაშქრა და განაცხადა, სავიოლას ტიტულებისადმი ნულოვანი ლტოლვა ჰქონდაო. რა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით განაცხადოთ?

- ლაპორტას სიტყვებმა შოკი მომგვარა. იცით რატომ? იმიტომ, რომ "ბარსელონის" პრეზიდენტთან და მთლიანად დირექტორატთან ბოლო მომენტამდე მეგობრული და გულითადი დამოკიდებულება მაკავშირებდა. აქედან გამომდინარე, მის ძვირ სიტყვებს არ ველოდი. ახლაც ვერ ვხვდები, მსგავსი რამ როგორ თქვა. როგორც ჩანს, კატალონიაში ყოფნისას ბევრ რამეს ვერ ვხვდებოდი. ლაპორტა ისეთი კარგი ადამიანი არ ყოფილა, როგორიც მეგონა.

- "ბარსას" პრეზიდენტის სიტყვებმა დიდი ტკივილი მოგაყენათ?

- არა, გული არ მტკენია, რადგან მყისვე მივხვდი, რომ პრეზიდენტს ბოღმა ალაპარაკებდა. დავრწმუნდი, ის მეგობრად არ აღმიქვამდა. ამიტომ საკუთარი თავი დავარწმუნე, რომ ჟოან ლაპორტა ნერვიულობად და ტკივილად არ ღირდა. "ბარსელონიდან" ღირსეულად წამოვედი. ახლა ზოგი ღალატს მწამებს, მაგრამ ობიექტური ადამიანი დამეთანხმება, რომ ეს ციხისწამებაა. "რეალში" გადმობარგებამდე უკლებლივ ყველა თანაგუნდელს, მწვრთნელსა და დირექტორატის თანამშრომელს შევხვდი, გამოვემშვიდობე და ყველაფრისთვის გულწრფელი მადლობა გადავუხადე. სხვათა შორის, ლაპორტა ჩამეხუტა და კოცნით დამემშვიდობა. ამიტომაც ვამბობ, რომ მისმა სიტყვებმა დიდად გამაოცა. თუ რამის თქმა უნდოდა, არ ჯობდა პირადად ჩემთვის ეთქვა?

- ლაპორტასგან განსხვავებით, რიკაარდმა თქვენზე თბილად ისაუბრა და დასძინა, ვისურვებდი, სავიოლამ მომავალ სეზონში ოცი გოლი მაინც გაიტანოსო. სხვათა შორის, საზოგადოების ერთმა ნაწილმა ჰოლანდიელის სიტყვები ირონიად აღიქვა. თქვენ როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?

- სიმართლე გითხრათ, კონტექსტებში გარკვევა არ მსურს. "რეალი" მარტივი მიზეზის გამო ავირჩიე. მსურდა, პროფესიული პროგრესი განმეცადა. სამეფო კლუბმა თანამშრომლობა შემომთავაზა და ამ შანსზე უარს არ ვიტყოდი. ახლა ძალიან მშვიდად ვცხოვრობ, გულმოდგინედ ვვარჯიშობ და ვცდილობ, გუნდს დავეხმარო. ნებისმიერი გოლის გატანისას მამაჩემი მახსენდება. ბევრჯერ უკითხავთ, მოწინააღმდეგის კარის დალაშქვრისას ასეთი სევდიანი გამომეტყველება რატომ გაქვსო. პასუხი ნათელია, მამის გარდაცვალებით მოყენებული ტკივილი ჯერაც არ გამნელებია. მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ფეხბურთელი ვყოფილიყავი. ფორვარდისთვის გოლის გატანაზე დიდი წარმატება არაფერია. ასე რომ, წარმატების მომენტში მამა ბუნებრივად მახსენდება.

- ახალ გუნდში ყველაზე კარგი ურთიერთობა რომელ ფეხბურთელთან ჩამოგიყალიბდათ?

- რაულთან და გახოსთან. სხვათა შორის, პრეტემპორადის დასაწყისში მე და გონსალეს ბლანკო ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ჩვენ ძალიან კარგად გავუგეთ ერთმანეთს და დავმეგობრდით.

- საზოგადოებაში რაული მეტისმეტად სერიოზული ადამიანის იმიჯით სარგებლობს, თუმცა მისი ახლობლები აღნიშნავენ, რომ "რეალის" კაპიტანი სულ სხვა ადამიანია.

- თუ სიმართლის გაგება გსურთ, რაულის მეგობრებს უნდა ჰკითხოთ. ის ძალიან მხიარული, კეთილი და სასიამოვნო პიროვნებაა. ვფიქრობ, ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს. რაული თუ ვინმეს დაუმეგობრდება, მას სიცოცხლესაც ანდობს.

- მიმომხილველებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ, ეგრეთ წოდებული, ოპორტუნისტი ფორვარდი ხართ. ანუ ამით იმის თქმა სურთ, რომ საგოლე მომენტების შექმნა თავად არ გეხერხებათ და მხოლოდ სხვის მიერ წამოწყებულ იერიშებს აგვირგვინებთ.

- ალბათ სამართლიანი შეფასებაა. ყველა ფორვარდს საკუთარი სტილი გამოარჩევს. ვცდილობ, მოედანზე ბევრი ვიმოძრაო და ხელსაყრელი პოზიცია მოვნახო. იმ მოთამაშეთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რომლებიც ბურთს მოედნის ცენტრში იღებენ, გზად რამდენიმე ფეხბურთელს ატყუებენ და გოლი გააქვთ. გარკვეულწილად თანაგუნდელებზე ვარ დამოკიდებული. თუმცა, ეს ჩემს ნაკლოვანებაზე სულაც არ მეტყველებს. გუნდს სავიოლას მაგვარი თავდამსხმელებიც სჭირდება (იცინის).

- რა არის ის თვისება, რომელიც არ გაქვთ, მაგრამ ძალიან გინდათ, რომ გქონდეთ.

- ვისურვებდი, ისეთივე ფორვარდი ვიყო, როგორიც რომარიო. მასზე უბრალოდ, შეყვარებული ვარ. რომარიოს თამაშის ვიდეოჩანაწერებს ვუყურებ. ვცდილობ, მისგან ბევრი რამ ვისწავლო. ყოველთვის გასაოგნებელია, თუ როგორ ახერხებდა მეტოქეებისგან დასხლტომასა და ხელსაყრელ პოზიციაზე გასვლას.

- "რეალის" საუკეთესო ფორვარდად ვის მიიჩნევთ?

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა წარმოუდგენლად რთულია. რაული, ვან ნისტელროი, სოლდადო... ფანტასტიკური ფორვარდები არიან. რა თქმა უნდა, ერთის გამოყოფა გამიჭირდება.

- კარგით, მაშინ მითხარით, მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელად ვის მიიჩნევთ?

- დიდიე დროგბას. მისი თამაში ყველაზე მეტად მომწონს.

- თქვენი გემოვნება შუსტერის გემოვნებას ემთხვევა. გერმანელმა სპეციალისტმა განაცხადა, მზად ვარ, სიცოცხლის რამდენიმე წელიწადიც კი დავთმო იმისთვის, რომ დროგბა "რეალში" გადმოვიდესო.

- დიახ, ვიცი. სენიორ შუსტერი არ ცდება. ის შესანიშნავი სპეციალისტია და ზუსტად იცის, დროგბას რისი უნარი შესწევს.

- თქვენს ყველაზე სუსტ წერტილად რას მიიჩნევთ?

- დაცვაში უსარგებლო თამაშს.

- სხვას არაფერს?

- ერთი შეხედვით, ფორვარდს დაცვითი ფუნქციების შესრულება სულაც არ უნდა ევალებოდეს, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთმა სულ სხვა აუცილებლობა მოიტანა. ჩემი აზრით, დაცვაში უფრო ძლიერი რომ ვიყო, ძირითად შემადგენლობაში გაცილებით ხშირად მოვხვდებოდი. თუნდაც "ვალიადოლიდთან" მატჩი ავიღოთ. განაპირა მცველები ჩვენს საჯარიმოდე ჩადიოდნენ. ამ სიტუაციაში თავდამსხმელი ვალდებულია, მოწინააღმდეგეს პირველი ბარიერი შეუქმნას და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ბურთი აართვას.

- თქვენ საუკეთესო თვისებად რას მიიჩნევთ?

- ამის შესახებ თავად ისაუბრეთ, ოპორტუნისტულ ბუნებას.

- ბავშვობაში თქვენი კუმირი ვინ იყო?

- როცა "რივერპლეიტის" საყმაწვილო სკოლაში ვთამაშობდი, ბურიტო ორტეგას ვაღმერთებდი. იმხანად ის ჩინებული ფეხბურთელი იყო.

- დაგვისახელეთ ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი.

- რა თქმა უნდა, დიეგო (იცინის).

- პელე რომ გეთქვათ, არგენტინაში არ ჩაგიშვებდნენ?

- (იცინის) როგორც არგენტინელისთვის, დიეგო მარადონას კარიერა სამაგალითოა. დი სტეფანოსა და სხვა გენიალური არგენტინელების თამაშის საშუალება, ბუნებრივია, არ მქონდა, ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მარადონაზე უკეთესი ფეხბურთელი არ მინახავს.

- სეზონის ბოლოს "სიბელესზე" გასასვლელად რას გაიღებდით?

- ძალიან ბევრ რამეს. ეს ჩემი ოცნებაა. "სიბელესზე" რომელიმე ტიტულის აღნიშვნა, რა თქმა უნდა, დაუვიწყარი იქნება. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული. თუ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოვამჟღავნებთ, ჩემპიონები გავხდებით.

ილია ნიკოლაიშვილი

ხავიერ სავიოლა

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა

ბათუმის ტურნირი

კვალიფიკაცია დასრულდა

ბათუმის ჰარდზე გუშინ დასრულდა 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო შეჯიბრება. აქ წვიმის გამო გადადებული იყო ოთხი თამაში, საიდანაც ორში ქართველები თამაშობდნენ.

სოფიო შაფათავამ 6:4, 6:4 დაამარცხა **თათია მიქაძე**, ხოლო **ანა ჯიქიამ** წააგო ბელარუს **ალექსანდრა მალიარჩიკოვასთან** - 5:7, 6:1, 1:6. დანარჩენ ორ მატჩში რუსებმა **იულია პარასიუკმა** და **ვასილისა დავიდოვამ** იმარჯვეს, თუმცა, ერთმა წაგებულმა, სომეხმა **ანა მოვსისიანმა** "იღბლიანი წაგებულის" სტატუსით გააღწია ძირითად ტურნირში.

ამრიგად, ძირითადი ტურნირის პირველ წრეში ხუთი ქართველი ითამაშებს: **თინათინ ყავლაშვილი**-ანა ბარტენშტაინი (ავს), **სოფიო შაფათავა**-რია დორნემანი (გერ), **ეკატერინე გორგოძე**-ჩაგდა ბუიუქაგჩაი(თურ), **ოქსანა კალაშნიკოვა-სოფიო ქვაცაბაია**.

კვალიფიკაციიდან ორივე ქართულმა წყვილმა გააღწია: **ანა ჯიქია-მარიამ ქურდაძემ** და **თეონა ცერცვაძე-მაგდა ოქრუაშვილმა**. ძირითად ბადეში ამათ დაემატებიან: **თათია მიქაძე-სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე**-ქსენია პერვაკი (რუს), **მანანა შაფაქიძე**-ავგუსტა ციბიშევა (რუს), **ოქსანა კალაშნიკოვა-სოფიო ქვაცაბაია**.

ირაკლი დარცმელიძე
ბათუმიდან

დევიძე ერთ ნაბიჯში

21 წლის **სალომე დევიძეს** ერთი ნაბიჯი აშორებს ეშლენდის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი დოლარი) ძირითად ბადემდე. სალომე მეორე საკვალიფიკაციო წრეში ამერიკელ **მორინ დიასს** ხვდებოდა, პირველი სეტი მასპინძელმა მოიგო, თუმცა შემდეგ დევიძემ იყოჩაღა - 1:6, 6:3, 6:4. სალომე საკვალიფიკაციო ბადეში მე-7 ნომრად განთესეს, ფინალურ წრეში ის ვეტერან ბულგარელ **სვეტლანა კრივენჩევას** (582) შეხვდება, რომელსაც აქამდე ერთხელ მოუგო, თუმცა ორჯერ დამარცხდა. რაც შეეხება ბათუმის საერთაშორისო ტურნირს, შეხვედრები წვიმის გამო გუშინაც გადაიდო.

ჟიჟგბურთი

მსოფლიო ტური

მშობლიურ ქალაქში

ბრაზილიის ქალაქ ფორტალეზაში დაიწყო მსოფლიო ტურის ბოლო ეტაპი. თავიანთ მშობლიურ ქალაქში **საქართველომ** საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაიწყო. ჩვენმა გოგონებმა ერთი შეხვედრა გამართეს შვეიცარიელებთან, ჰოლტვიკთან და ზემლერთან და ორ სეტში გაიმარჯვეს 21:18, 21:18. შედეგად, საქა-რთველო უკვე ძირითად ბადეში ითამაშებს. გეორ-გია კი პირდაპირ ძირითად ბადეშია დაშვებული და პირველ შეხვედრას ხვალ გამართავს. შეგახსენებთ, რომ ვაუებისთვის ეს წელს ბოლო ეტაპია. ქალები კი ბოლოჯერ, 1-4 დეკემბერს ტაილანდში იასპარეზებენ.

ბესიკ ჯანგავაძე

თენისი

დავით გურგენიძე. 26.09.1953, საგარეჯო. საჭადრაკო კომპოზიტორი. საერთაშორისო დიდოსტატი (1989), საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციასა (1994) და ჭადრაკში (2001). საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი (1994-2004). გაზეთ "ლაზიერის" (1997-იდან) და გაზეთ "სკოლა-ჭადრაკის" რედაქტორი (2003-იდან). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1975-76; 81-82), ორგზის მეორე (1973-74, 77-78) და სამგზის მესამე (1979-80; 83-84; 87-88) პრიზიორი. მსოფლიოს პირველი და ამავე დროს ორგზის ჩემპიონი საჭადრაკო ეტიუდების შედგენაში (1997-2001; 2002-05). საქართველოს ქალთა ნაკრების კაპიტანი და ვერცხლის მედლის მფლობელი 2000 წლის ოლიმპიადაზე. 20-მდე საჭადრაკო წიგნის ავტორი.

ძალოსნობა

მსოფლიო ჩემპიონატი

სამი კაცით ჰეკინისკენ



სამეული ვანო გრიქუროვის შესარჩევი იქნება

105 კილოში გუშინ ფინალური A ჯგუფის გამოსვლა იყო და აქ წყდებოდა, რამდენ ქულას შეიმატებდა ქართული გუნდი - როგორც იცით, B ჯგუფში **ალბერტ კუზილოვი** და **გია მაჭავარიანი** გამოვიდნენ - კუზილოვმა მეხუთე ადგილი დაიკავა, მაჭავარიანმა კი მეთოთხმეტე. საერთო ჯამში ეს მეჩვიდმეტე და 26-ე ადგილებს ნიშნავდა. მეჩვიდმეტეს არა უშავს - 10 ქულა მაინც იყო, მაგრამ მაჭავარიანი ჩასათვლელ ზონაში ვერ ხვდებოდა და ერთი ადგილით ნაკლები სჭირდებოდა წინ. ასეთი შესაძლებლობა რომ დიდია, უკვე ბევრჯერ გამოჩნდა ამ ჩემპიონატზე და ქართველებმა როგორც ვისარგებლეთ, ასევე ვიზარალეთ კიდეც - ასანიძის ნული მაქვს მხედველობაში.

ჩვენთვის გუშინდელი საშეჯიბრო დღე ბოლო იყო და მეტი შანსი არც გვექნებოდა, თუკი არ გავითვალისწინებთ იმას, რომ რამდენიმე თვის შემდეგ შესაძლოა ვინმე დოპინგზე ჩავარდეს.

A ჯგუფში თავიდან 12 განაცხადი იყო, მაგრამ საშეჯიბროდ თერთმეტი გამოვიდა, ეს კი ის ნანატრი ქულა აღმოჩნდა, რომელსაც მაჭავარიანისთვის შევთხოვდით ღმერთს. ამით, ცხადია, ხეირი კუზილოვმა ნახა და წინ ორი ქულით გავედით. ახლა იმის ცდაშილა ვიყავით, ნულს ვინ მიიღებდა. საერთოდ ცუდია, რომ სხვისი შეცდომის შემყურე ხარ და არც სპორტული ეთიკითაა კარგი სხვისი წარუმატებლობით გახარება, მაგრამ ისევ და ისევ სპორტული პრინციპიდან გამომდინარე, ვიღაცას რაღაც ეშლება და რომ კარგავს, იმიტომაც აგებს. ასეთი შეცდომის თუ შეუძლებლობის გამო იყო, რომ ასანიძემ ნული მიიღო თორემ მას რომ ეს არ მოსვლოდა, შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე დაკავებულ იმ ზონაში ვრჩებოდით, რომელიც 4 ლიცენზიას იძლევა.

როგორც იცით ათლეტები პირველად ატაცაში ცდიან ძალებს. ამ მოძრაობაში მსოფლიო რეკორდი, 199 კილო, პოლონელ **მარცინ დოლეგას** ეკუთვნის. პოლონელი აქ ასპარეზობდა და საწყისი წონა 193 შეუკვეთა. არ ჩანდა ეს წონა მისთვის დაუძლეველი, მაგრამ მოხდა სასწაული და დოლეგამ ნული მიიღო. ჩემპიონატის უმთავრესმა ფავორიტმა რომ ყველაფერი წყალში ჩაყარა, ბევრ მის კონკურენტს მოჰგვარა სიხარული. ამით უპირველესად ბელარუმა **ანდრეი არამნაუმ** ისარგებლა - სამივე ცდა გამოიყენა და 195 კილო დაიფიქსირა. ჩვენმა ათლეტებმა რომ კიდევ ერთი ადგილით წაიწიეს წინ და ამით ორი ქულაც შეგვემატა, გასაგებია, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს მსოფლიო ძალოსნობის უკვე ამოსული ვარსკვლავის არამნაუს დიდებული გამოსვლა. იგი ფინალში ყველაზე ახალგაზრდა იყო - 19 წლისა. ჯერაც იუნიორებში ითვლება და შეუძლია ამ ასაკის ნებისმიერ ტურნირში გამოსვლა, მაგრამ დღეიდან მას იქ არაფერი ესაქმება: 195 კილო ატაცაში ხომ დაძლია და ეს უკვე მსოფლიო რეკორდთან მიახლოებული წონაა, აკვრაშიც არაფერი დათმო და 220-დან 228-მდე აიყვანა შტანგის სიმძიმე.

სამივე მისვლა წარმატებით გამოიყენა და აკვრაში მხოლოდ ბულგარელ **ალან ცაგაევს** ჩამორჩა - 131 კილო. ბულგარელი ორჭიდის ჯამში, ისევე როგორც ატაცაში, მსოფლიო ჩემპიონი გახდა; ამას გარდა მეორე მისვლის დროს, როცა 225 კილოგრამი დაძლია, ახალგაზრდებში იმავე მარცინ დოლეგას მსოფლიო რეკორდი დაამხო ორჭიდის ჯამში - 415 420-ად აქცია. ესეც არაკმარა და რამდენიმე წუთის წინ თავისივე დამყარებული რეკორდი სამი კილოგრამით დაამძიმა. ახლა ახალგაზრდებს შორის მსოფლიო რეკორდი 423 კილოგრამს უდრის. ამ ბიჭს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ და როგორც ჩანს, სულ ცოტა ხანში მამაკაცთა მსოფლიო რეკორდებსაც გამოუყვანს წირვას...

ისევ ჩვენს სატკივარს დავუბრუნდეთ. ატაცაში მეტი საჩუქარი არ გვრგებია და იმედის თვალით აკვრას შევცქეროდით. არ გაგვიცრუვდა იმედები და ამ საქმეში ჩვენგან მადლობა სლოვაკ **მარტინ ტესოვიჩს** და ერაყელ **მოჰამედ ჯასიმ ალ აიფურს** ეკუთვნით: ერაყელმა 175 კილოს ვერ მოუხერხა ვერაფერი, ხოლო სლოვაკმა 221-ით ორჯერ სცადა ფონს გასვლა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. 222-ით შეეძლებ მიზნის მიღწევასო, იფიქრა. უფრო დამძიმებულ წონასაც ვერ მოერია და ნულიც მიიღო. ჩვენ კი კიდევ ორ-ორი ნაბიჯით და ქულით წავიწიეთ წინ.

საერთო ჯამში, გუშინდელმა დღემ 8 ქულა მოგვიტანა, რაც 1,2 კოეფიციენტზე გადამრავლებით არის 9,6. სულ საქართველოს ნაკრებმა 96,4 ქულა დააგროვა, რომელთაგან 46,6 ტაილანდშია მოპოვებული. ეს მარაგი გუნდურ ჩათვლაში 23-ე ადგილზე გვამყოფებს, რაც სამ ოლიმპიურ ლიცენზიას იძლევა. იმ ზონას, სადაც 4 ლიცენზია რიგდება, 12 ქულით ჩამოვრჩებით, ქვეყანამ კი მხოლოდ სამმა გაგვისწრო: ტაილანდმა, თურქეთმა და ჩრდილოეთმა კორეამ.

ამ სამ ოლიმპიურ ლიცენზიას ვერავინ შეგვეცილება, რადგანაც მძიმე წონაში იმდენ ქულას ვერავინ მოიპოვებს. ჩვენ 5 და მეტი საფეხურით ჩაგვაჩოჩოს - ამ შემთხვევაში ჩამოგვერთმევა ერთი ლიცენზია, ერთადერთი შანსი, ჩვენი გადასწრების ირანს აქვს, რომელსაც ბოლო დღეს ორი ათლეტი გამოჰყავს. ესეც მხოლოდ ერთი საფეხურით უკანდახევა იქნება და მეტი არაფერი.

საინტერესოა, რომ ჩვენ მერე ისეთი ქვეყნებია სამი ლიცენზიის ზღვარზე როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია, საფრანგეთი, იაპონია, ესპანეთი და ტაივანია. ცხადია, მეტი გვსურდა, შეგვეძლო კიდეც და ოლიმპიადამდე ის სამი ათლეტი, რომელიც პეკინში გაემგზავრება, ისე უნდა მოემზადოს, მოწინავეთა რიგებში რომ ჩაეწერონ. ვინ იქნება ის სამი, ამას დრო და თითოეული ათლეტის მზადება გამოაჩენს.

როგორც გითხარით, ჩემპიონი ბელარუსი ანდრეი არამნაუ გახდა ორჭიდის ჯამში 423 კილოგრამით, მეორეზე ბულგარელ ალან ცაგაევია 411 ქულით, ამდენივე დააგროვა, მაგრამ წონით ერგო მესამე ადგილი რუს **დმიტრი კლოკოვს**.

ქართველთაგან საბოლოოდ ალბერტ კუზილოვმა მეცამეტე ადგილი დაიკავა და თავის წილად გუნდს 13 ქულა მოუტანა. გია მაჭავარიანმა კი 22-ე ადგილზე დაასრულა ასპარეზობა, რაც 4 ქულის ტოლფასია.

ქართული დელეგაცია დღეს 12 საათზე უკვე სამშობლოში გამოემგზავრება და ხვალ საღამოს ჩაფრინდება თბილისში. სამწუხაროდ, ვერ ვესწრებით მძიმე კატეგორიის ათლეტთა გამოსვლას, საზეიმო დახურვას და ოფიციალურ ბანკეტს, დასრულებულ ჩემპიონატზე საუბარს კი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გავაგრძელებთ.

ზვიად შათირიშვილი
ჩინ მაიდან

რეპორტაჟის სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ხელბურთი | საქართველოს ჩემპიონატი

ქუთაისი-თბილისი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ორი დაბრუნება და ორი რბევა

მამული-სტუ/თელავი 18:47

მამული: ხონელიძე, გველესიანი (2), ქუთათელაძე (1), კერესელიძე (5), კვერნაძე (7), თეთრუაშვილი (3), შ. დორული, ბიდოდაშვილი

სტუ-თელავი: თევზაძე, სამყურაშვილი, გ. ტორონჯაძე, ქობელაშვილი (2), ა. ყიფიანი (13), გოგალაძე (6), ტალახაძე (5), გ. კობახიძე (2), ბერძენიშვილი (5), მ. კობახიძე (3), ო. ყიფიანი (2), ზაალიშვილი (3), სხიერელი (6)

ქუთაისი-თბილისი 11:43

ქუთაისი: ნიქაბერიძე, შიშინაშვილი, ჯავახაძე, ჯანაშია (1), ადამია (1), თათვიძე, დოლაკიძე (4), სიხარულიძე (3), მაღლაკელიძე, თუთბერიძე (2), კიზირია, ტუღუში, ჩხეიძე, დოლიძე

თბილისი: ანდრიაძე (1), გონჩაროვი, ი. ტორონჯაძე (5), ფორაქიშვილი (6), ქარდავა (11), წივნივაძე (2), სამარღანიშვილი (1), ქირია (4), ღაღანიძე, ყაველაშვილი (3), მაისურაძე (5), გელაშვილი, ქუთათელაძე (5)

მწვრთნელები: ნინო ელოშვილი, თამარ არჩაია

დღეს

13:00 ქუთაისი - სტუ-თელავი (ასკ)

14:30 მამული - თბილისი (ასკ)

არმიის სპორტული კომპლექსის დარბაზში, გუშინ, მე-18 ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. დაიწყო უხმაუროდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე და შეკვეცილად - მხოლოდ ოთხი გუნდით, საიდანაც ორი გამოკვეთილი ფავორიტია, ორიც უიმედო აუტსაიდერი.

რა დასამალია და ოთხგუნდიანი ჩემპიონატის დაწყებას, მონაწილენი სიმწრის ღიმილით შეხვდნენ - აქამდე ხომ ბევრი გვყავდა და კიდევ ოთხ გუნდამდე შემცირებით "მთლად ავშენდებითო". თუმცა არც იმას მალავს არავინ, რომ ხელბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტის იმედი აქვთ - ეგებ ახლა მაინც ეშველოს რამე ქართულ ხელბურთსო...

მე-18 ჩემპიონატი სტუ-"თელავისა" და "მამულის" მატჩით გაიხსნა, სადაც ორი დაბრუნების მომსწრე გავხდით. სტუ-ს შემადგენლობაში კვლავ ვიხილეთ ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარე **შოთა თევზაძე**, რომელიც თურქეთიდან წამოვიდა და სანამ ახალ კლუბს მოძებნის, საქართველოს ჩემპიონატში აპირებს ფორმის შენარჩუნებას. ისე, შარშან სტუ-მ თითქმის მთელი სეზონი ერთადერთი მეკარის, **გაგა სამყურაშვილის** ამარა ითამაშა, წლეულს კი თევზაძის გარდა, ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერი **გიგა ტორონჯაძეც** დაიმატა და ახლა ერთბაშად სამი ძლიერი კარის დარაჯი ჰყავს...

გუშინ, იმსაჯა **თამარ არჩაიამ**, რომელიც საქართველოს ჩემპიონატს შარშანწინაც სჯიდა, შარშან კი ისლანდიაში წავიდა სათამაშოდ, იქაურ "სტიარნანში" ქვეყნის ჩემპიონი გახდა და კვლავ სამშობლოში დაბრუნდა. რაკიღა ქალთა ეროვნული ჩემპიონატი არ გვაქვს, 25 წლის არჩაია მსაჯობას აპირებს, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ ისევ საზღვარგარეთ წავიდეს და მოთამაშის კარიერა გააგრძელოს. *"ორი წელი თურქეთში ვითამაშე, ორიც ისლანდიაში. ჯერ არ გადამიწყვეტია, საბოლოოდ დავასრულებ თუ არა ხელბურთელის კარიერას, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, საზღვარგარეთ წლების განმავლობაში ცხოვრება მომბეზრდა. ისევ სამშობლოში ყოფნა მირჩევნია და თუკი სამუშაო მექნება, აქ დავრჩები. დღეს იმიტომ ვმსაჯობ, რომ ნინო ელოშვილის მეწყვილე ინა ჭკუასელს მცირე ტრავმა აქვს, მაგრამ თუ მსაჯობას გავაგრძელებ, აუცილებლად დამჭირდება მუდმივი მეწყვილე. ვიმედოვნებ, საქართველოს ხელბურთის ფედერაცია ამ პრობლემას მომიგვარებს"* - გვითხრა არჩაიამ.

უშუალოდ მატჩზე კი ბევრი არაფერია დასაწერი. ერთი ის არის აღსანიშნავი, რომ მე-18 ჩემპიონატის პირველი გოლი **გიორგი კობახიძემ** გაიტანა. როგორც მოსალოდნელი იყო, სტუ-"თელავმა" ყოველგვარი გართულების გარეშე, სოლიდური სხვაობით დაამარცხა "მამული". შარშანდელისაგან განსხვავებით, "მამულს" ცოტა უკეთესი შემადგენლობა კი ჰყავს, მაგრამ ფინანსური მდგომარეობა იგივე დარჩა - გუნდში ელემენტარულად, ხელფასებიც კი არ რიგდება. გუშინ, "მამულის" სათადარიგოთა სკამზე ერთადერთი ხელბურთელი იჯდა. გუნდის თავკაცმა **რეზო ჭანტურიამ** დაიჩივლა - შემადგენლობა კი მყავს, მაგრამ ბიჭებს ხელფასებს რომ ვერ ვაძლევ, ვერც იმას ვავალდებულებ, რომ ვარჯიშები და მატჩები არ გააცდინონო...

თითქმის იგივე სურათი ვიხილეთ "თბილისისა" და ეროვნულ ჩემპიონატში წლეულს დაბრუნებული "ქუთაისის" მატჩში. "თბილისს" რეალური საჩემპიონო ამბიციები აქვს, ხოლო ქუთაისელთა მდგომარეობაზე გუნდის მთავარი მწვრთნელის, **გია თავხელიძის** კომენტარიც ნათლად მეტყველებს: *"ორი კვირის შეკრებილი გუნდი მყავს, რომელიც ქუთაისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი მე-12 კომპლექსური სპორტსკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა. მერიამ ეკიპირება შეგვიძინა და მგზავრობის ხარჯებს გვინაზღაურებს, ხელფასების გაცემის საშუალება კი ჯერ არ გვაქვს. გუნდი, ძირითადად, 1990 წელს დაბადებული ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული. შებუშავებული გვაქვს სამწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კადრების აღზრდას და ეტაპობრივად კარგი გუნდის ჩამოყალიბებას. წლევანდელ ჩემპიონატში, ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ამ ახალგაზრდებმა გამოცდილება მიიღონ"*.

მოკლედ, ესოდენ განსხვავებული ამბიციების გუნდების შეხვედრაში, სავსებით ლოგიკურია ის ანგარიში, რომლითაც "თბილისმა" გაიმარჯვა. დასასრულ, ისიც ვთქვათ, რომ ერთი გოლი გაიტანა "თბილისის" მეკარე **კორნელი ანდრიაძემ**, რომელმაც საკუთარი კარიდან გადაუგდო ბურთი თავზე წინ გამოსულ კოლეგას.

კობა ხატისაშვილი

შოთა თევზაძე (შუაში)

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭიდაობით

ინტერვიუ ზურაბ ტომარაძესთან

ვითას მეორე სიცოცხლე

აგვისტოში გაცნობეთ, რომ საქართველოს მომავალ ჩემპიონატში "ვითა" ითამაშებდა. მას მერე ახალი გუნდის მთავარ მწვრთნელს ზურაბ ტომარაძეს არაერთხელ დავუკავშირდით, მაგრამ საგაზეთო ინტერვიუსგან თავს იკავებდა – ჯერ საბოლოოდ არ ჩამოვყალიბებულვართ და როცა ყველაფერს მოვაწესრიგებთ, ვრცლად მას მერე ვილაპარაკოთო. ამ შაბათს მთავარი მწვრთნელი კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და საბოლოოდ გადაწყდა რა სახის გუნდი იქნება "ვითა" მე-17 ჩემპიონატში.

ვიდრე თავის კრებულზე ზურაბ ტომარაძე მოგვითხრობდეს, ჩვენი თვალით ნანახს მოგახსენებთ. "ვითა" აგვისტოს შემდეგ ვაკეში, "აკადემიის" დარბაზში ვარჯიშობს. გუნდის თავკაცს ეხმარება ძველი ვითელი **მეხეილ კობეშავიძე**, რომელმაც ამ ზაფხულს საქართველოს კადეტთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე მე-12 ადგილზე გაიყვანა.

გუშინდელ ვარჯიშზე 10 კალათბურთელი იყო.

შპანძაზელები: **ნიკო ნოზაძე** (დინამოდან), **დავით გასიტაშვილი** (უმაღლეს ლიგაში ჯერ არ უთამაშია), **ალეკო ძიძიგური** (სტუ-დან), **გიორგი მარხვაშვილი** (თსუ-დან).

ფორვარდები: **ვაკო ბეჟანიშვილი** (აზოტიდან), **დავით გვიმრაძე** (დინამოდან); **მიხეილ ბერიშვილი** (თსუ-დან).

ცენტრები: **დავით ბერძენიშვილი** (აზოტიდან), **ლუკა ნოზაძე** (სტუ-დან), **გოჩა კორძაძე** (მაკაბიდან).

ვარჯიშისას, "დინამოდან" გადმოსულ ექიმს **ზურაბ იოსელიანს გიორგი მარკოიშვილისა** (აზოტი) და **ბუბა ბერიშვილის** (ავიამშენი) ამბებიც ვკითხეთ. ექიმისგან ამომწურავი პასუხი მივიღეთ: ბუბა მცირე ტრავმის შემდეგ რეაბილიტაციას გადის, ხოლო მარკოიშვილს მაღალი ტემპერატურა აქვს და ამიტომ ვერ ვარჯიშობსო.

ახლა მწვრთნელს მოვუსმინოთ.

- თავდაპირველად იმის შესახებ, თუ რატომ დაგვიანდა გუნდის საბოლოოდ ჩამოყალიბება.

- მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით კლუბის მეპატრონესთან. საჭირო იყო ყველა საკითხის კარგად გაანალიზება და საბოლოო გადაწყვეტილების აუჩქარებლად მიღება. პრობლემა მხოლოდ ვადებში იყო, სხვა მხრივ შეფერხება არ ყოფილა.

- ვის ეკუთვნის "ვითას" ხელმეორედ აღორძინების იდეა?

- ჯერ გეტყვით, რომ 15 წელი სრულდება საქართველოს 7-გზის ჩემპიონის, "ვითას" დაარსებიდან. ამ საიუბილეო თარიღზე გუნდის პირველმა დამფუძნებელმა ავთანდილ საყვარელიძემ "ვითას" აღდგენა გადაწყვიტა. ახალი გუნდი ძველის სამართალმემკვიდრე გახდება.

- "ვითა" ისეთივე სერიოზული გუნდი იქნება?

- დიდი გეგმები გვაქვს. შეიძლება პირველი ეტაპი გუნდის ბირთვის ჩამოყალიბებას დაეთმოს, შემდეგ წავა მუშაობა კიდევ უფრო გაძლიერებაზე, ასევე საუბარია ახალგაზრდული გუნდის და დახვეწილი ინფრასტრუქტურის შექმნაზე.

- "ვითა" სეზონის წინ საბოლოოდაა დაკომპლექტებული?

- ჩემპიონატს ალბათ ამ შემადგენლობით დავიწყებთ. გუნდის შეკრება ცოტა გვიან მოგვინია, მაგრამ, ვფიქრობ, წარმატებაზე ოცნება ამ შემადგენლობითაც შეიძლება. მალე მარკოიშვილი და ბერიშვილიც შემოგვიერთდებიან და დუდუ დადიანის მემორიალს მომზადებულები შევხვდებით.

- იყო საუბარი, თითქოს "ვითაში" წლეულს ლეგიონერებს უნდა ეთამაშათ...

- განაცხადში 2-3 ადგილი ცარიელი გვაქვს. ჩემპიონატის მსვლელობისას შევხედავთ, თუ მეპატრონეც საჭიროდ მიიჩნევს, არ არის გამორიცხული შუა სეზონში გავძლიერდეთ.

- მომავალ ჩემპიონატზე რას იტყვით?

- ვფიქრობ, საინტერესო პირველობა უნდა გამოვიდეს. შარშანდელთან შედარებით წლეულს გუნდებში მოთამაშეები თანაბრად არიან გადანაწილებულები. თუ წინა სეზონში "აზოტის" შემადგენლობა სხვებისას საგრძნობლად აღემატებოდა, ახლა 3-4 თანაბარძალოვანი კლუბია – "ავიამშენი", "ვითა", "აზოტი", "მაკაბი" თანაბრადაა დაბალანსებული და "დინამოც"...

- დაბალანსების მხრივ თქვენთან რა სიტუაციაა?

- ცენტრი დავით ბერძენიშვილი აქტიურად ვარჯიშობს, ფორმას კრეფს. მისი დამატების შემდეგ "ვითაც" თანაბრად დაბალანსდა. გვყავს კარგი გამთამაშებლები, ფორვარდები და გამოცდილი ცენტრის გვერდით ახალგაზრდა მეფარეები...

ვაჟა სიმონიშვილი



ზურაბ ტომარაძე

დუდუ დადიანის მემორიალი

ექვსი გუნდი მეშვიდე მემორიალზე

საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში, გუშინ გაიმართა დუდუ დადიანის რიგით მეშვიდე მემორიალის წილისყრა. დადიანის მემორიალი ჩატარდება 4-7 ოქტომბერს, რუსთავში, სადაც ადგილობრივი "აზოტი" შარშან მოპოვებული ტიტულის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. ამაში მისთვის ხელის შეშლას შეეცდებიან "ავიამშენი", "ვითა", "დინამო", "მაკაბი" და თსუ. აღსანიშნავია, რომ მრავალწლიანი განმორების შემდეგ, სწორედ ამ ტურნირზე დაუბრუნდება ქართულ კალათბურთს "ვითა".

რაც შეეხება გუშინდელ წილისყრას, A ჯგუფში მოხვდნენ "თბილავიამშენი", "ვითა" და "დინამო", ხოლო B ჯგუფი შეადგინეს თსუ-მ, "აზოტმა" და "მაკაბიმ". ჯგუფური ეტაპის დასრულების შემდეგ, პირველადგილოსნები ფინალში ითამაშებენ, მეორეადგილოსნები ბრინჯაოს მედალს შეეცილებიან ერთმანეთს, ხოლო მაჩანჩალები მეხუთე ადგილს გაითამაშებენ.

4 ოქტომბერი

ვითა-დინამო (14:00)

აზოტი-მაკაბი (16:00)

5 ოქტომბერი

დინამო-თბილავიამშენი (14:00)

თსუ-მაკაბი (16:00)

6 ოქტომბერი

თბილავიამშენი-ვითა (14:00)

თსუ-აზოტი (16:00)

7 ოქტომბერი

A3-B3 (12:00)

A2-B2 (14:00)

A1-B1 (16:00)

ინტერვიუ ილია ზედგინიძესთან

აუცილებლად უნდა მოვუგოთ!

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ილია ზედგინიძე მსოფლიო თასის გათამაშებას ნაადრევად გამოეთიშა. უფრო საწყენი კი ისაა, რომ ის რაგბიდანაც ნაადრევად მიდის. ზედგინიძე გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. ამჯერად მკურნალობს, თუმცა არც გუნდს სცილდება, როგორც ნამდვილ კაპიტანს შეჰფერის ბოლომდე ბიჭების გვერდითაა. ილიას გუშინ საღამოს დავუკავშირდით, როდესაც ლიონიდან ლანსისკენ მიემგზავრებოდა.

- გუნდი ლანსში დღეს დილით გაემგზავრა. მე ლიონში ექიმებმა შემაყოვნეს და ახლაღა მივდივარ. მკურნალობა გეგმის მიხედვით მიდის. ტკივილი კი მაწუხებს, მაგრამ ვუძლებ. მპირდებიან, რომ ყველაფერი რიგზე იქნება.

- რაგბიდან თქვენი წასვლის გადაწყვეტილება საბოლოოა?

- რაგბიდან წასვლას არ ვაპირებ. კავშირი სულ მექნება. უბრალოდ. აღარ ვითამაშებ.

- თუ საიდუმლო არაა რა საქმიანობას წამოიწყებთ. რაგბის კავშირში ხომ არ იმუშავებთ? ან იქნებ პოლიტიკაში აპირებთ წასვლას?

- არც ერთს და არც მეორეს. რაგბთან კავშირი, სულ რომ მექნება უკვე გითხარით. საქმიანობის სფეროს კი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გავარკვევ. ჯერ რაიმე კონკრეტულის თქმა ნაადრევია.

- კულუარებში საუბრობდნენ, რომ თითქოს თქვენ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბში ჩართვას გიპირებდნენ.

- არა, მსგავსი არაფერი მსმენია. ჩემს თავს მეც არ მოვიაზრებ ამ ამპლუაში, თუნდაც იმიტომ რომ სათანადო გამოცდილება არ მაქვს.

- კარგით, ახლა ნაკრებზე გკითხავთ. როგორი განწყობაა გუნდში?

- ძალიან სერიოზულად ვემზადებით. ეს შეხვედრა ნამიბიის ნაკრებთან, ჩვენთვის ხომ თითქმის ყველაზე მნიშვნელოვანია. აუცილებლად უნდა მოვუგოთ. მწვრთნელები ინტენსიურად მუშაობენ, ფრანგი კონსულტანტი რჩევებს აძლევს. გუნდში საქმიანი და, რაც მთავარია, ძალიან მეგობრული ატმოსფეროა, რაც ვფიქრობ, წარმატების მიღწევის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

- ნაკრების შემადგენლობა ამ მატჩისთვის ცნობილია. ვინმეს ტრავმა ხომ არ აწუხებს?

- პალიკო ჯიმშელაძეს საზარდული აქვს დაჭიმული და ვერც საფრანგეთთან ითამაშებს. გუშინ გუნდთან ერთად არ უვარჯიშიათ დავით ზირაქაშვილს და ირაკლი მაჩხანელს. ორივეს ფეხი სტკივა. საღამოს ბოლო ანალიზები უნდა გაუკეთონ და ამის შემდეგ გადაწყდება, ითამაშებენ თუ არა ნამიბიის წინააღმდეგ. სხვა ყველა მწყობრშია.

- გუნდისთვის თუა ცნობილი, რა რეზონანსი გამოიწვია მათმა თავდადებულმა თამაშმა საქართველოში?

- დიახ, და ყველანი ძალიან გახარებულები ვართ. ათი სარაგბო სტადიონის მონყობა ფანტასტიკური მოვლენა იქნება. ეს იქნება დიდი ბიძგი საქართველოში რაგბის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის. ამაზე კარგ საჩუქარს ვერც ვინატრებდით.

ბესიკ ჯანგავაძე

ილია ზედგინიძე

25 სექტემბერი, პორლო, B

კანადა-იაპონია 12:12

კან: (15-9) პაიკი, ფანდერვერვე, კალპენი (მენსა-კოკერი 72), სპაისერი, პრიჩარდი, სმითი, ვილიამსი; (1-8) სნოუ (დ. ფლეჩი 46), რიორდანი სპ 35 (მ.ფლეჩი 60), თიელი (ფრენკლინი 58), მ. ბურაკი, ჯეიმზი, იუქსი, კლიბერგერი (ჯექსონი 79), კარპენტერი (ვები 56) - *2ლ (რიორდანი, ფანდერმერვე), გ (პრიჩარდი)*

იაპ: (15-9) არუგა, ენდო (ონოზავა 72), იმამურა (ტაირა 69), ონიში, ლომამენუ, რობინსი, იოშიდა (კიმი 50); (1-8) ნიშიურა, მაცუბარა, სომა (იამამურა 52), ონო (ვატუვეი 56), თომპსონი, მაკირი, ორეილი, მიუჩი (კისო 72) - *2ლ (ენდო, ტაირა); გ (ონიში)*

B ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	ბ	პ	ქ
ავსტრალია	3	3	0	0	178-35	3	15
უელსი	3	2	0	1	134-67	2	10
ფიჯი	3	2	0	1	76-102	2	10
იაპონია	4	0	1	3	64-210	1	3
კანადა	3	0	1	2	45-83	-	2

29 სექ, 17:00 ავსტრალია-კანადა
29 სექ, 19:00 უელსი-ფიჯი

25 სექტემბერი, ტულუზი, C

რუმინეთი-პორტუგალია 14:10

რუმ: (15-9) დუმიტრაში, ნიკოლაე, დიმოფტე, გონტინიაკი, ფერკუ, დუმბრავა, კალაფეტიანუ (სირბუ 64); (1-8) პოპესკუ, მავროდინი (ტინკუ 41), ბალანი (იონი 52), რაციუ, პეტრე, ტუდორი (სკოლი 41), კოროდიანუ, ტონიცა (ურსაკე 66) - *2ლ (ტინკუ, კოროდიანუ), 2გ (კალაფეტიანუ, დუმბრავა)*

პორ: (15-9) ლეალი, აგილარი, სოუზა, დიოგო მატეუში, პორტელა, დუარტე პინტუ (მალეირუ 65), ჟოზე პინტუ (პისარა 75); (1-8) კორდეირუ, ფერეირა (მურე 70), შპაჩუკი (კორეია 52), პენალვა (პალია 79), გ. უვა, კოუტინიუ, ჟ. უვა (მურინელო 76), ჟირაო - ლ *(ფერეირა), გ (დუარტე პინტუ), ს (მალეირუ)*

C ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	ბ	პ	ქ
ზელანდია	3	3	0	0	224-27	3	15
შოტლანდია	3	2	0	1	98-50	2	10
იტალია	3	2	0	1	69-99	-	8
რუმინეთი	3	1	0	2	32-76	1	5
პორტუგალია	4	0	0	4	38-209	1	1

29 სექ, 15:00 ზელანდია-რუმინეთი
29 სექ, 23:00 შოტლანდია-იტალია

პირველი ფრე და კინაღამ სენსაცია...

გუშინ მსოფლიო თასს პირველი ორი გუნდი გამოემშვიდობა და ორივე სვიანად. პორტუგალიამ და კანადამ მეოთხე მატჩები ითამაშეს. ჩვენმა მუდმივმა მონინააღმდეგემ პირველი, ისტორიული ქულა აიღო მსოფლიო თასზე, იაპონიამ კი ფრედ ითამაშა კანადასთან და ფიჯისთან აღებული პრემიალური ქულის წყალობით ბოლო ადგილზე დატოვა. კანადას შანსი აქვს, ბოლო მატჩში დაეწიოს იაპონიას, მაგრამ მეტი არაა ჩემი მტერი, ავსტრალიას 4 ლელო გაუტანოს.

პორტუგალიამ ვაჟკაცურად ითამაშა თავის პირველ მსოფლიო თასზე, ოთხივე თამაშში თითო ლელო გაიტანა და კინაღამ რუმინეთსაც მოუგო. მე-18 წუთზე კაპიტანმა **ჟოაკიმ ფერეირამ** მოლიდან დაალელოვა რუმინეთი და პირველი ტაიმი 7:0 მორჩა. 63-ეზე ანგარიში **მარიუს ტინკუს** ლელოს შემდეგ გათანაბრდა (7:7), მაგრამ 69-ეზე **გონსალუ მალეირუმ** მეორედაც დააწინაურა პორტუგალია - 10:7. რუმინეთი სირცხვილს **ფლორინ კოროდიანუმ** გადაარჩინა 72-ე წუთზე. **დანუც დუმბრავამ** გარდასახვა გაიტანა და დამთავრებამდე 2 წუთით ადრე საჯარიმოც აიცილა - 14:10.

იაპონიამ 5:0 მოუგო ტაიმი კანადას, მაგრამ 48-ე და 65-ე წუთებზე ორი ლელო გაუშვა და 5:12 ჩამორჩა. უკვე 80 წუთის გასვლის შემდეგ **კოძი ტაირას** გატანილი ლელო კიდიდან გარდასახა **შოტარო ონიშიმ** 12:12! დღეს ბოლო მატჩებს ნამიბიელები და სამოელები ითამაშებენ.

შეცდომა არ უნდა დავუშვათ, ქართველები მწარედ დაგვსჯიან

დღეს, ლანსში, სარაგბო მსოფლიო თასზე D პულის აუტსაიდერთა მატჩია, საქართველოსა და ნამიბიის ნაკრებები ისტორიაში პირველი მოგებისთვის იბრძოლებენ. ორივე ნაკრებმა "სიკვდილის ჯგუფად" მონათლულ პულში საკმაოდ ანერვიულა ირლანდიის ნაკრები და მოედნიდან დამარცხებული, მაგრამ ამაყი გავიდა. **მალხაზ ჭეიშვილმა** ირლანდიასთან გმირული წაგების (10:14) შემდეგ ჩასტარტო თხუთმეტეულში რვა ცვლილება განახორციელა. გუნდს ახალი კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** გამოიყვანს, რადგან მეორეხაზელმა **ილია ზედგინიძემ** ირლანდიასთან მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და კარიერა დაასრულა. ეს მატჩი შანსია ნამიბიის ნაკრებისთვისაც, ამიტომაც მწვრთნელმა ჰასელმანმაც უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა. მწვრთნელმა "პუმებთან" 3:63 წაგებულ მატჩში დაასვენა ვარსკვლავები: **ქის ლენსინგი, ჰაინო სენეკალი** და **რიან ვიტბოი,** ახლა ისინი დაბრუნდნენ.

ვერდიქტი: საქართველომ და ნამიბიამ მსოფლიო თასის ოდისეის განმავლობაში მსოფლიოს რამდენიმე საინტერესო მომენტი გვაჩვენეს. ნამიბიამ ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი ირლანდიასთან მატჩში, მაგრამ ამ ნაკრების შერკინება ძალიან დაიჩაგრა არგენტინასთან შეხვედრაში. საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საშიში შერკინება ჰყავს და ეს ნაკრები ძალიან ახლოს იყო, ირლანდია ვადაზე ადრე გაეშვა შინ შერცხვენილი. საქართველომ უნდა მოიგოს დაახლოებით 10-15 ქულის სხვაობით, მორაგბეთა უდიდესი თავდადების და უპირატესი ფიზიკური მონაცემების წყალობით.

"სეტანტა სპორტსი"

ჰაკის ჰუსელმანი (ნამიბიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): "ჩვენ ჯერაც ველოდებით სიახლეებს **ტერტიუს ლოსპერის** და **ჰაინო სენეკალის** მდგომარეობაზე, ორივეს ფეხის მცირე ტრავმა აწუხებს. ასევე ტრავმა არ მოუშუშებია ჯერ **ვაკა კაზომბიაზეს**. თუ სამივე მწყობრში იქნება, მაშინ ჩვენ საქართველოსთან უძლიერესი გუნდი გვეყოლება.

ქეეს ლენსინხი (ნამიბიის ნაკრების კაპიტანი): "თუ მოგების გარეშე დავტოვებთ ტურნირს, ის ჩვენთვის ძალიან წარუმატებლად შეფასდება. ჩვენ უნდა მოვუგოთ საქართველოს".

ჯონ უილიამსი (ნამიბიის ნაკრების ფლანკერი): "ეს ზუსტად ის თამაშია, სადაც უნდა გადაწყდეს ბევრი რამ. ორივე ნაკრებს მხოლოდ მოგება სჭირდება. ჩვენ გვჭირდება უდიდესი მობილიზაცია და მათაც ესაჭიროებათ იგივე".

მსოფლიო თასის ოფიციალური ვებგვერდი

კრიტიკოსებმა დაწერეს, ნამიბია და საქართველო მსოფლიო თასზე არ უნდა თამაშობდნენო. ორივე გუნდი ოთხშაბათს ლანსის სტადიონზე გამოვა, რათა კიდევ ერთხელ დაამტკიცოს, რომ კრიტიკოსები ცდებიან. D პულის ორი უსუსტესი ნაკრები ერთმანეთს ლანსში ღირსებისთვის შეხვდება. ორივე მოწადინებულია, რომ მსოფლიოს დაანახოს, რაგბი მხოლოდ ბობოლათა თამაში არაა. იმათ, ვისაც ეს ორი ნაკრები უპერსპექტივო ჰგონია, შეუძლია აზრი ირლანდიელებს დაეკითხოს.

საქართველოს ნაკრებს ერთი ქულა აქვს, ნამიბიას - არცერთი. ფსონებს უფრო ქართველებზე ჩამოდიან, რომელთაც ივნისში, ბუქარესტში 26:18 დაამარცხეს მომავალი მეტოქე. ნამიბიელთა თავკაცი **ჰაკის ჰუსელმანიც** მიიჩნევს, რომ მისი გუნდი არ არის ამ მატჩში ფავორიტი: "საქართველო მეორე ეშელონის სარაგბო ქვეყანაა. თუ წავაგებთ ეს ჩაითვლება ნორმალურ მოვლენად, თუ მოვიგებთ - სენსაცია იქნება. თუ ჩემი ბიჭები გეგმას არ გადაუხვევენ და რაც ჩავიფიქრეთ ყველაფერს გააკეთებენ, მოგება შეგვიძლია. მაგრამ თითო შეცდომა შვიდი ქულის ტოლფასი იქნება. ვფიქრობ, საქართველომ ძალიან ძლიერად ითამაშა ირლანდიასთანაც და არგენტინასთან, პლუს მათ ათდღიანი დასვენება ჰქონდათ, ჩვენ კი მხოლდო ოთხი დღე დავისვენეთ. საქართველოს ნაკრების მატჩები კარგად განვიხილეთ, მათ ბრწყინვალე გუნდი ჰყავთ, მაგრად დაგვსჯიან თუ იმავე შეცდომებს გავიმეორებთ, რაც არგენტინასთან დავუშვით".

"ფოქს სპორტსი"

საქართველოს ნაკრების გუშინდელი ვარჯიში

26 სექტემბერი, 22:00, A

სამოა-აშშ

სენტ-ეტიენი, ულრე გიშარი

სამ: 15. ლოკი კრიჩტონი 14. ლომე ფაატაუ 13. სეილალა მაპუსუა 12. სელვის სევეიალი 11. ალესანა ტუილაგი 10. ელიოტა ფუიმანოო-სპოლუ 9. ჯუნიორ პოლუ; 1. კას ლეალამანუა 2. მაპონრი შვალგერი 3. სენსუს ჯონსტონი 4. ლეო ლაფაიალი 5. კეინ თომპსონი 6. სემო სიტიტი (კაპ) 7. ჯასტინ პერდი 8. ალფი ვაელუაგა / 16. სილაო ვაისოლა სეფო 17. ნაამა ლელეიმალეფაგა 18. ჯო ტეკორი 19. ულია ულია; 20. სტივენ სოოიალო 21. დევიდ ლემი 22. ლოლო ლუი

აშშ: 15. ქრის ვაილსი 14. სალესი სიკა 13. ფილიპ ელოფი 12. ვაძაფოლაუ ესიკია 11. ტაკუძვა ნგვენია 10. მაიკ პერკასი (კაპ) 9. ჩად ერსიკინი; 1. მაიკ მაკდონალდი 2. ოუენ ლენცი 3. ქრის ოსენტოვსკი 4. ალეკ პარკერი 5. ჰეიდენ მექსტედი 6. ლუის სტენფილი 7. ტოდ ქლევერი 8. ტასი მოუნგა / 16. ბლეიკ ბარდეტი 17. მატეკიტონგა მოეაკიოდა 18. მარკ ეილორი 19. ჰენრი ბლუმფილდი; 20. მაიკ პეტრი 21. ვალენესე მალიფა 22. ალბერტ ტუიპოლოტუ

მსაჯი: ვენი ბარნსი (ინგ)

A ჯგუფი	თ	მ	ფ	წ	ბ	პ	ქ
ს.აფრიკა	3	3	0	0	125-32	2	14
ტონგა	3	2	0	1	69-60	1	9
ინგლისი	3	2	0	1	72-68	1	9
სამოა	3	0	0	3	44-122	1	1
აშშ	2	0	0	2	25-53	-	0

28 სექ, 23:00 ინგლისი-ტონგა
30 სექ, 22:00 ს.აფრიკა-აშშ

პორტრეტი

ახალი შარაპოვა ძველზე უკეთესია

ანა ივანოვიჩი

რუსებს ჩოგბურთში პიკი რამდენიმე წლის წინათ ჰქონდათ, როდესაც სასლემო ტიტულები ერთბაშად რამდენიმე იქაურმა ქალბატონმა მოიგო, მერე და მერე კი, დები უილიამსების ამერიკულმა ტორნადომ და შეუდარებელნა ჟუსტინმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს. რუსები ოცეულში ბლომად კი არიან, მაგრამ ვეღარ პირველობენ და ტიტულების აკრეფაც უჭირთ.

შედარებით ჩრდილშია **მარია შარაპოვაც,** ვისთვისაც დიდი გამარჯვება, უკვე რა ხანია არ მიულოცავთ, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "ახალი შარაპოვა" მალე ძველზე მეტად იკაშკაშებს და ჯერჯერობით, შედეგებიც ამაზე მეტყველებს.

"ახალი მარია" კი **ანა ივანოვიჩია**.

სერბი ვარსკვლავი, რომელიც დღესდღეობით ერთეულთა კლასიფიკაციაში მეექვსე ადგილზეა, გერმანული TENNIS MAGAZINE-ის გამოკითხვით მსოფლიოს ყველაზე "სასურველი" ჩოგბურთელი გახდა და "ორიგინალი" შარაპოვა კარგა უკან ჩამოიტოვა.

ივანოვიჩს ქალთა პრო-ტურზე ერთერთი საუკეთესო მონოდება აქვს და უკანა ხაზს მიჯაჭვული თავისი კოლეგებისგან განსხვავებით, ბადესთან გასვლაც უყვარს.

"ჩემს უსაყვარლეს მოთამაშედ ყოველთვის **პატრიკ რაფტერი** დარჩება. პატის თამაში ლამაზი, ძალისმიერი და უდიდესი სიამოვნების მომტანი იყო. ვცდილობ თუ არა, მას დავემსგავსო? ალბათ, კი, თუმცა მაინც ჩემი, საკუთარი ელემენტების გამრავალფეროვნებაც მსურს. რაფტერს დღესაც შეუძლია მაღალ დონეზე თამაში, თუმცა სამწუხაროდ, ამისი სურვილი აღარ აქვს", - ამბობს ივანოვიჩი.

ანა, რომელიც 1999-ში ბელგრადის დამობვისას სიკვდილს სასწაულებრივ გადაურჩა, ყოველი საჩოგბურთო სეზონის დასრულებისთანავე ბელგრადსა და ზაგრებში ჩოგბურთის მასტერ-კლასებს ატარებს და ამაში ერთ ცენტსაც არ იღებს. მთელი ხარჯი ამ არაჩვეულებრივი გოგონას კისერზეა და, მისი თქმით, იგი ამით უდიდეს სიამოვნებას იღებს.

"1999-ში მეგობრებთან ერთად კაფეში ვისხედით, როდესაც მოულოდნელად საჰაერო შეტევა დაიწყო. ვინც მოასწრო, იქაურობას ყველა გაეცალა, მაგრამ რამდენიმე მეგობარი მაინც დავკარე. მას მერე სამი წელიწადი რომ გავიდა, ბელგრადში შევიკრიბეთ და უსახლკაროდ დარჩენილი ხალხის დასახმარებლად ფონდი დავაარსეთ. ფონდს არავის სახელი არ აქვს, უბრალოდ, ჩვენი სამეგობრო რეგულარულად ვაწყობთ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს და შემოსული თანხით გაჭირვებულ ოჯახებს ვეხმარებით. ვერ წარმოიდგენთ, ეს რამხელა სიამოვნებას მანიჭებს", - ამბობს ანა.

იუგოსლავიაში ჯოჯოხეთი იყო, ანა კი ვარჯიშს არ წყვეტდა. გამთენიისას, იგი თავის ძმასთან ერთად, მათი საცხოვრებელი სახლიდან 2 კილომეტრის მოშორებით დანგრეულ საცურაო აუზში ვარჯიშობდა, ხოლო დანარჩენ დროს კი კითხვასა და ისტორიის შესწავლას ანდომებდა.

ანა ივანოვიჩი: "ჩოგბურთელი რომ არ გამოვსულიყავი, დარწმუნებული ვარ, რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში ისტორიის მასწავლებელი ვიქნებოდი. დღესაც ბევრს ვკითხულობ. ვცდილობ, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს არ ჩამოვრჩე და პარალელურად არც ჩემი უშუალო საქმიანობა, ჩოგბურთი დავივიწყო. ჯერჯერობით, ყველაფერს ვასწრებ."

ივანოვიჩი სრულად ფლობს ინგლისურ და გერმანულ ენებს, თუმცა მისი თქმით, ინტერვიუს დროს, მაინც ცდილობს, პაუზა გააკეთოს, რათა საუბარში სერბული არ გაურიოს.

"ერთ-ერთი მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ერთ წინადადებაში სამი თუ ოთხი ენა გავურიე. დარბაზში სიჩუმე იყო, მე კი ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. მერე, პრეს-სამსახურის წარმომადგენელმა ჩამჩურჩულა, იქნებ მარტო ინგლისურად ან გერმანულად გავაგრძელოთ საუბარიო. ყველას ბოდიში მოვიხადე. სწორად გამიგეთ, ჩემი სამშობლო ისე მიყვარს, რომ უკან არაფერზე დავიხევ. ყველა ის, ვინც იმ უბედური წლებისას საკუთარ თავისუფლებას, ცხოვრებისეულ ხედვასა და ქვეყანას სიცოცხლეს სწირავდა, ჩემთვის სამაგალითო ადამიანად დარჩება. მე ხელში ავტომატი არ მჭერია, მაგრამ გულით იქ, ბრძოლის ველზე, ცხელ წერტილებში ვიყავი. ალბათ, მშობლები რომ არ შეგვწინააღმდეგებოდნენ, მეც და ჩემი ძმაც ომში წავიდოდით. ჩემი ქვეყნის სიმშვიდე ყველაფერს მირჩევნია", - ესეც ივანოვიჩის სიტყვებია.

პატ რაფტერი ანას კერპი კი არის, მაგრამ სერბი გოგონა მისთვის სამაგალითო პიროვნებად მაინც **მონიკა სელეშს** მიიჩნევს. ივანოვიჩი, რომელსაც პროფესიულ კარიერაში 4 ტიტული აქვს მოხვეჭილი, სელეშის მერე პირველი სერბი მანდილოსანი გახდა, რომელიც დიდი სლემის ტურნირის ფინალში (როლან გაროსზე) გავიდა.

"მონიკა ყველაზე ნიჭიერი მოთამაშე იყო, რომელსაც სასტიკად არ გაუმართლა. არ მესმის, როგორ უნდა გაიმეტო ადამიანი სასიკვდილოდ. მონიკა რომ არ დაეჭრათ, ის გაცილებით ბევრ სასლემოს მოიგებდა", - ასრულებს საუბარს ივანოვიჩი.

ჩოგბურთს ახალი კერპი და დედოფალი ჰყავს.

ზურაბ თალაკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი

X ტური. **არონიანი** (სომხეთი)-**გრიშჩუკი** (რუსეთი) 1:0; **ლეკო** (უნგრეთი)-**გელფანდი** (ისრაელი) - 0.5:0.5; **მოროზევიჩი** (რუსეთი)-**სვიდლერი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **კრამნიკი** (რუსეთი)-**ანანდი** (ინდოეთი)- 0.5:0.5.

სატურნირომდგომარეობა: 1. **ანანდი** - 6.5 ქულა; 2. **გელფანდი** - 5.5; 3-6. **კრამნიკი, გრიშჩუკი, ლეკო, არონიანი** - 5; 7. **მოროზევიჩი** - 4.5; 8. **სვიდლერი** - 4.

ოლიმპიზმი

სოჩი ვანკუვერს შეამოწმებს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დელეგაცია 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქის, ვანკუვერის დათვალიერებას აპირებს. ვიზიტის მიზანი თამაშებისთვის მზადების შემოწმება იქნება. ვანკუვერი 2010-ის საორგანიზაციო კომიტეტის ჩანაფიქრით, ძირითადი ოლიმპიური ობიექტები მომავალი წლის ზაფხულისთვის უნდა შეივიდეს ექსპლუატაციაში.

ვანკუვერის ოლიმპიადის მთავარი არენები 120-კილომეტრიან ზონაში იქნება მოქცეული, რომელიც ვანკუვერის სამხრეთით, რიჩმონდიდან დაიწყება, ოლიმპიადის დედაქალაქის ცენტრს გაივლის და ჩრდილოეთით, ვისტლერის დასახლებაში დასრულდება.

სათხილამურო ტრასების პირველი გამოცდა მომავალი წლის თებერვალში იგეგმება, როცა ვანკუვერი სამთო-სათხილამურო თასზე მსოფლიო თასის ეტაპს უმასპინძლებს.

კალათბურთი

სიეტლმა სიეტლს უჩივლა

ძალაან სიეტლის ოფიციალურმა პირებმა სასამართლოში უჩივლეს NBA-ის კლუბ "სიეტლ სუპერსონიქსს", რომლის მიხედვითაც, ამ გუნდს უნდა აეკრძალოს სხვა ქალაქში სათამაშოდ გადასვლა.

შეგახსენებთ, რომ უკვე დიდი ხანია მიდის საუბრები იმაზე, რომ "სონიქსმა" შესაძლოა ადგილმდებარეობა შეიცვალოს და ასოციაციაში სხვა ქალაქის სახელით ითამაშოს.

"სუპერსონიქსში" დაგვპირდნენ, რომ 2010 წლის სექტემბრამდე, ყველა საჭირო შეხვედრას მხოლოდ სიეტლში ჩაატარებენ", - წერია სარჩელში.

მილუოკი გრირს გამოეთხოვა

"მილუოკი ბაქსის" ხელმძღვანელობამ არ მოისურვა მცველ **ლინ გრირთან** კონტრაქტის გახანგრძლივება. ამ კალათბურთელმა შარშან 41 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 4 ქულაზე ოდნავ მეტს აგროვებდა. გუნდის შეფობამ მიიჩნია, რომ ახალბედები - **მო უილიამსი** და **ჩარლი ბელი** გრირზე უკეთესად გამოიყურებიან.

შეგახსენებთ, რომ გრირი დიდი ხანი ევროპაში თამაშობდა. მას მოვლილი აქვს იტალიის, პოლონეთის, საბერძნეთისა და რუსეთის ჩემპიონატები.

ჯაზმენი ბრაუნი გალათასარაიში გადავიდა

"იუტა ჯაზის" მცველი **დი ბრაუნი** მომავალ სეზონს თურქეთის "გალათასარაიში" გაატარებს. კალათბურთელის აგენტის განცხადებით, ბრაუნი NBA-ის სხვა კლუბების ყურადღების მიქცევას და ასოციაციაში 2008 წლისთვის დაბრუნებას აპირებს.

ბრაუნი შარშანდელი რეგულარულის დებიუტანტია. წინა სეზონში მან 49 მატჩი ითამაშა. ამ ზაფხულს, თავისუფალი აგენტის სტატუსის მქონე კალათბურთელი აქამდე ვერ ელირსა "იუტასგან" ახალ კონტრაქტს და ევროპაში გადასვლა ამჯობინა.

რეკალკატი ნაკრებში რჩება

ევრობასის ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის მიუხედავად, იტალიის ნაკრების გაწვრთნას ამ გუნდის ამჟამინდელი დამრიგებელი, კარლო რეკალკატი გააგრძელებს.

"გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით, იტალიის კალათბურთის ფედერაციამ დაადასტურა, რომ ის არ გეგმავს ცნობილ სპეციალისტთან 2009 წლის ბოლომდე გაფორმებული კონტრაქტის გაწყვეტას.

კრივი

კლიჩკო მალე დაბრუნდება

უკრაინელი მოკრივე **ვიტალი კლიჩკო** უახლოეს ხანებში აპირებს ვარჯიშების განახლებას. როგორც ცნობილია, WBC-ის საპატიო ჩემპიონი **ჯამილ მაკლეინთან** ბრძოლისთვის ემზადებოდა და ზურგი სწორედ მაშინ დაიზიანა. შესაბამისად, მომავალ თვეში დაგეგმილი ბრძოლა გაუქმდა.

უფროსი კლიჩკოს განცხადებით, ის ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად აღიდგინოს ჩვეული კონდიციები, რადგან სურვილი აქვს 2008 წლის დასაწყისში გამართოს მორიგი ბრძოლა.

"სრულიად ჯანმრთელი ვარ და ვაპირებ მორიგი ბრძოლა საჩემპიონო ტიტულისთვის გავმართო", - განუცხადა გერმანიის ტელევიზიას კლიჩკომ.

კორალესი დიდების დარბაზში შეიყვანეს

ორშაბათს, მსოფლიო კრივის დიდების დარბაზში რამდენიმე ახალი წევრი მიიღეს. ერთ-ერთი მათგანია ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ორგზის ყოფილი ჩემპიონი **დიეგო კორალესი**, რომელიც ცოტა ხნის დაილუპა.

ასევე სიკვდილის შემდეგ მოხვდნენ დიდების დარბაზში **ჰენრი არმსტრონგი** და **დინამიტ ჯექსონი**.

მოქმედ მოკრივეებს შორის, დიდების დარბაზში შევიდნენ **ოსკარ დე ლა ჰოია, შეინ მოზლი** და **ფერნანდო ვარგასი**.

ჩოგბურთი

ვის დარჩება დევისის თასის ფინალი?

დეკემბრის დასაწყისში, დევისის თასის ფინალი ამერიკაში გაიმართება - აშშ-ის ნაკრები რუსებს უმასპინძლებს. ჯერჯერობით უცნობია, რომელ ქალაქში ჩატარდება ეს შეხვედრა. ამერიკის საჩოგბურთო ასოციაციამ ერთი კვირის განმავლობაში უნდა აირჩიოს, თუ სად უმასპინძლებს ფინალს. არსებობს სამი ვარიანტი - პორტლენდი (ორეგონის შტატი), უინსტონ-სალემი (ჩრდილოეთ კაროლინა) და სან დიეგო (კალიფორნია).

"მთელი გუნდი ოცნებობდა საშინაო ფინალზე", - განაცხადა აშშ-ის ნაკრების ლიდერმა **ენდი როდიკმა**. - *გვინდა საკუთარ გულშემატკივრებს დავუმტკიცოთ ჩვენი შესაძლებლობები".*

როგორც მასპინძელ მხარეს, ამერიკის ნაკრებს კორტის საფარის არჩევის უფლება ექნება.

დოპინგი. სკანდალი

ამერიკაში ახალი დოპინგსკანდალი დაიწყო

სპორტულ სამყაროში ახალი, ყველაზე გრანდიოზული და მასშტაბური დოპინგსკანდალი იწყება. ის სათავეს ამერიკის შეერთებულ შტატებში იღებს, რომლის შტატ როდ აილენდის პოლიციამ 120-ზე მეტი ადამიანი დააკავა და ათეულობით ლაბორატორია დალუქა.

აშშ-ის ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების განცხადებით, ოპერაციაში, კოდური სახელწოდებით "როუ დიალ" (ახალი საქმე), ამერიკულ პოლიციასთან ცხრა ქვეყნის, მათ შორის ჩინეთის სამართალდამცველები თანამშრომლობენ.

ამერიკელმა სამართალდამცავებმა სულ 56 ლაბორატორია დალუქეს, რომლებშიც დიდი რაოდენობით ანაბოლური სტეროიდები და ადამიანის ზრდის ჰორმონები იყო შენახული. პოლიციის განცხადებით, ლაბორატორიებში, საერთო ჯამში, 11.4 მილიონი დოზა პრეპარატია შენახული.

წინასწარი მონაცემებით, აკრძალულ საქმიანობაში ეჭვმიტანილ კომპანიებს შორის ერთი ჩინურია, რომელსაც აშშ-ში ზრდის ჰორმონის ნედლეული არალეგალურად შეჰქონდა. დაპატიმრებულთა შორის ოთხი კონექტიკუტელია, რომლებიც სტეროიდების ნედლეულს ჩინეთში ყიდულობდნენ და ლაბორატორიებში არალეგალურად დამზადებულ ზრდის ჰორმონს ინტერნეტის მეშვეობით ჰყიდდნენ.

როდ აილენდის ფედერალური სამსახურის წარმომდგენლები ირწმუნებიან, რომ ჯერჯერობით, საქმეში გარეულნი არ არიან პროფესიონალი სპორტსმენები.

ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის პრესმდივან **მაიკლ სანდერსის** თქმით, 143-თვიანი გამოძიების დროს, ფედერალური სამსახურისგან 143 ჩხრეკის უფლება იქნა გაცემული. გამოძიებაში ჩართულია გამოძიების ფედერალური ბიურო, აშშ-ის შემოსავლების სამსახური, აშშ-ის საემიგრაციო სამსახური, სასაზღვრო დაცვის სამსახური, ასევე აშშ-ის საკვებისა და წამლების ადმინისტრაცია.

როდ აილენდის ფედერალურმა სასამართლომ კომპანია "გენსაიენს ფარმაცევტიკალი" და მისი მთავარი აღმასრულებელი **ლეი ძინი** ფულის გათეთრებასა და კონტრაბანდული საქონლის გაყიდვაში დაადანაშაულა. ძინსა და მის კომპანიას ბრალი ედებათ წამლების არალეგალურ წარმოებასა და რეალიზაციაში.

გამოძიებაში, ამერიკელ სპეციალისტებთან ერთად, ჩინელი, მექსიკელი, კანადელი, ავსტრალიელი, ბელგიელი, დანიელი, შვედი, გერმანელი და ტაილანდელი სამართალდამცველებიც მონაწილეობენ.

დანიაში, ადგილობრივმა პოლიციამ 26 ადგილზე ჩაატარა ჩხრეკა. გერმანიაში, ფედერალურმა სამსახურმა ხუთი არალეგალური ლაბორატორია დალუქა, სადაც უკვე დამზადებული ათეულობით ათასი ფალსიფიცირებული პრეპარატი აღმოჩნდა. დანიის პოლიციამ ჩინელ კოლეგებთან ერთად ჩაატარა გამოძიება, რომელმაც დაადგინა კავშირი ჩინელ მწარმოებელსა და დანიელ დილერს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაისონს ციხეში მესამედ უპირებენ ჩასმას

სკანდალი

ტაისონი აღიარებს

ზემძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **მაიკ ტაისონი** აღიარებს, რომ შარშან, დეკემბერში, შტატ არიზონას ქალაქ სკოტსდეილის შემოგარენში, პოლიციის მანქანას რომ დაეჯახა, მაშინ ავტომობილს ნარკოტიკებით გაბრუებული მართავდა. 41 წლის ტაისონი თავიდან დანაშაულს უარყოფდა, მაგრამ ახლა ყველაფერს აღიარებს. ინციდენტი მას შუაღამით მას შემდეგ შეემთხვა, რაც ღამის კლუბი დატოვა.

ტაისონს ციხე ორჯერ, აქვს მოხდილი. პირველად ის 1992 წელს ჩასვეს მას შემდეგ, რაც ყოფილი ცოლის მიმართ ძალადობა დაუმტკიცდა. მაშინ ციხეში სამი წელიწადი გაატარა. მეორედ კი 1999 წელს ჩასვეს მას შემდეგ, რაც საგზაო ინციდენტის შემდეგ, ორ უცნობს ეჩხუბა.

არიზონაში მომხდარი ინციდენტის გამო, შესაძლოა ტაისონს ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი, ოთხწლიანი პატიმრობა მიესაჯოს. შემთხვევის ადგილზე მისული პოლიციის მიერ შედგენილ ოქმში მითითებულია, რომ ტაისონს თან 2.16 გრამი კოკაინი ჰქონდა, მისი შემოწმების შედეგად კი დადგინდა, რომ მარიხუანის ზემოქმედების ქვეშაც იმყოფებოდა.

ამასთან, პოლიციის ოქმში ისიც მითითებულია, რომ დაკავების დროს, ტაისონმა აღიარა, რომ კოკაინის მომხმარებელია და რომ ზემოთ ნახსენები 2.16 გრამი კოკაინი თავისთვის ჰქონდა შეძენილი.

საქმის მოსმენის დროს, ტაისონის ვექილმა **დევიდ ჩესნოფმა** განაცხადა, რომ მისი კლიენტი შტატ კალიფორნიაში სარეაბილიტაციო კურსს გადის და რომ რვა თვეა, ნარკოტიკი არ მიუღია.

"მაიკი სარეაბილიტაციო კურსს გადის. მან რეალობას თვალი გაუსწორა და ახლა ბევრ რამეს ნანობს. ის არაფერს უარყოფს და შეგნებული აქვს ის ფაქტი, რომ როგორც იქცეოდა, ეს შეცდომა იყო", - ამბობს ჩესნოფი.

შეგახსენებთ, რომ ტაისონმა მსოფლიო ჩემპიონის სარტყელი პირველად 1986 წელს შემოირტყა. მაშინ ის ოცი წლის იყო, ამ ასაკში კი მანამდე (არც შემდეგში) ზემძიმე წონაში ჩემპიონი არავინ ყოფილა. თავისი პროფესიული კარიერის განმავლობაში, ტაისონმა 50 ბრძოლა მოიგო, მათგან 44 ნოკაუტით და 6 წააგო. მოკრივემ, ვისაც "რკინის მაიკის" მეტსახელითაც იცნობდნენ, სახელი 1997 წელს შეირცხვინა მას შემდეგ, **ევანდერ ჰოლიფილდთან** ბრძოლაში, თავის მეტოქეს ყური მოაჭამა. ამ საქციელისთვის მას ერთი წლით აეკრძალა პროფესიულ რინგზე ბრძოლა.

ტაისონის საქმეზე განაჩენს შტატ არიზონას სასამართლო 19 ნოემბერს გამოიტანს.

ზემძიმე წონა

პიტერი დროებითი ჩემპიონია

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) გადაწყვეტილებით, ამ გაერთიანების ვერსიით, ზემძიმე წონის საშუალედო ჩემპიონად ნიგერიელი **სამუელ პიტერი** გამოცხადდა. საბჭომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ტრავმის გამო, პიტერთან ტიტულის დასაცავად შეხვედრაზე გამოსვლა ვერ შეძლო მოქმედმა ჩემპიონმა, რუსმა **ოლეგ მასკაევმა**.

მასკაევმა (34-5, 26 ნოკაუტი) ჩემპიონის ქამარი მას შემდეგ მოიპოვა, რაც ერთი წლის წინათ, ამერიკელ **ჰასიმ რაჰმანს** ნოკაუტით მოუგო. მაგრამ ამ ერთი წლის განმავლობაში ტიტული მხოლოდ ერთხელ, დეკემბერში დაიცვა, როცა **პიტერ ოხელო** დაამარცხა. თანაც, ოხელო მის მიერ შერჩეული მეტოქე იყო და ამის გამო, საბჭომ ეს გამარჯვება ტიტულის სავალდებულო დაცვად არ ჩაუთვალა. მას შემდეგ, ტრავმებისა და პოტენციურ მეტოქეებთან მოლაპარაკებათა გაჭიანურების გამო, აღარ უბრძოლია.

ახლახანს, პიტერთან ბრძოლისთვის მზადების დროს, მასკაევმა წელის ტრავმა მიიღო. როგორც ექიმები ამბობენ, ის მინიმუმ სამი თვე ვერ შეძლებს ბრძოლას. მოკლედ, 14 თვე ისე გავიდა, ჩემპიონმა ერთ პრეტენდენტთან შეხვედრაც ვერ შეძლო. სწორედ ამის გამო, WBC-მ პიტერი (28-1, 22 ნოკაუტი) საშუალედო ჩემპიონად გამოაცხადა.

მაგრამ პიტერს ბრძოლა სწყურია და იმედოვნებს, რომ 6 ოქტომბერს, ნიუ იორკის "მედისონ სკვერ გარდენის" ახალ რინგზე საბრძოლველად მაინც გავა. თუმცა, ჯერ მოწინააღმდეგე არ შეურჩევია. საკრივო წრეებში ვარაუდობენ, რომ მას მეტოქედ პოლონელ **ენდრიუ (ანდჟეი) კოლოგას** შეურჩევენ, ვისაც წინა ოთხივე სატიტულო ბრძოლა წაგებული აქვს.

პიტერს პროფესიულ კარიერაში ერთადერთხელ წაუგია. ეს ზუსტად ორი წლის წინათ მოხდა, როცა ქულებით დათმო უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოსთან**, ვინც ახლა IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) ჩემპიონია. მაგრამ მას შემდეგ ოთხი ბრძოლა გამართა და ყველა მოიგო. ამ ოთხიდან ორში ამერიკელი **ჯეიმს ტონი** დაამარცხა და სწორედ მას შემდეგ მოიპოვა სატიტულო ბრძოლის უფლება.

სხვათა შორის, მასკაევისა და პიტერის ბრძოლა პირველი უნდა ყოფილიყო, რომელიც "მედისონ სკვერ გარდენის" ახალ რინგზე ჩატარდებოდა. ძველი რინგი, რომელიც დიდ კრივს 82 წელიწადი ემსახურა, ცოტა ხნის წინათ, საზეიმოდ ჩამოწერეს და ის კრივის დიდების დარბაზს გადაეცა.

მერაბ ლორთქიფანიძე

TV სპორტი

26 სექტემბერი. ოთხშაბათი

I არხი

19:05 რაგბი. მსოფლიო თასი. საქართველო-ნამიბია (LIVE).

НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ესპანიოლი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:15 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
18:45 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-აიაქსი.
20:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:55 გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ლევერკუზენი (LIVE).
23:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სარაგოსა (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

07:58 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
09:12 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:10 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:22 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ფერეირა-პორტუ.
12:06 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
12:27 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.
14:11 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:40 სპორტდოსიე. ჩოგბურთი.
15:07 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი.
18:09 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტურის მიმოხილვა.
19:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:57 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ანდრეი შევჩენკო.
21:38 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. სეზონის წინ.
21:59 წყლის სამყარო. მიმოხილვა.
22:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა (LIVE).
00:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:37 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
02:24 მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი.
05:21 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰამბურგი.

EUROSPORT

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 მულტისპორტი.
11:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. +75 კგ. ტაილანდი (LIVE).
13:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 105 კგ. ტაილანდი.
14:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. +105 კგ. ტაილანდი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. შტუტგარტი. გერმანია.
19:30 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. +105 კგ. ტაილანდი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
20:45 მულტისპორტი.
20:50 ცხენოსნობა. ბრიტანეთი.
21:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
21:55 მულტისპორტი.
22:00 გოლფი. US PGA-ის ტური.
23:00 გოლფი. ევროტური.
23:30 გოლფი. ჩელენჯტური.
00:00 გოლფ-კლუბი.
00:05 აფროსნობა. როლექსის რეგატა.
00:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:40 პოლო. ოქრო თასი.
01:10 მულტისპორტი.
01:45 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 1/2 ფინალი. ჩინეთი.
03:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. საფრანგეთი.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. საფრანგეთი.
11:00 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 ექსტრემალური სპორტი.
17:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჰოლანდიის გრან-პრი.
18:00 მულტისპორტი.
18:30 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. შვეიცარია.
19:00 ექსტრემალური სპორტი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 მულტისპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ექსტრემალური სპორტი.
23:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლიტვის გრან-პრი.
00:00 რესტლინგი.
01:00 სერფინგი. საფრანგეთი.
01:15 ახალი ამბები.
01:30 მულტისპორტი.
02:00 ახალი ამბები.
02:30 სერფინგი. საფრანგეთი.
02:45 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

კონფერენსი

კემბრიჯი-ალდერშოტი	1:1
დროილსდენი-ბარტონი	0:2
ფორესტ გრინი-სტივენეიჯი	გადაიდო
გრეივსენდი-ქროული	1:0
ოქსფორდი-სალისბერი	2:1
რაშდენი-გრეისი	1:1
სტეფორდი-ჰისტონი	1:1
ტორკი-უეიმაუთი	3:2
უოკინგი-ექსეტერი	1:1

ლიგის თასი

არსენალი-ნიუკასლი	2:0
ბლეკპული-საუთენდი	1:1, დ.დ. 2:1
ბარნსი-პორტსმუთი	0:1
ლუტონი-ჩარლტონი	1:1, დ.დ. 3:1
მანჩესტერ სიტი-ნორვიჩი	1:0
რედინგი-ლივერპული	2:4
შეფილდი-მორეკამბი	5:0
ვესტ ბრომვიჩი-კარდიფი	2:4

იტალია

სერია B

ალბინოლეფე-ჩეზენა	1:0
ბარი-მანტოვა	2:0
ბოლონია-ბრეშია	2:2
კიევო-აველინო	3:0
მესინა-ტრევიზო	2:0
პიაჩენცა-ლეჩე	0:1
პიზა-ტრიესტინა	2:1
რავენა-გროსეტო	2:1
რიმინი-მოდენა	1:0
სპეცია-ფროსინონე	3:0
ვიჩენცა-ასკოლი	1:1

ესპანეთი

სევილია-ესპანიოლი	2:3

გერმანია

დორტმუნდი-ჰამბურგი	0:3
დუისბურგი-შალკე	0:2
ჰერტა-ჰანზე	1:3
ვოლფსბურგი-ვერდერი	1:1

II ბუნდესლიგა

ალემანია-პადერბორნი	3:1
აუგსბურგი-ოსნაბრუკი	2:0
აუე-ჰოფენჰაიმი	2:2
სტ. პაული-ბორუსია (მ)	0:3

საფრანგეთი

ლიგის თასი

ნანსი-ბულონი	3:0
ბრესტი-მონპელიე	1:1, დ.დ. 1:2
ნიორი-ჰავრი	2:2, დ.დ. 3:2
ოსერი-სტ. ეტიენი	0:0, დ.დ. 1:0

ჰოლანდიის თასი

დე კუიკი-ომნივორლდი	1:8
ვვვ-მაასტრიხტი	1:3
ეინდჰოვენი A-ვიტესი	4:2
ფორტუნა-ემენი	3:1
ჰაარლემი-ვილემი	1:1, პენ. 4:3
ჰელმონდი-იგლზი	0:1
ლისე-აპელდორნი	4:4, პენ. 4:5
ვაალვიკი-როსენდალი	4:3
ტოპ ოსი-ვეენდამი	1:2
ვეც-დორდრეხტი	0:2
ვოლენდამი-სპარტა	4:4, პენ. 2:4

შოტლანდია

ლიგის თასი

ფალკირკი-დანდი იუნ	0:1
ჰამილტონი-კილმარნოკი	2:0
ჰართსი-დანფერმლაინი	1:1, დ.დ. 4:1
ინვერნესი-გრეტნა	3:0

დანიის თასი

იეტსმარკი-სკივე	1:1, დ.დ. 2:3

შვედეთი

გაის-გიოტებორგი	0:1

ავსტრია

II დივიზიონი

შვადორფი-კაპფენბერგი	5:0
აუსტრია (ლ)-კერნტენი	0:0
გრატკორნი-პარნდორფი	2:2
ლეობენი-ზალცბურგი II	1:3
შვანენშტადტი-აუსტრია II	2:0
ბად ოსი-ლუსტენაუ	1:2

თურქეთის თასი

ბელედიე-ანკარაგიუჯუ	1:1, დ.დ. 1:3
გენჩლერი-სებათი	4:1

ირლანდიის თასი

კორკი-უოტერფორდი	4:0

კალათბურთი

ევროპის ჩემპიონატი

ქალები

იტალია-საბერძნეთი	65:55
ხორვატია-ბელარუსი	66:92
ბელგია-გერმანია	61:53
რუსეთი-საფრანგეთი	63:59
ლატვია-ისრაელი	77:73
ლიტვა-რუმინეთი	67:50
ესპანეთი-სერბეთი	79:76
ჩეხეთი-თურქეთი	86:62

ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი

ქალები

ჰოლანდია-ბულგარეთი	3:0
იტალია-საფრანგეთი	3:1
გერმანია-თურქეთი	3:0
პოლონეთი-სერბეთი	3:0
ბელგია-ჩეხეთი	3:1
რუსეთი-აზერბაიჯანი	3:0

ჰოკეი

რუსეთი

მეტალურგი (მ)-ავანგარდი	1:0
ს. იულიაევი-დინამო	4:1
ტრაქტორი-სპარტაკი	0:1
ლადა-მვდ	2:1
სკა-სევერსტალი	1:3
ტორპედო-ნეფტეხიმიკი	5:1
ხიმიკი-ლოკომოტივი	6:3
ცსკა-აკ ბარსი	3:1

გერმანია

ინგოლშტადტი-ფრანკფურტი	7:4

სლოვაკეთი

ჟილინა-სკალიცა	3:1
მარტინი-ტრენჩინი	1 5
მიკულაში-კეჟმაროკი	4:1
ნიტრა-სლოვანი	1:4
პოპრადი-კოშიცე	5:2

ფინეთი

ილვესი-იოკერიტი	1:6
კერპეტი-ტაპარა	3:2
ლუკო-კიეკო	0:4
პელიკანსი-ჰპკ	6:1
ტპს-ესეტი	4:1
იუვიასკიულა-საიპა	3:3

ჩეხეთი

ვიტკოვიცე-კლადნო	8:3
ზლინი-ლიტვინოვი	6:3
პლზენი-ზნოიმო	3:3
სლოვანი-ბუდეიოვიცე	2:6
სლავია-ტრშინეცი	5:2
ლიბერეცი-კარლოვი ვარი	1:4

შვეიცარია

ლანგნაუ-ამბრი	4:3
ლუგანო-ფრიბურგი	5:2
რაპერსვილი-კლოტენი	2:4
ცუგი-სერვეტი	4:2
ციურიხი-ბერნი	0:3

შვედეთი

ლულეა-ბრიუნასი	2:5
მოდო-იურგორდენი	5:4

ჩოგბურთი

ATP. მუმბაი

ბენეტო-შუტლერი	5:7, 3:6
მატიო-კიფერი	4:6, 3:6
ლუ-ვანეკი	4:6, 7:5, 6:4
ტროიცკი-ქიურეში	6:2, 7:6
დევილდერი-ბოპანა	შეწყდა

ATP. ბანგკოკი

დელიჩი-მეფერტი	5:7, 1:6
ზვერევი-რასელი	6:4, 3:6, 6:1
კარლოვიჩი-ლოპესი	7:6, 6:3
ლოდრა-გაბაშვილი	7:6, 7:5
მაუ-ფლიშმანი	7:5, 6:2
დანჩევიჩი-დელ პოტრო	6:4, 1:6, 7:6
მოია-ბეკერი	6:7, 4:6
უდომჩოკე-ლევი	5:7, 7:6, 6:3

WTA. ლუქსემბურგი

ბამერი-პაშეკი	6:0, 6:2
ვაკულენკო-ტუ	4:6, 3:6
ბარტოლი-ა. ბონდარენკო	6:3, 6:2
ლუა-ზაკოპალოვა	5:7, 1:6
ზვონარევა-გორგესი	6:7, 6:4, 6:2
შონესი-ონდრაშკოვა	4:6, 1:6
სკიავონე-დეში	6:2, 6:3

WTA. სეული

კეოტავონგი-როული	1:6, 1:6
მიულერი-ჰანი	6:1, 6:0
ნამიგატა-იოჰანსონი	5:7, 2:6
დანიილიდუ-ვოზნიაჩკი	6:4, 6:4
დელაკუა-ტანასუგარნი	6:1, 3:6, 2:6
იუნანი-ერაკოვიჩი	6:4, 6:4
ჰსიე-კასტანიო	3:6, 2:6
ვ. უილიამსი-სპირსი	6:2, 6:3
ლი-შავაი	2:6, 3:6

კუმირთან განშორება

ჩვენ გვყავს ღმერთი და მას ბოდიროგა ჰქვია

წლევანდელი ევრობასკეტი NBA-ის ვარსკვლავების ნაკლებობას არ განიცდიდა. ოკეანის გაღმიდან ძველ კონტინენტზე თითქმის ყველა ლეგიონერი ჩამოვიდა. მაგრამ რომელიმე მათგანის განსაკუთრებულ წვლილზე საუბარი მაინც რთულია. საერთოდაც, ამ ჩემპიონატის მიხედვით, ძნელია რომელიმე კალათბურთელის გამოყოფა. ევრობასკეტზე ქარიზმატული მოთამაშეების სიმცირე შეიმჩნეოდა. მარტო ის რად ღირს, რომ საუკეთესო მოთამაშედ წახნაგოვანი თავისა და რობოტის გამომეტყველების მქონე ანდრეი კირილენკო დაასახელეს. ეს ფაქტი ამ ტურნირს მუქ ფერებში წარმოაჩენს.

აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო დასანანი ხდება, როცა კალათბურთიდან ნამდვილი ვარსკვლავები მიდიან. შარშან, დეიან ბოდიროგა დაგვემშვიდობა. დღეს გადავწყვიტეთ ამ ლეგენდარული კალათბურთელის კარიერა გავიხსენოთ, რითაც კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუ რა როლი ჰქონდა მას ევროპულ კალათბურთში.

ნაკრები

1995 წელი. ევროპის ჩემპიონატი. იუგოსლავური საკალათბურთო სკოლის ახალ ამომავალ ვარსკვლავზე, ჯერ კიდევ ედმონტონში ჩატარებულ იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საუბრობდნენ, ამიტომაც ყველა მოუთმენლად ელოდა მის საქმეში ხილვას. პირველი შთაბეჭდილება იმედგაცრუებას ჰგავდა. ცოტათი ნელი და მოუქნელი, არცთუ დამაჯერებელი დრიბლინგი. ყველა ცნობილი "იუგი" დაუფიქრებლად ისროდა სამქულიანს, ეს კი, სასროლად თითქმის ხუთი წამი ემზადებოდა. ბრმა პასს ან ლამაზ ფინტს მისგან ვერ ელირსებოდი. ნუთუ, ეს იყო პუბლიკისთვის დაპირებული "თეთრი მეჯიქი"?

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, **დეიან ბოდიროგას** რეზევრში ფინტებიც ჰქონია და პასების მიცემაც შესძლებია. მაგრამ ის ამას პუბლიკის გასართობად არ აკეთებდა, ეფექტებისადმი გულგრილი იყო და მხოლოდ ერთის მიღწევა უნდოდა - გამარჯვება. ამას თავად ბოდიროგა აყალიბებს ყველაზე ზუსტად: *"არასოდეს ვცდილობდი შთაბეჭდილების მოხდენას, ყველაფერს რასაც ვაკეთებდი - ყოველთვის გულით ვაკეთებდი".*

მაგრამ კალათბურთელის ტალანტის იმ დამფასებლებისგან განსხვავებით, რომლებმაც ტელევიზორიდან გვიან შენიშნეს ბოდიროგას შესაძლებლობები, მათ, ვინც დეიანის გვერდით იყვნენ (მწვრთნელები და მოთამაშეები), თავიდანვე დააფასეს კალათბურთელის ნიჭი. მათ შორის იყო ლეგენდარული **კრასიმირ ჩოსიჩი,** რომელმაც დაიყოლია 17 წლის ბიჭი ზრენიანიდან ზადარში გადასულიყო. ჩოსიჩს იუგოსლავიის ნაკრებში 14 სხვადასხვა სინჯის მედალი (აბსოლუტური რეკორდი) აქვს მოგებული, კარიერის განმავლობაში ბევრი რამ უნახავს, მაგრამ ასეთი ჭკვიანი და მრავალმხრივი კალათბურთელი არასოდეს შეხვედრია.

ჭკვიანი და ინტელიგენტი კალათბურთელი - მსგავსი ეპითეტები თან სდევდნენ ბოდიროგას მთელი კარიერის განმავლობაში და ეს პარტნიორების ნდობის მოპოვებისა და მწვრთნელებთან წარმატებული, სრულფასოვანი თანამშრომლობის გარანტი იყო. **პეშიჩი, ობრადოვიჩი**... ყველანი ისინი ბოდიროგას უფრო ენდობოდნენ, ვიდრე საკუთარ თავს. ის მათი ტვინი იყო მოედანზე. დეიანი მოხერხებული, ზუსტი, პრაგმატული და გაწონასწორებული იყო, თითქოს თამაშს გვერდიდან უყურებდა, შეეძლო მოედანზე დატრიალებული ემოციებისგან გათიშულიყო და ზუსტად შეეფასებინა სიტუაცია. ამიტომაც ვერავინ და ვერასდროს ახერხებდა მის ნეიტრალიზებას. მაღალ მცველებს ის სისწრაფის ხარჯზე ატყუებდა, დაბლების წინააღმდეგ კალათთან ახლოს უყვარდა თამაში. ის მთელ დაცვას გაირბენდა, ფარისკენ აიწევდა, ნამით გაირინდებოდა, მოწინააღმდეგე მცველები ძირს დაეშვებოდნენ ან გვერდით ჩაუფრენდნენ და ბოდიროგა მშვიდად მოიპოვებდა მორიგ ორ ქულას. რკინის ნერვები - სერბი ოსტატის კიდევ ერთი დადებითი თვისება.

1995 წლის დებიუტის შემდეგ, ბოდიროგა თანდათან ეროვნული ნაკრების ლიდერი გახდა და ასე გრძელდებოდა ათი წლის განმავლობაში. ამ წლებში იუგოსლავიამ მოიგო თითქმის ყველაფერი, იყო მოდის კანონმდებელი, რამდენიმეჯერ გახდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი და ეს ნაკრების მე-4 ნომრის დამსახურებით. სერბებმა მხოლოდ ოლიმპიადა ვერ დაიპყრეს.

მალე გაირკვა, რომ სადაც არ უნდა მისულიყო ეს ჩუმი და მოკრძალებული კალათბურთელი, წარმატება მუდმივად მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული, მთელი პასუხისმგებლობის აღება მას უწევდა საკუთარ თავზე. ევროპაში სხვა ვარსკვლავებიც იბადებოდნენ და მსოფლიო პრიმადონის სტატუსით, ნაკრებში ახალ-ახალი "სტოიაკოვიჩები" ჩნდებოდნენ, მაგრამ ძველებურად, ყველაფერი მასზე, ბოდიროგაზე იყო დამოკიდებული.

სტეფანელი-რეალი-პაო-ბარსა-რომა

დეიან ბოდიროგამ გულთან ახლოს მიიტანა იუგოსლავიის დაშლა და ომის დაწყება, მაგრამ ხორვატიის ტერიტორიაზე, "ზადარში" დარჩენა შეუძლებელი გახდა და ის უცხოეთში გაემგზავრა. ბოდიროგამ უარი თქვა ბერძნული ლიგიდან შეთავაზებაზე, ვინაიდან სურდა ერთი პასპორტი და ერთი მოქალაქეობა - თავისი სერბული "მე" შეენარჩუნებინა. მისი ეს ნაბიჯი და "ოლიმპიაკოსის" ძალიან სარფიან წინადადებაზე უარის თქმა სულაც არ გახლდათ ყალბი სარეკლამო ტრიუკი ან ფსევდოპატრიოტიზმი - ბოდიროგას პატრიოტიზმი ურყევი და წმინდა იყო. დეიანი იტალიაში გაემგზავრა, "სტეფანელ ტრიეტსთან" გააფორმა კონტრაქტი და იტალიური საკლუბო კალათბურთის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ლეგიონერი გახდა. როცა სპონსორი გუნდის დიდ ნაწილთან ერთად მილანში გადავიდა, დეიანიც თან გაჰყვა მას.

როცა ბოდიროგას დაუჯერებელ წარმატებებს ვიხსენებთ, ცოტა ვინმეს თუ ახსენდება, რომ ის არა მარტო გამარჯვებებით, არამედ დამარცხებებითაც იწყებდა თავის კარიერას. დეიანმა ორჯერ ვერ დაიპყრო კორაჩის თასი: 1994 წელს მისმა კლუბმა ფინალში ბერლინის "ალბასთან" წააგო, 1995-ში - თურქულ "ეფეს პილსენთან". ბოდიროგასა და სხვებს შორის განსხვავება ის იყო, რომ წაგება მას მორალურად ვერ ამარცხებდა. პირიქით, ამით სერბი გამარჯვების მიღწევას სწავლობდა. ხოლო, როცა ისწავლა, გაირკვა, რომ ამის გაკეთება მასზე უკეთ არავინ იცოდა.

1996 წელს გამარჯვებებიც მოვიდა. "მილანმა" და ბოდიროგამ დუბლი შეასრულეს, ჯერ იტალიის თასზე გაიმარჯვეს, შემდეგ ჩემპიონატში, როცა ორივე ბოლონიურ კლუბს გადააბიჯეს ("ბაკლერს" ნახევარფინალში და **ჯორჯევიჩისა და მაიერსის** "ტიმსისტემს" ფინალში).

შემდეგი გაჩერება ესპანეთი იყო. ბოდიროგას უშუალო მონაწილეობით, მადრიდის "რეალმა" თავისი ტიტულების კოლექცია საპორტას თასით შეავსო. ახალი საუკუნის მიჯნაზე, სერბი საფინიშო სპურტზე გავიდა, საბერძნეთის "პანათინაიკოსთან" გააფორმა კონტრაქტი და მწვრთნელ ჟელკო ობრადოვიჩთან ერთად, იქ საკალათბურთო იმპერია ჩამოაყალიბა. "პაო" სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი (საბერძნეთში ამ ტიტულს ევროპულ პრიზებზე მაღლა აყენებენ) და ორჯერ - ევროლიგის გამარჯვებული.

"პანათინაიკოსთან" ერთად ევროლიგის მეორედ მოგების შემდეგ, ბოდიროგა ესპანეთში, კერძოდ, "ბარსელონაში" მიემგზავრება. კატალონური კლუბი თითქმის ყოველთვის ევროლიგის "ოთხთა ფინალში" ხვდებოდა, მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე სულ ცოტა აკლდებოდა... უიღბლობა? შემართებისა და საკუთარი თავისადმი რწმენის ნაკლებობა? მიზეზები მრავლად სახელდებოდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ბოდიროგას ყველა ეს თვისება გააჩნდა. "ბარსელონამ", როგორც იქნა, მოიგო ევროლიგა, დეიანი კვლავ "ოთხთა ფინალის" MVP გახდა, ოღონდ ამჯერად "ბარსას" ფორმაში.

შეგახსენებთ, რომ ამავე პერიოდში, ყოველი სეზონის შემდეგ, ბოდიროგას არ ავიწყდებოდა სერბეთის ნაკრების მორიგ ტრიუმფამდე მიყვანა - 2001 წელს ევროპის ჩემპიონობა და 2002 წელს მსოფლიო პირველობის ოქროს მედლები. და სწორედ ამ დროს, მთელი საკალათბურთო სამყარო სერბი ფორვარდის ფერხთით აღმოჩნდა. ევროპაში ყველა დონეზე (სხვადასხვა კლუბებსა და ნაკრებში), ასეთი "ტოტალიტარული" რეჟიმი არცერთ კალათბურთელს არ დაუმყარებია. დეიანი 100-პროცენტიანი წარმატების გარანტი გახდა. სიტუაცია აბსურდამდე და ათასნაირ ხუმრობებამდეც კი მიდიოდა. მაგალითად, ასეთი ანეკდოტი - თქვენს კლუბს დიდი ხანია ევროლიგა არ მოუგია? საკმარისია, ბოდიროგა ერთი სეზონით გადაიბიროთ და გამარჯვება გარანტირებულია. ან კიდევ ასეთი: კალათბურთს ორი გუნდი თამაშობს, მაგრამ იმარჯვებს ის, რომელშიც ბოდიროგა თამაშობს. 30 წლის ასაკში დეიანი აღარ იყო თანამედროვეობის გამოჩენილი კალათბურთელი, ის ცოცხალ ლეგენდად იქცა.

რომში პენსიაზე

კარიერა დეიანმა იტალიაში დაასრულა. დიდ გამარჯვებებს უკვე ველარ მიაღწია, მაგრამ არც მეორე პლანზე გადასულა. გვარი და სახელი - "დეიან ბოდიროგა" მეტოქეთა მწვრთნელებს კვლავაც კანკალს აწყებინებდა. მისი ეშინოდათ, შეიძლება ისე არა, როგორც ადრე, მაგრამ მაინც. იცოდნენ, რომ ის მაინც იპოვნიდა ბზარს დაცვაში, რომელსაც უდიდეს ხვრელად აქცევდა.

და აი, გასული სეზონის დასრულების შემდეგ, ბოდიროგამ კალათბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. ყოველგვარი ხმამაღალი სიტყვების გარეშე, თქვა მხოლოდ ის, რაც გულში ჰქონდა. ეს არ იყო მარტივი გადაწყვეტილება იმ ადამიანისთვის, რომელმაც არა მარტო დრო და ენერგია, არამედ საკუთარი თავი დათმო კალათბურთისთვის.

NBA

ბოდიროგა NBA-ში ვერ მოხვდა, უფრო მეტიც, მას არ სურდა იქ მოხვედრა. სანამ იკითხავთ, თუ რატომ არ წავიდა სერბი ოკეანის გაღმა, დავფიქრდეთ, რა ელოდა მას იქ? რა თქმა უნდა, ევროპელები უკვე თამაშობდნენ NBA-ში: **კუკოჩი, მარჩიულონისი, დივაცი**... მაგრამ ისინი თავიანთ გუნდებში მეორე პლანზე იყვნენ გადასულნი, მათ, როგორც საინტერესო მოვლენას, ისე აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ მათი ძლიერი მხარის გამოყენებას, მაგრამ იმაზე ზედმეტი იყო საუბარი, რომ რომელიმე გუნდს თამაში ევროპელ კალათბურთელზე აეწყო.

სამი წლის წინათ, **სტივ ნეშისა** და **მაიკლ ფინლის** გაშვების შემდეგ, "დალას მავერიქსი" NBA-ის პირველი გუნდი გახდა, რომელმაც თავისი წარმატება მთლიანად დაუკავშირა ევროპელ ვარსკვლავს. "დალასმა" ფსონი **დირკ ნოვიცკიზე**, ერთპიროვნულ ლიდერზე გააკეთა. მაგრამ ეს სულ ახლახან მოხდა, ხოლო 1995-ში ასეთ ნაბიჯს თვით **მარკ კიუბანიც** კი არ გადადგამდა.

ამიტომაც დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ 1995 წელს ბოდიროგას NBA-ში იმედგაცრუება ელოდა. მას არავინ მისცემდა ხელში გუნდის მართვის სადავეებს, მისი როლი მოედანზე მკვეთრად შემცირდებოდა. კალათბურთის ჭკვიანი და კრეატიული გენიოსისგან მივიღებდით მაღალ მცველ-ფორვარდს, კარგი დრიბლინგითა და ტყორცნით. ამერიკა არ იყო მზად, შეეფასებინა და დაეფასებინა ბოდიროგა და კალათბურთელმა ეს კარგად იცოდა.

ბოლოს კი, ბოდიროგას კარიერის რამდენიმე ღირსშესანიშნავი მომენტი გავიხსენოთ.

სერბეთი-არგენტინა 84:77 (ო)

ინდიანაპოლისი. 2002 წლის 2 სექტემბერი. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. შეხვედრის დამთავრებამდე ორწუთნახევრით ადრე, არგენტინა 8 ქულას იგებდა. **მანუ ჯინობილი, ლუის სკოლა, ფაბრისიო ობერტო** და **ანდრეს ნოჩიონი** ოქროს მედლების მოგებისთვის ემზადებოდნენ, მაგრამ მათ ერთი ადამიანი გადაეღობა წინ. მომდევნო ორი წუთის განმავლობაში, დეიანმა 9 ქულა დააგროვა. მის ორ ორქულიან ტყორცნას, ერთ ზუსტ სამქულიანსა და ორ საჯარიმოს ფინალი ოვერტაიმში გადაჰყავს. და ეს ბოდიროგამ მარტომ ხუთის წინააღმდეგ გააკეთა. დამატებით დროში არგენტინელები ვერ გამოვიდნენ მიღებული შოკისგან და წააგეს.

სტეფანელი-პანასონიკი 90:89

1993 წლის 1 მარტი. იტალიის ჩემპიონატი. ფუჩკა და **კანტარელა** არ თამაშობენ, **ინგლიშმა** ტრავმა მატჩის დასაწყისში მიიღო. ბოდიროგა, რომელიც ჯერ ოცი წლისაც არაა, მარტო მიათრევს გუნდს. საფინალო სირენამდე ცოტა ხნით ადრე, "პანასონიკი" 89:84 იგებს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მატჩის ფინალი ბოდიროგას რჩება. დეიანი შეხვედრას ფანტასტიკური მაჩვენებლებით ასრულებს: 51 ქულა, 11 მოხსნა და 5 ჩაჭრა. მომდევნო დილას, "გაძეტა დელო სპორტმა" ეპითეტების ხმარებაში განსაკუთრებული მონდომება გამოიჩინა: ბანალური "ბრავისიმოთი" დაწყებული, "კალათბურთის ახალგაზრდა მაესტროთი" დამთავრებული.

პანათინაიკოსი-კინდერ ბოლონია 89:83

ბოლონია. 2002 წლის 2 მაისი. ევროლიგის ფინალი. ბოდიროგა (ნახევარფინალში 26 ქულა დააგროვა) ამჯერად 21 ქულით, 7 მოხსნითა და 4 შედეგიანი პასით კმაყოფილდება. მისმა "პანათინაიკოსმა", ბოლონიელი ფანების თვალწინ ააცილა ევროლიგის ტიტული ადგილობრივ "კინდერს". იტალიელთა უნიჭიერესმა მანქანამ (ჯინობილი, **იარიჩი, რიგოდო, ანდერსენი, სმოდიში, გრეინჯერი, ბეჩიროვიჩი**) **ეტორე მესინას** ხელმძღვანელობით, ვერაფერი მოუხერხა "პაოს" სამკუთხედს - **ბოდიროგა-ქუთლუაი-ობრადოვიჩი.**

იუგოსლავია-საბერძნეთი 78:73

ათენი. 1998 წლის 8 აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი. ბოდიროგა კვლავ გვიჩვენებს გამძლეობასა და ხასიათს. 20 ათასი ბერძენი გულშემატკივრით გადავსებული "მარუსი", თავისიანებისგან მხოლოდ ფინალური მატჩის საგზურს ელის. მასპინძლები არანორმალურ ემოციური განწყობით თამაშობენ, შეხვედრის მსვლელობისას 10 ქულაზე მეტს იგებენ... ბოდიროგას 31 ქულა მათ მონდომებას ხაზს უსვამს და ფინალში იუგოსლავიის ნაკრები გადის.

ლელო
სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ
ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე,
მამუკა ძანთარია,
ირაკლი დარცმელიძე,
ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია
ელიზბარაშვილი, ხათუნა
სამხარაძე, დავით გეგეჭკორი,
დავით შალუტაშვილი,
კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და
ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმჯარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უბულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს
ოლიმპიური
ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, აკ. კინოსტუდია,
პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე,
გარდა კვირისა